# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 3 თებერვალი, 2007 წელი.

№ 21 (5622)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.





## თუ ამ ხელისუფლებას ქვეყნისთვის სულ ცოტა სიკეთე მაინც ემეტება, მისი მხრიდან ყველაზე სწორი და ბრძნული ნაბიჯი იქნებოდა საზოგადოებისთვის ბოდიში მოეხადა და თავისი ნებით წასულიყო

5

## ბატონ ლადო ჭიპაშვილს გვინდა შევახსენოთ, რომ იგი არა მარტო ჯანდაცვის, არამედ შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრიცაა და მისი უშუალო მოვალეობა მედიცინის მუშაკთა შრომითი და სოციალური უფლებების დაცვაა

4





## რუსეთს სურს ყველას უჩვენოს, რომ შემწყნარებლურად ექცევა საქართველოს, როგორც ეს ნამდვილად დიდ სახელმწიფოს შეჰფერის პატარა ქვეყანასთან ურთიერთობაში

10

## პოეტი მოკლეს, ლექსი არ კვდება



14

## აქცია ვაგზლის მოედანზე

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა გუშინ თბილისში, ვაგზლის მოედნიდან გმირთა მოედნამდე სიმბოლური მსვლელობა მოაწყეს.

მსვლელობა ეძღვნებოდა 1992 წლის 2 თებერვლის მოვლენებს, როდესაც გამსახურდიას მომხრეების მიტინგს აკადემქალაქისა და ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად დაიღუპა ათი და დაიჭრა 50-ზე მეტი ადამიანი.

გუშინდელ მსვლელობას დაესწრო ზვიად გამსახურდიას ვაჟი, პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც მიიჩნევს, რომ 15 წლის წინანდელი ფაქტის გამოძიება ხელახლა უნდა დაიწყოს და გაირკვეს, რატომ დაცხრილეს მომიტინგეები და ვინ გასცა აქციის ამ სახით დაშლის ბრძანება.



მსვლელობა „ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის“, „9 აპრილის მემორიალის საზოგადოებისა“ და „რეპრესირებულთა კავშირის“ ინიციატივით მოეწყო.

● „ეს კონსტანტინე გამსახურდიას უპატივცემულობაა, იგივეს ვიტყოდი, მისი სახელობის გამზირისთვის პეკინის ქუჩის დარქმევის გამო, რათა ჩინეთთან ურთიერთობა გავიუმჯობესოთ, ანდა, ზვიად გამსახურდიას ქუჩას ალიევის სახელი რომ უწოდეს...



№ 21. შაბათი, 3 თებერვალი. 2007 წელი.

◉ პატივაყრილი კულტურა

# ბუზუტეიშვილი სიხარბეს ვერ ერევა

**ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრები კერძო საკუთრების შენარჩუნების მოთხოვნით პრემიერ-მინისტრს წერილობით მიმართავენ, რათა მთავრობამ შემოქმედებითი კავშირების ბალანსზე არსებული ქონების საკითხი განიხილოს.**

ოპოზიციონერი დეპუტატის კახა კუკავას თქმით, პარლამენტის მიერ ნოემბერში მიღებული კანონის მიხედვით, სახელმწიფოს უსასყიდლოდ უნდა გადაეცა შემოქმედებითი კავშირებისთვის სადავო ქონება, რაც კანონის მიღებიდან ერთ თვეში უნდა მომხდარიყო: **„ჩვენ იანვრის ბოლომდე დაველოდეთ მთავრობას, მაგრამ მას მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღია. ამჟამად შევიტანეთ განცხადება ადმინისტრაციული განცხადების წესით და მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებას ვითხოვთ“,** — ამბობს იგი.



მისი თქმით, მწერალთა, მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირების ქონებით ბიზნეს-ჯგუფებია დაინტერესებული — ეკონომიკის სამინისტრო ერთ-ერთ ბიზნესჯგუფთან მოლაპარაკებას აწარმოებს, რის შედეგადაც სასტუმროდ გადაკეთებული მწერალთა სახლი შეგვრჩება: ერთოზ ორიგინალური რამ იქნება: ინებეთ, ბატონებო, ეგზოტიკური სასტუმროები ნომრებით (ეგზოტიკა ფული ღირს) — კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონის... კაბინეტები. აი, ასე უბერავს გოკა გაბაშვილი...

„დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთ ლიდერს წარმოუდგენლად მიაჩნია დიდი ქართველი მწერლების კაბინეტებში სასტუმროს ნომრების გახსნა: **„ეს კონსტანტინე გამსახურდიას უპატივცემულობაა, იგივეს ვიტყოდი, მისი სახელობის გამზირისთვის პეკინის ქუჩის დარქმევის გამო, რათა ჩინეთთან ურთიერთობა გავიუმჯობესოთ, ანდა, ზვიად გამსახურდიას ქუჩას ალიევის სახელი რომ უწოდეს...**

**არა მგონია, ვთქვათ, საფრანგეთში, ასეთი პოლიტიკური მიზნებისთვის, „ბალზაკის“ ქუჩას სააკაშვილის ქუჩა უწოდონ“.**

კახა კუკავა ფიქრობს,რომ უმართებულოა, როცა ამ შემოქმედებით კავშირებს საბჭოთა გადმონაშთობას ვაბრალებთ: „უწინაც ვთქვი, რომ ეს თემა ცალკე მსჯელობის საგანია. არც ოპოზიცია და არც შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები კავშირების რეფორმის წინააღმდეგნი არ არიან. როგორი რეფორმაც უნდა ყოფილიყო ქონება შემოქმედებით კავშირებს უნდა დარჩენოდათ. მაგრამ პირიქით მოხდა — მათ ქონებას ართმევენ და კავშირებს იგივე ფორმით ტოვებენ“...

**კახა კუკავამ ზვიად გამსახურდიას პერიოდი გაიხსენა: „ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ რომ აირჩიეს, იმ დროს ალკკ ცკ-ს ყოფილ შენობაში „მრგვალი მაგიდის“ ოფისი იყო. გამსახურდიამ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, „მრგვალი მაგიდა“ გამოასახლა შენობიდან და ის მწერალთა კავშირს დაუთმო, საიდანაც თავად გარიცხული იყო.**

**არა მგონია, მას გულზე ეხატებოდა თუნდაც მწერალთა კავშირის მაშინდელი მესვეურნი, მაგრამ იგი აფასებდა მწერლობას და არ შემოიფარგლებოდა იმ მწერლებით, ვინც იგი კავშირიდან გარიცხა.**

**წარმოიდგინეთ, დღეს რომ ნაცმოძრაობამ თავისი ოფისი რომელიმე კულტურულ ობიექტს დაუთმოს. ხუნვეიბინების ეპოქაში ჩინეთში პროფესორებს ფანჯრიდან ყრიდნენ. ახლაც იგივე მეორდება. მხოლოდ შადრევნები, სასტუმროები, გზები გვჭირდება, მაგრამ არ გვჭირდება არც კულტურა, არც კინო და შემოქმედება. 30-იან წლებშიც ასე იყო: მაშინაც „ჯვარს აცვეს“ მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ჩვენი კულტურის უამრავი სახელოვანი მოღვაწე. მაშინაც მუშურ-გლეხურმა ალმასკომმა გამოაცხადა, არ გვინდა მწერლობა, გვინდა ტრაქტორიო. ახლაც ასეა, ჩვენ არ გვჭირდება კულტურა, გვჭირდება — შადრევანი“...**

კახა კუკავას აზრით, თუნდაც ამ შემოქმედებით კავშირებში ცუდი ადამიანები იყვნენ გაერთიანებულნი, საკუთრების უფლება ჩვენი კონსტიტუციის საფუძველთა საფუძველია. ადამიანს კი, ნებისმიერი მთავრობის დროს, ეს საკუთრება გარანტირებული უნდა ჰქონდეს და პრეზიდენტის ნება-სურვილზე არ უნდა ეკიდოს. **„ქვეყანას საშინელი ქაოსი დაეუფლება, პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, მთელი საკუთრების გადანაწილება რომ დავიწყოთ“...** — დაასკვნა კუკავამ.

ამ საკითხის გამო დავუკავშირდით მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს, გვაინტერესებდა, მათი ქონებით უშუალოდ რომელი ბიზნეს-ჯგუფია დაინტერესებული.

მან გვითხრა, რომ ჯერჯერობით არსებითია ქონების დარჩენა-არდარჩენის საკითხი, მაგრამ მიუღია დავით სარაჯიშვილის ფონდის თავმჯდომარის ელგუჯა ბუზუტეიშვილის წერილი. იგი დავით სარაჯიშვილისეული ყველა ნივთის გადაცემას მოითხოვს.

**— ყველა ნივთში რა იგულისხმება?**

— ეგ ვინ იცის? სარაჯიშვილის შემდეგ ეს შენობა სხვამაც შეიძინა. რომელი მემკვიდრე ბუზუტეიშვილია, რომ ამას მოითხოვს?!

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ დოკუმენტი

# ბირთვული მასალების კონტრაბანდას ერთად ალკვეთენ

**ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ბირთვული და რადიაქტიული მასალების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას ერთობლივად იწყებენ.**

შესაბამის დოკუმენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გელა ბეჟუაშვილმა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ტეფტმა გუშინ მოაწერეს ხელი.

დოკუმეტის სახელწოდებაა „საქართველოს პრიორიტეტულ ღონისძიებათა შესახებ ბირთვული მასალების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გზების გაუმჯობესების შესახებ“.

აღნიშნული დოკუმენტი საქართველოდან და ამერიკის მხრიდან როგორც ერთობლივი. ასევე ინდივიდუალური ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებს.

როგორც გელა ბეჟუაშვილმა ხელმოწერის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველო მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, მათ შორის მეზობელ ქვეყნებს ასეთი სახით თანამშრომლობისაკენ, რადგან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და მისი ტრანზიტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხს წარმოადგენს.

მისივე თქმით, საქართველოს მიაჩნია, რომ აუცილებელია ამ თვალსაზრისით თანამშრომლობა და ურთიერთქმედება რუსეთთან.

**როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა განაცხადა, ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ საქართველოსა და ამერიკას შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპი იწყება.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ კონფლიქტის ზონა

# გალში სეპარატისტთა რიცხვი იზრდება

**გალის რაიონში აფხაზური მილიციისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების წევრთა რიცხვმა 500-ს საგრძნობლად გადააჭარბა. — აფხაზური მილიციის**



**თანამშრომლებთან ერთად გალის რაიონში გაურკვეველი წარმომავლობის შეიარაღებული ფორმირებებია თავმოყრილი, რომელთა შორის დამოკიდებულება არცთუ მეგობრულია, ამიტომ მდგომარეობა ყოველწუთს შეიძლება უმართავი გახდეს, — ამბობს ინფორმატორი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.**

მოსკოვის 1994 წლის შეთანხმების მიხედვით, კონფლიქტის ზონის 24 კმ-იან მონაკვეთში სამართალდამცველთა რიცხვი როგორც ქართული, ასევე აფხაზური მხრიდან 500-ს არ უნდა აჭარბებდეს.

ინფორმატორის ცნობით, მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა, რაც დაახლოებით ერთი თვის წინათ გალის რაიონის აფხაზური მილიციის უფროსის მოადგილე ოთარ ტურნანბა მოკლეს. მისი მკვლელობის შემდეგ გალის რაიონში გავლენის სფეროების გადასანაწილებლად ბრძოლა ღიად დაიწყეს იმ მცირერიცხოვანი დაჯგუფებების ხელმძღვანელებმა, რომლებიც მანამდე ტურნანბას ემორჩილებოდნენ.

— ეს ბრძოლა ჯერ მასობრივ სისხლისღვრამდე არ მისულა, რადგან ყველა დაჯგუფება ცდილობს, ჯერ ფინანსურ დასაყრდენზე იფიქროს და შემდეგ განაცხადოს პრეტენზია პირველობაზე. სწორედ ამით აიხსნება გახშირებული გატაცებები და დიდი რაოდენობით გამოსასყიდის მოთხოვნა, — ამბობს ინფორმატორი.

ბოლო 10 დღის განმავლობაში გალის რაიონიდან ფულის გამოძალვის მიზნით 5 ადამიანი გაიტაცეს. ყველა მათგანი ეროვნებით ქართველია. გამტაცებლებმა გამოსასყიდის სახით, საერთო ჯამში, 200 000 აშშ დოლარი მოითხოვეს, თუმცა არც ერთი გატაცებულის ოჯახს თანხა არ გადაუხდია.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ბრიფინგი

# ზურაბიშვილს ჟვანია გაახსენდა

**პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ პარტიის ოფისში საგანგებო ბრიფინგი გამართა.**

ბრიფინგი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მეორე წლისთავს და სანდრო გირგვლიანის მკვლელობის წლისთავს უკავშირდებოდა.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაჩენილ არც ერთ შეკითხვაზე დღემდე პასუხი არ არის.

— ჩვენ თუ გვინდა ვიცხოვროთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, უნდა გვქონდეს ყველა იმ შეკითხვაზე პასუხი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის მისამართით არის დასმული. მერაბიშვილი, თუ ის რამის გამკეთებელია და მას მხოლოდ სკანდალურად შეთხზული საქმეების გახსნა არ ავალია, პასუხი უნდა გასცეს თანამოქალაქეების უამრავ, ბუნდოვან შეკითხვაზე. ეს პასუხი საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ასევე ყველა უმაღლეს ინსტანციას მოეთხოვება, — განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, დღეისთვის ძალიან საშიშ ტენდენციაში ვცხოვრობთ, ეს არის ილუზიური ცხოვრება, ვითომ კარგად ვცხოვრობთ, ვითომ თავისუფლებით დაცულები ვართ, ვითომ ჩვენი საკუთრება დაცულია და ყველაფერი ის, რაც ხდება, აუცილებელი და საჭიროა.

— საზოგადოებამ უნდა მოიკრიბოს ძალა და მოითხოვს ხელისუფლებისგან, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, — აღნიშნა ზურაბიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ პროტესტი

# დანარჩენმა 60-მა პროცენტმა რა ქნას?!



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „თანასწორობის ინსტიტუტთან“ ერთად, იმ სტუდენტთა აქცია გაიმართა, ვისაც ორშაბათიდან, 5 თებერვლიდან მაგისტრატურაში ჩასაბარებელი გამოცდები უნდა დაწყებოდათ. განაცხადი 1300-მა სტუდენტმა შეიტანა და ერთობ გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ისინი ჩივიან, რომ მათი ადგილები მაგისტრატურაში აღარ არის.**

სტუდენტები იმ დადგენილებას აპროტესტებენ, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტის მაგისტრატურაში უფასო სწავლა გაუქმებულია. მისი საფასური 3 ათას ლარზე მეტი იქნება.

აქციის ერთ-ერთი მონაწილის, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტის ეკა გამრეკელაშვილის თქმით, თუ უნივერსიტეტის რექტორი გია ხუბუა არ დააკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნებს, აქცია გაგრძელდება. სტუდენტები სასამართლოში სარჩელის შეტანასაც აპირებენ.

ახალგაზრდების აზრით, სახელმწიფო მათ მაგისტრატურაში სწავლის უფასოდ გაგრძელების უფლებას ართმევს. ბევრ სტუდენტს ამხელა თანხის გადახდის საშუალება არა აქვს.

განათლების მინისტრი კახა ლომაია კი ამტკიცებს, უფასო მაგისტრატურა არ გაუქმებულა, უნივერსიტეტი, მაგისტრანტების 40 პროცენტს დააფინანსებს. თუმცა — რთული პროცედურების შემდეგ.

**ოლღა ცისკარიშვილი**

● ასეთი მთავრობა თუ მოვიდოდა, ნამდვილად არ მეგონა. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილმა არ იცის ჩვენი მდგომარეობა, თორემ ზომებს აუცილებლად მიიღებდა



◎ ვითარება

# დარწმუნებული ვართ, რომ პრეზიდენტმა არ იცის, რისთვის ვაწყობთ მიტინგებს...

*თბილისი აქციების ტალღამ მოიცვა. ნიშანდობლივია, რომ საერთო გაჭირვებამ გააერთიანა დევნილები, შრომისა და ომის ვეტერანები, მრავალშვილიანი ოჯახები, ინვალიდები, სოციალურად დაუცველი სხვა ფენები, რომელთაც მთავრობამ შეღავათები გაუუქმა. პენსიონერები ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვენ, მაგრამ, საკითხავია, უშველის კი ამდენ გაჭირვებულ და გაუბედურებულ ადამიანს მინისტრის გადადგომა?*

*ჩვენი კორესპონდენტი აქციის რამდენიმე მონაწილეს ესაუბრა.*

**მადონა მაისურაძე, ყოფილი მეცნიერ-მუშაკი, ამჟამად პენსიონერი:** – არ მგონია მთავრობას ეს გაუვიდეს, ყოველივე ხალხის გამოცდას უფრო ჰგავს. თუ დავეთანხმებით, ხომ კარგი, თუ არადა, დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილებას შეცვლიან. ეს ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად მეტნი მოვალთ აქციებზე. მთავრობას ძალიან მალე დაავიწყდა, თუ რა შეუძლია ხალხს. ესენი ჩვენი არჩეულები არიან და ჩვენვე გადავირჩევთ.

**თინათინ ვაჩიბერიძე, ხუთი შვილის დედა:** – შევარდნაძის მთავრობა თითო ბავშვზე თვეში 5 ლარს გვაძლევდა და მაშინ ეს სასაცილოდ არ გვყოფნიდა, იმდენად მწირი თანხაა. ამ ხელისუფლებამ კი ესეც მოგვიხსნა. რა, ბევრნი ვართ ქართველები? რა უნდა იფიქროს ახალდაქორწინებულებმა, ვინ გააჩენს თითო შვილზე მეტს? ხუთი ლარის გულისთვის კი არ ვაჩენთ შვილებს, მაგრამ დახმარება და ხელშეწყობა ხომ გვინდა, ოთხი მარტო სკოლის მოსწავლე მყავს. წარმოიდგინეთ, რამდენი იხარჯება სკოლის ნივთებზე, ჩაცმაც ხომ უნდათ, შეიძლება მოზარდს არ მისცე საკვები, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია? ასეთი მთავრობა თუ მოვიდოდა, ნამდვილად არ მეგონა. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილმა არ იცის ჩვენი მდგომარეობა, თორემ ზომებს აუცილებლად მიიღებდა.

**გიორგი უძილაური, შრომისა და ომის ვეტერანი, 82 წლის:** – შარშან რამდენნაირი შეღავათი გვქონდა, მაგრამ ცხოვრება მაინც გვიჭირდა. პენსია პურის ფულადაც არ მყოფნის, ჩემი ერთი შვილი ამერიკაში წავიდა, იქ ერთ მოხუცს უვლის, აღებული ფულით თავსაც ირჩენს და ჩვენც. სხვანაირად არ შეიძლებოდა. სამი შვილიდან ერთი მუშაობს, იმასაც თავისი ოჯახი აქვს სარჩენი. შარშან შეღავათის წყალობით ვალი მინახევრდებოდა. ახლა რა ვქნა არ ვიცი, აქ კი მოვედი, ხვალაც მოვალ და ზეგაც, მაგრამ გვეშველება რამე? არ მგონია.

**ნინო ახრახაძე:** – ბავშვობიდან I ჯგუფის ინვალიდი შვილი მყავს. უმაღლესი კი დაამთავრა, მაგრამ რაღად გინდა. დღეს ისეთი ცხოვრებაა, ინვალიდს სამსახურში ვინ გააჩერებს, ისედაც ყველას შინ ერეკებიან. შვილის ინვალიდობის გამო კომუნალურ გადასახადებში შეღავათები გვქონდა, ახლა ისიც მოგვიხსნეს. საერთოდ, ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი პენსიონერებს ხშირად კი ახსენებს, მაგრამ დაბადებით ინვალიდებზე სიტყვა არ დაცდენია. ამ კატეგორიის ხალხს ხომ ისედაც მძიმე ცხოვრება აქვთ, დახმარების ნაცვლად რატომ ვაუარესებთ მათ ყოფას, გაგვცეს ამაზე პასუხი მინისტრმა.

**თამარ წამალაძე, პროფესიით პედაგოგი, ამჟამად პენსიონერი:** – 55 წლის შრომის სტაჟი მაქვს. 16 წლის ვიყავი, მუშაობა რომ დავიწყე. ხშირად ჩემი ხელფასით ვყიდულობდი მოსწავლეებისთვის ტანსაცმელს, წიგნებს. ახლა დაუძლურებული კი ვარ, მაგრამ იმდენი შემიძლია, მიტინგებზე მაინც ვიარო, როგორმე მივაწვდინოთ ხმას ჩვენს პრეზიდენტს. მე არც საკვები მაკლია და არც სხვა რამ, მაგრამ თავმოყვარეობის ამბავია, რატომ უნდა ვიყო სხვისი ხელის შემყურე?

**– ქალბატონო თამარ, თქვენი აზრით, მთავრობამ რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ თქვენნაირი ბიოგრაფიის მქონენი ასეთ დღეში არ ჩავარდნენ?**

– პირველ რიგში დასაქმებას უნდა მიხედოს. განა შეიძლება ამდენი უმუშევარი იყოს ქვეყანაში? უცხოელები უფრო ფრთხილობენ სამსახურებს. აბა, წადით სხვა ქვეყანაში. იქ, უპირველესად, ადგილობრივებს უწევენ რეკომენდაციას, მერე დანარჩენს. ჩვენთან კი პირიქითაა, არ ვიცი ასე რატომ ხდება. ახლა ყველაფერი აირია, ყველა ძველ მუშაკს დაუნდობლად ითხოვენ სამუშაოდან. პენსიონერი და ინვალიდი ყველა ქვეყანაში დაფასებული და პრივილეგირებული კატეგორიაა, ჩვენთან კი – არა.

**დავით დიასამიძე, შსს ვეტერანი:** – იმდენი მედალი მაქვს, დათვლა გამიჭირდება, მაგრამ რაღ გინდა... მინისტრი ატყუებს ხალხს, როცა ამბობს, შეღავათები კი არ გაუქმდა, უბრალოდ, ფულადი სახით მიიღებთო. ზოგი 44 ლარს, ზოგი – შვიდსო. ოჯახში ექვსი სული ვართ, 44 ლარიც რომ მომიწიოს პირადად მე, მარტო წყლისა და ნაგვის გადასახადზე არ მეყოფა. ადრე კი რამდენნაირი შეღავათი გვქონდა. მთავრობა თუ გადაწყვეტილებას არ შეცვლის, ჩვენც არ დავუჭერთ მას მხარს არჩევნების დროს.

**ელისაბედ მეზონია, პენსიონერი:** – ასე მგონია, სპეციალურად აკეთებენ იმას, რომ ხალხს პრეზიდენტი შეაძულონ. რა ვქნა, ვერ დავიჯერებ, რომ ბატონმა მიშა სააკაშვილმა იცოდეს თუ პენსიონერები როგორ გაიმეტეს და ხმას არ იღებს. ჩვენ არ შევწყვეტთ აქციებს, სანამ ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ და შეღავათებს არ აღგვიდგენენ. პირიქით, ჩვენი რიგები უფრო გაიზრდება. რადგან საქართველოში სოციალური ყოფა მეტად მძიმეა, რაც ადამიანებს აგრესიულს ხდის, რის გამოც მატულობს მკვლელობები, გატაცებები და სხვა დანაშაული. დროა, მოგვხედოს პრეზიდენტმა, ჭიპაშვილი კი სამსახურიდან აუცილებლად უნდა გაათავისუფლოს.

**ნაზი იმნაიშვილი**



◎ ინფორმაცია

## ახალი კანონპროექტი

**კონსერვატორების წარმომადგენელმა გიგა ბუკიამ და თანასწორობის ინსტიტუტის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა ერთობლივად შეიმუშავეს კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ დამატებების შეტანის შესახებ. ამ კანონპროექტის მიხედვით, ის მეწარმეები, ვინც საწარმოებს საპატიმროებში გახსნიან, გათავისუფლდებიან გადასახადებისაგან.**

**როგორც გიგა ბუკია განმარტავს, ეს ეხება მხოლოდ იმ საწარმოებს, რომლებიც საპატიმროებში იქნება გახსნილი და ძირითადად მიმართულია პატიმართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.**

**საგანგებო ბრიფინგზე გიგა ბუკიამ და ლაშა ჩხარტიშვილმა პროექტის პრეზენტაციაზე წარმოადგინეს სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლის მიხედვით, საქართველოში 15 600 პატიმარია და აქედან მხოლოდ 12 ადამიანია დასაქმებული, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში პატიმართა 30 პროცენტსაც კი სცილდება.**

**კანონპროექტის ავტორთა განცხადებით, თუკი ხელისუფლება ამ კანონპროექტს მიიღებს, ამოქმედების შემთხვევაში პატიმართა მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.**

**ХИ-ЭИВ-ЭНИ**

## თორთლაძემ, შესაძლოა კომისია დატოვოს

**ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრმა გია თორთლაძემ, შესაძლოა დეპორტირებულთა საქმეების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია დატოვოს.**

**როგორც გია თორთლაძემ განმარტა, მან და „მრეწველების“ წევრმა გია ცაგარეიშვილმა იუსტიციის მინისტრის კომისიაში მისვლა მოითხოვეს, რათა გაირკვეს, რატომ აჭიანურებს სამინისტრო რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის შეტანას.**



**„თუ სარჩელი სასამართლოში არ შევა, ჩემს კომისიაში ყოფნას აზრი არ აქვს“, – განაცხადა გია თორთლაძემ.**

**ასეთივე განცხადება რამდენიმე კვირის წინათ „მრეწველების“ წევრმა გია ცაგარეიშვილმაც გააკეთა.**

**დეპუტატებს ეჭვი აქვთ, რომ რუსეთის ელჩის საქართველოში დაბრუნების გამო შესაძლოა ქართულმა მხარემ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი აღარ შეიტანოს.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ აქტუალური თემა

# თურმე მსესხებლებზე ზრუნავენ

## ოც დღეში, შესაძლოა, ცარიელ-ტარიელი დარჩეთ

**კანონმდებლობით იპოთეკური სესხის გამომტან ურჩ გადამხდელთაგან ფულის მისაღებად, ბანკებს სასამართლოში ჩივილი უწევს. სასამართლო პროცესი კი, შესაძლოა, რამდენიმე – თვე, ზოგჯერ კი რამდენიმე წელიც გაიჭიმოს. ბინა, კერძო სახლი, კომერციული ფართი, საწარმო, მიწა – ეს ის საკუთრებაა, რაც ბანკიდან იპოთეკური სესხის გამოსატანად არის საჭირო. სესხის გადაუხდელობისას კი ბანკის განკარგულებაში გადადის. შემდეგ საკუთრება იყიდება და ბანკს ფული უბრუნდება. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს საყოველთაოდ ცნობილი პროცედურა არც ისე მარტივია და ხშირად დროში ძალიან იწელება.**

ამ საკითხის დასარეგულირებლად, პრეზიდენტის ინიციატივით, პარლამენტში განსახილველად ახალი კანონპროექტი შედის, რომელიც სასამართლოს ასეთი დავის განხილვისათვის მხოლოდ ოცი დღის ვადას აძლევს. კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ, ვინაიდან ბანკის იურიდიულად გაფორმებული დოკუმენტაცია ყოველთვის სამართლებრივად სწორია, ზედმეტი ხარჯი კლიენტს აწვება, რაც დროის გაჭიმვასთან ერთად, მატულობს. მათი აზრით, ურჩი გადამხდელები სასამართლოს, ძირითადად, დროის მოსაგებად იყენებენ. ახალი კანონპროექტის მიხედვით, ოცი დღის გასვლის შემდეგ, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. შესაძლებელია, გადაწყვეტილება გასაჩივრდეს, მაგრამ ეს უძრავი ქონების რეალიზაციას არ აჩერებს. შესაბამისად, ბანკი ზარალს სწრაფად ინაზღაურებს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ ეს კანონპროექტი ბანკის ინტერესებს მსესხებელზე მეტად ითვალისწინებს. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა გვარამია ოპონენტების ამ მოსაზრებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ „ეს კანონპროექტი არ არის ბანკებისთვის, არამედ არის მთლიანად სისტემის განვითარებისთვის, რაც საბანკო მომსახურების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად“.

პარლამენტი კანონპროექტს საგაზაფხულო სესიაზე განიხილავს.

**მზია ხურცილავა**

◎ კანონმდებლები

*ოპოზიციამ ფრაქციების დაფინანსების პირობა მიიღო. საპარლამენტო უმრავლესობა თანახმაა ოპოზიციის მოთხოვნა შეასრულოს. ამ საკითხის გადასაწყვეტად, დეპუტატებს პარლამენტის თავმჯდომარის ჩარევა დასჭირდათ. ორივე მხარე კმაყოფილია. შეთანხმდნენ, რომ საბოლოო პასუხს ფრაქციების თავმჯდომარეები ერთ კვირაში მიიღებენ.*

# პოლარული დაპირისპირება: დეპუტატები ფულით ვერ ძლებიან, ხალხი?!

## სხდომას არ გააცდენ? – აი, შენ „კანფეტი“ – 200 ლარი!

დღემდე ფრაქციები რაოდენობის მიხედვით ფინანსდებოდა. ოპოზიციამ უმრავლესობას შერეული პრინციპი შესთავაზა. ამ სქემის მიხედვით, ყველა ფრაქციისთვის საწყისი თანხა თანაბარი – 5000 ლარი იქნება, აპარატის თანამშრომლებისთვის – 1000 ლარი, ფრაქციის თითო წევრისთვის – 50 ლარი. სქემის მიხედვით, ოპოზიციის 1500-ლარიანი თვიური ბიუჯეტი 7000 ლარამდე გაიზრდებოდა. კონსულტაციების შემდეგ, სქემა განსხვავებულია. ფრაქციებისთვის საწყისი თანხა 4000 ლარამდე მცირდება, მაგრამ 100 ლარამდე იზრდება ფრაქციის თითოეული წევრის დაფინანსება. ამასთან, სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა აპარატის თანამშრომლების დაფინანსება. ერთი სიტყვით, ოპოზიცია ძალიან კმაყოფილია.

საბიუჯეტო თანხები არც უმრავლესობის ფრაქციას ჰყოფნის. რაოდენობრივი უპირატესობის გამო, ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაზე მეტ თანხას იღებს, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობენ, ეს თანხა მაინც არ არის საკმარისი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში მოლაპარაკებების გასამართად ჯგუფები იგზავნება. ჩვენ ამაზე არ ვწუწუნებთ, მაგრამ ამ ხარჯების შემცირებას არ ვაპირებთო, განაცხადა მაია ნადირაძემ. ამით უმრავლესობამ უარით უპასუხა ოპოზიციის კიდევ ერთ მოთხოვნას, დელეგაციებში ნაციონალებისთვის განკუთვნილი თანხის შემცირებაზე.

**ფრაქციების დაფინანსებასთან ერთად, დეპუტატების ხელფასებიც იზრდება. ეს 200-ლარიანი პრემიის ხარჯზე უნდა მოხდეს, რომელსაც ყველა იმ დეპუტატს მისცემენ, ვინც პარლამენტის სხდომებს არ გააცდენს.**

**მზია გელენავა**

№ 21. შაბათი, 3 თებერვალი, 2007 წელი.

№ 21. შაბათი. 3 თებერვალი. 2007 წელი.

# პრობლემა

**ბატონ ლადო ჭიპაშვილს გვინდა შევახსენოთ, რომ იგი არა მარტო ჯანდაცვის, არამედ შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრიცაა და მის უშუალო მოვალეობაში შედის მედიცინის მუშაკთა შრომითი და სოციალური უფლებების დაცვა**



**◉ არის ასეთი აზრიც**

*ბოლო პერიოდში ქართული საზოგადოება მუდმივ ცვლილებებშია. მთავარია, რამდენად სასიკეთოდ მოქმედებს ეს ცვლილებები საზოგადოების თითოეულ წევრზე, რამდენად უწყობს ხელს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, ცხოვრების დონის ამაღლებას და პირადი ინიციატივების რეალიზაციას.*

*უკანასკნელ ხანს საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ჯანდაცვის სფეროში ახალმა მოულოდნელმა ცვლილებებმა. საქართველოს მთავრობამ განაცხადა სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციის შესახებ. მოსახლეობამ მოისმინა მთავრობის წევრთა განცხადებები, რომ 3 წლის განმავლობაში ქვეყანაში აშენდება 100 საავადმყოფო, გაუმჯობესდება სამედიცინო მომსახურების დონე და ა.შ.*

*ის, რომ ჯანდაცვის სფერო ღრმა კრიზისშია, ყველასათვის ცნობილია, მაგრამ პრობლემის გადაჭრის კონკრეტული მიმართულებები ჯერ არავის წარმოუდგენია. ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთი მრავალმხრივი და ფართომასშტაბიანი პრობლემის გადაჭრა, როგორიც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაა, მხოლოდ პრივატიზაციის საშუალებით შეუძლებელია. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტი ამ საზოგადოებრივად უმნიშვნელოვანესი საკითხის გადასაჭრელად. თვით პრივატიზაციის პროცესი მოითხოვს ურთიერთდაკავშირებული მომენტების გათვალისწინებას.*

*მსგავსი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მხოლოდ სათანადო კონცეფციისა და პროგრამის შემუშავების შემდეგ მიიღება. ამ პროცესში კი მონაწილეობენ როგორც სპეციალისტები, ასევე საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენლები. ასეთია მიდგომა დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც გადაწყვეტილებები პრობლემის სერიოზული გააზრების საფუძველზე მიიღება.*

*სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციასთან დაკავშირებით მრავალი კითხვა იბადება, რომელიც პასუხს მოითხოვს, კერძოდ:*

# ვისთვის ტარდება ჯანდაცვის რეფორმა?

— პრივატიზაციისას შენარჩუნდება თუ არა სამედიცინო დაწესებულებების პროფილი (ან სად იქნება შენარჩუნებული და სად — არა);

— მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში არსებული სამუშაო ადგილები შენარჩუნდება თუ არა;

— შემცირების შემთხვევაში, გათვალისწინებულია თუ არა ექიმების და სხვა სამედიცინო პერსონალის დასაქმება, გადამზადების და სოციალური დაცვის ღონისძიებები;

— სამედიცინო პერსონალის შემცირების შემთხვევაში, ეს პროცესი რა პრინციპის საფუძველზე (რა კრიტერიუმებით) განხორციელდება;

— როგორი იქნება პრივატიზაციის პროცესი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე (ფასები, სამედიცინო ობიექტების ადგილმდებარეობა, ტექნიკური აღჭურვა და სხვ.);

— როგორი იქნება სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურების დონე (საპროგნოზო მაჩვენებლები);

— სამედიცინო დაწესებულებების რა ნაწილი იქნება პრივატიზებული (რამდენი და რომელი დაწესებულება დარჩება სახელმწიფო საკუთრებაში);

— რა ოდენობის სახსრები შემოვა სახელმწიფო ბიუჯეტში სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციიდან (საპროგნოზო მაჩვენებლები) და რა მიზნით გამოიყენებენ ამ სახსრებს.

აღნიშნულთან ერთად, საინტერესოა, შემუშავებულია თუ არა სამედიცინო დაწესებულებების (საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვ.) რაოდენობის დასაბუთებული ნორმები (ნორმატივები, სტანდარტები) მოსახლეობის რიცხოვნობისა და ტერიტორიული განლაგების მიხედვით, ან აპირებს თუ არა მთავრობა ამ მაჩვენებლების გაანგარიშებასა და დამტკიცებას. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად არის შესაბამისობაში საქართველოში მოქმედი (ან მომავალში გათვალისწინებული) სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა დაავადებათა სპეციფიკასთან.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს საკითხი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, მსოფლიო ბანკისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაწილეობით შემუშავდა და დაიწყო კიდეც მისი განხორციელება.

ვინაიდან ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მთავრობამ სათანადო პროგრამის წარმოდგენა არ ისურვა, პრობლემის განხილვისას ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენლების განცხადებებს დავეყრდნობით, რათა საზოგადოებას მეტ-ნაკლები წარმოდგენა შეექმნას ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებზე.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, რომ დასახელებული პროცესი არ უკავშირდება ექიმთა რიცხვის შემცირებას და ჩვეული ენთუზიაზმით ამაში ეჭვის შემტანი ადამიანები „დებილებად“ გამოაცხადა (ამა წლის 19 იანვარს ტელეგადაცემა „რეაქციაში“ გამოსვლისას ბატონი ლ. ჭიპაშვილი ასეთი კატეგორიული უკვე აღარ იყო). ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბატონ გიორგი არველაძის განმარტებით **„ინვესტორი ვალდებულებას აიღებს, რომ კლინიკას, რომელსაც ის იყიდის, ფართს სხვა ადგილას უყიდის და თუ საჭირო გახდება, ახალ შენობას იმ ტერიტორიაზე აუშენებს... საავადმყოფოებში საწოლების ოპტიმიზაციაც მოხდება. რეფორმირებულ კლინიკაში იმდენ საწოლს დატოვებენ, რამდენზეც ქვეყანაში იქნება მოთხოვნა“**. თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსი ბატონი მამუკა ქაცარავა აცხადებს, რომ **„სამედიცინო კლინიკების ნაწილი პროფილს შეინარჩუნებს“. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ერთ კვირაში აპირებს მთავრობისათვის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის წარდგენას. ბატონი მ. ქაცარავას თქმით კი, „სქემა, როგორ უნდა მოხდეს ჯანდაცვის დაწესებულებების ოპტიმიზაცია, ჯერ დამუშავების პროცესშია. რომელი კლინიკა დარჩება სახელმწიფოს საკუთრებაში და რომელი კერძო სექტორის ხელში გადავა, ეს ერთ თვეში გაირკვევა“** („რეზონანსი“ №3, 11.01. 2007).

შეიძლება მოგვეყვანა სხვა გამონათქვამებიც, მაგრამ ისინი საკითხის არსს არ ცვლიან. ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები წინააღმდეგობრივია და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებსაც შეიცავს. მართალია, ბატონი ლადო ჭიპაშვილი აცხადებს, რომ ექიმთა შემცირებას „ადგილი არ ექნება“, მაგრამ ბატონი გიორგი არველაძე საუბრობს „საწოლების ოპტიმიზაციაზე“, რაც რეალურად საწოლების რიცხვის შემცირებას ნიშნავს. შემცირებული საწოლების პირობებში როგორ შენარჩუნდება ექიმთა რიცხოვნობა, მართლაც საკითხავია. ბატონ ლადო ჭიპაშვილს გვინდა შევახსენოთ, რომ იგი არა მარტო ჯანდაცვის, არამედ შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრიცაა და მის უშუალო მოვალეობაში შედის მედიცინის მუშაკთა შრომითი და სოციალური უფლებების დაცვა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როგორც ბატონი მამუკა ქაცარავა აღნიშნავს, კლინიკების მხოლოდ ნაწილი შეინარჩუნებს პროფილს, ე.ი. საავადმყოფოების და საერთოდ სამედიცინო დაწესებულებების გარკვეული ნაწილი გაუქმდება. ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან ვერ მოვისმინეთ იმის დასაბუთებაც, თუ რატომ არის განზრახული მაინცდამაინც 100 საავადმყოფოს აშენება და არა ვთქვათ 50-ის ან 150-ის. ისე, მკითხველს შევახსენებთ, რომ თავდაპირველად ჯანდაცვის მინისტრი აცხადებდა 91 საავადმყოფოს აშენების შესახებ. სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არსებობს ექიმთა და სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობის ოპტიმალური ნორმები მოსახლეობის რიცხვისა და განსახლების სპეციფიკის მიხედვით და შესაბამისად არ არსებობს ამ არცთუ უმნიშვნელო საკითხისადმი რაციონალური მიდგომები.

ქართული პრივატიზაციის ერთი საინტერესო თავისებურებაა ის, რომ ინვესტორი ვალდებული არ არის შეინარჩუნოს სამედიცინო დაწესებულების პროფილი (გამონაკლისების გარდა) და, ამასთან, მან კლინიკას რომელსაც იყიდის, უნდა უყიდოს ფართი „სხვა ადგილას“. ყველასათვის ცნობილია, რომ ფართის ფასი „სხვადასხვა ადგილას“ განსხვავებულია და ძნელი წარმოსადგენია, რომ ინვესტორმა „ეს ფართი“ ცენტრალურ უბნებში გამონახოს. ბუნებრივია, რომ ინვესტორი (მესაკუთრე) სამედიცინო დაწესებულებას ფართს უყიდის იქ, სადაც ის შედარებით იაფია. ასეთი იაფი ფართები კი ჩვეულებრივ ქალაქგარეთაა. საავადმყოფოებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების ტერიტორიული განლაგება არ არის შემთხვევითი და გარკვეულ გათვლებს და ნორმებს ეყრდნობა და იგი მოსახლეობისათვის მოსახერხებელია. საქმე მარტო ის როდია, რომ, მაგალითად, საბურთალოს მცხოვრებს გლდანის საავადმყოფოში მოემსახურებიან, არამედ ის, რომ როდესაც ავადმყოფს სასწრაფო დახმარება ესაჭიროება, გლდანის საავადმყოფოში მიყვანამდე შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეს არავითარი დახმარება. სწორედ ამიტომ ექცევა ყველა ქვეყანაში ყურადღება იმ გარემოებას, რომ სამედიცინო დაწესებულებები ტერიტორიულად მოსახლეობისათვის ხელსაყრელ ადგილას იყოს განლაგებული. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ვურჩევთ კარგად შეისწავლოს სხვა ქვეყნებსა და ქალაქებში სამედიცინო ობიექტების განლაგება.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, ალბათ, მაინც ფასებია. ტელევიზიით გამოსვლისას თბილისის მერმა, ბატონმა გიგი უგულავამ განაცხადა, სამედიცინო მომსახურების ფასები „ავტომატურად“ არ აიწევსო. არ ვიცით რამდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის ფასები „ავტომატურად“ აიწევს თუ „არაავტომატურად“. მთავარია, რომ აიწევს! ჯანდაცვის მინისტრი და მისი მოადგილეები საუბრობენ ევროპული სტანდარტის საავადმყოფოებზე, მაგრამ მსგავს საავადმყოფოებში მომსახურების ფასებიც ევროპული სტანდარტისაა, არაფერი რომ არ ვთქვათ ექიმთა ხელფასებზე, რაც, სხვათა შორის, მომსახურების ფასებზეც აისახება. ფაქტია, რომ მთელ მსოფლიოში კერძო კლინიკები ფუნქციონირებენ როგორც ჩვეულებრივი კომერციული ორგანიზაციები. მათი მიზანია ნაკლები ხარჯებით ჰქონდეთ მომსახურების მაღალი ფასები, ვინაიდან ამით ეზრდებათ მოგება. მასობრივ მომხმარებელზე გათვლისას, ფასების ზრდის შემაფერხებელი შეიძლება გახდეს მოსახლების გადახდისუნარიანი მოთხოვნა, რაც ჩვენთან ძალზე დაბალია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 55 პროცენტის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია (თანაც საარსებო მინიმუმის სტრუქტურაში სამედიცინო მომსახურების ხარჯები თითქმის არ არის გათვალისწინებული). ამის მიუხედავად, რეალურად, კერძო კლინიკებისათვის უფრო ხელსაყრელია ნაკლებად დატვირთული სამუშაო რეჟიმი — ნაკლები პაციენტები და მომსახურების მაღალი ფასები.

უნდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც. საქართველოში მოღვაწეობენ ძალზე მაღალი კვალიფიკაციის ექიმები, რომლებიც სათანადო პირობებში კონკურენტუნარიანნი იქნებიან საერთაშორისო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, მაღალკვალიფიციური ექიმებით დაკომპლექტებული ქართული „ევროპული სტანდარტის“ კლინიკები დიდ მიმზიდველობას შეიძენენ საშუალო ფენის წარმომადგენელი უცხოელი პაციენტებისთვის (ასევე შეძლებული ფენისათვის). ამგვარად, მსგავსი კლინიკები შეიძლება „დაიტვირთოს“ მხოლოდ მდიდარი ქართველებითა და უცხოელებით, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის კი ეს მომსახურება შეიძლება ძალზე შეიზღუდოს ან საერთოდ მიუწვდომელი გახდეს. უკვე დღეს, მრავალი უცხოელი სარგებლობს ზოგიერთი სახის სამედიცინო მომსახურებით საქართველოში (ძირითადად დაბალი ფასების გამო). დღეისათვის არსებული შეღავათები (რაც თანდათან იზღუდება ან სულაც უქმდება) მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებისათვის და სახელმწიფო პროგრამები, პრობლემას ოდნავადაც ვერ ამსუბუქებს. სამედიცინო მომსახურების თანამედროვე მდგომარეობას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ფასები დღესაც შთამბეჭდავია და ხელმიუწვდომელია მოსახლეობის უმრავლესობისათვის. ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად ზოგჯერ ოჯახს სახლკარის გაყიდვაც კი უხდება. ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება მნიშვნელოვან დარტყმას ახდენს ოჯახის ბიუჯეტზე.

ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების ტვირთი პაციენტის ჯიბეს ნაკლებად აწვება, ვინაიდან ამ საფასურს გაიღებს სადაზღვევო სისტემა, რომელიც სოლიდარობის პრინციპზეა აგებული. ვფიქრობთ, ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების ეფექტიანობას ხელს შეუწყობდა სამედიცინო დაზღვევის სისტემის დანერგვა. მხედველობაში გვაქვს უპირველეს ყოვლისა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა, რომელიც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს უნდა შეადგენდეს. საქართველოში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, აქტუალურია დაზღვევის ამ სახის ამოქმედება, რომლის ძირითადი პრინციპებია — ყველა მოქალაქისათვის სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა და ხარისხი, მომსახურების გარანტირებული მინიმუმი. ამასთან ერთად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის სისტემის განვითარებას. დაზღვევის სისტემის დასანერგად, აუცილებელია სამედიცინო ბაზრის და მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესწავლა, ადმინისტრაციული რესურსების შექმნა, სისტემის ასამოქმედებლად საჭირო თანხების გაანგარიშება და სხვ., რაც ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების აუცილებელი პირობაა.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ: სადავო არა არის, რომ ჯანდაცვის სფეროს დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა მეტად მძიმეა და ის საჭიროებს სერიოზულ კაპიტალურ დაბანდებებს. პრივატიზაციის შემოთავაზებული ფორმა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ვარიანტი. ამასთან ერთად, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთის ქვეყნებში კერძო კლინიკების რაოდენობა ბევრად მოკრძალებულია სახელმწიფო კლინიკებთან შედარებით და ეს თანაფარდობა შემთხვევით არ ჩამოყალიბებულა. საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციის წინადადებები სათანადოდ არ არის გათვლილი და შესამჩნევია საკითხის სწრაფად გადაწყვეტის სურვილი.

მაშინ, როდესაც ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაცია არასრულყოფილია, ზოგ საკითხზე კი საერთოდ არავითარი კომენტარი არ კეთდება ან, თუ კეთდება, მხოლოდ ზოგადი ხასიათის (მაგალითად, მომსახურების ფასებზე, ექიმთა შემცირებაზე და სხვ.), ბუნებრივია, რომ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვები.

შექმნილ ვითარებაში აუცილებლად მიგვაჩნია საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ამოქმედება ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების რეგულირებისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნებოდა ფართო საზოგადოების მონაწილეობა როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განხორციელების საქმეში.

ჯანდაცვის სფეროში ნებისმიერი ღონისძიება მოსახლეობის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. თუკი პრივატიზაციის პროცესი მხოლოდ ელიტური სამედიცინო კლინიკების შექმნას შეუწყობს ხელს, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კვლავაც ხელმიუწვდომელი იქნება, ეს გაზრდის სოციალურ დაძაბულობას. ამის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილი იქნება სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის და სოციალური დაცვის სხვა მექანიზმების დანერგვა და ამოქმედება.

**საქართველოს კონსტიტუციური სამართლიანობის ლიგის სახელით**

**ნატო ზაქარეიშვილი,**
**ირაკლი ტუღუში,**
**თემურ ჩავლეიშვილი.**

*რედაქციისგან: ვფიქრობთ, წერილში უაღრესად პრობლემურად აღძრულია ბევრი ისეთი საკითხი, რომელთა გათვალისწინება და, მით უმეტეს, განხორციელება, აუცილებლად სასიკეთოდ წაადგება ამჟამინდელ ჩვენს „სამედიცინო ორომტრიალს“, როცა ყველაფერზე ზოგად ლაპარაკში საქმიანი კონკრეტიკა არ ჩანს.*

*იმედია, როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ისე შესაბამისი ორგანიზაციები საქმისთვის გულშემატკივრობის დონეზე გამოეხმაურებიან ჩვენი ავტორების უთუოდ კომპეტენტურ ნააზრევს.*

*„საქართველოს რესპუბლიკა“ მზად არის, თავისი ფურცლები დაუთმოს ყველას, ვისაც ნამდვილად აღელვებს წერილში დასმული აქტუალური საკითხები და, რაც მთავარია, თვითონ პრობლემა, თუ, მართლაც, ვისთვის ტარდება ჯანდაცვის რეფორმა?!*

**● თუ ამ ხელისუფლებას ქვეყნისთვის სულ ცოტა სიკეთე მაინც ემეტება, მისი მხრიდან ყველაზე სწორი და ბრძნული ნაბიჯი იქნებოდა საზოგადოებისთვის ბოდიში მოეხადა და თავისი ნებით წასულიყო**



**◎ თვალსაზრისი**

# ფიქრია საჭირო, ფიქრი...

***ცვლილებების დროში ვცხოვრობთ. იცვლება ვითარება ჩვენს ირგვლივ, ვიცვლებით ჩვენც. საკუთარ თავად კი ვიცით რა ყოფაში ვართ, თუმცა კომპეტენტური კაცის აზრიც გვაინტერესებს. სწორედ ამ საკითხებზე ესაუბრა გონიერ კაცს — ეკონომიკის ექსპერტის, „ეროვნული ფორუმის" წევრს, ბატონ ნიკო ორველაშვილს ჩვენი კორესპონდენტი.***

**— ბატონო ნიკო, ხელისუფლება საჯაროდ აცხადებდა, რომ გაზში „პოლიტიკურ ფასს" არ გადაიხდიდა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ რუსეთის მხრივ შემოთავაზებული 230 დოლარის ნაცვლად 1000 კუბურ მეტრში 235 დოლარს ვიხდით. თქვენ როგორ შეაფასებთ ასეთ ვითარებას, ჩვენი ხელისუფლება ანგარიშში მოტყუვდა?**

—ერთი შეხედვით ასე ჩანს, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ იმ მაღალჩინოსნებმა, რომლებმაც 1000 კუბური მეტრი რუსული ბუნებრივი გაზის 160 და 195 დოლარად შესყიდვის შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან, იმაზეც კარგად იზრუნეს, რომ იმავე ოდენობის გაზში 235 დოლარის გადახდა მოსახლეობას მათი გამოუცდელობით, სიბრიყვით, ან, უარეს შემთხვევაში, დაუდევრობით არ აეხსნა. არადა, საქმეში ჩახედული ხალხის საფუძვლიანი მტკიცებით მათ, ვინც ასეთი უსიამოვნო სიურპრიზი მოგვიწყო, ძალიან კარგად იცოდნენ, თუ რას და რისთვის აკეთებდნენ.

**— არის ეჭვი იმის თაობაზე, რომ ფასი ხელოვნურად ააგდეს ჩვენებმა, რათა ამით შემდეგ მავანს ესარგებლა. რა იყო ეს, თქვენი აზრით, „კორუფციული თამაში", რომელიც საქართველომ წააგო, თუ...?**

— თქვენ თავად ბრძანეთ... დიახ, ეს თამაში საქართველომ წააგო, ერთმა მუჭა ქართველმა და არაქართველმა მაღალჩინოსნებმა კი მოიგეს. ჯერჯერობით ეს დოკუმენტურად ვერ მტკიცდება, მაგრამ, ხომ იცით, ამ ქვეყნად არაფერი რჩება სამუდამოდ დაფარული. მოვა დრო და ამსაიდუმლოსაც აეხდება ფარდა.

**— ყველა აღიარებს, რომ ბუნებრივი გაზის გაძვირება მძიმე ტვირთად დააწვება ხელმოკლე მოსახლეობას, რადგან კვების პროდუქტების მწარმოებელი საწარმოები, განსაკუთრებით კი პურის მწარმოებლები, ბუნებრივ გაზზე მუშაობენ. გაზის გაძვირება, ბუნებრივია, ელექტროენერგიას გააძვირებს, წყლის გადასახადი ხომ 100 პროცენტით უკვე გაძვირდა. ბაზარში პროდუქციას ისედაც ცეცხლი უკიდია... როგორ ფიქრობთ, ინფლაციის ისედაც გაზრდილი მაჩვენებელი განა კიდევ უფრო მეტად არ გაიზრდება?**

—ისევ თავადვე ბრძანებთ... კი, ინფლაციაც გაიზრდება და მოსახლეობის ცხოვრების დონეც მკვეთრად გაუარესდება, მაგრამ მერე ამით რა? თქვენი დაკვირვებით ეს დიდად აღელვებს იმ სახელმწიფო მოხელეებს, რომელთა ოფიციალური შემოსავლები წელიწადში 200 ათას ლარს აღწევს? მათ არაოფიციალურ შემოსავლებზე არაფერს ვიტყვი!

აბა, დააკვირდით, რა რიხით გვიცხადებენ, რომ ქვეყანა აღმშენებლობის გზაზე დააყენეს და გვამადლიან კიდეც ამას! მაგათ მთელი ქვეყანა საკუთარი სასახლეები და საბანკო ანგარიშები ჰგონიათ. შესაბამისად, მოსახლეობის გასაჭირზე ფიქრით ერთ წამსაც არ დაილდნენ თავებს, ამის გამო საფრთხეს რომ არ გრძნობდნენ. ეს საფრთხე კი ჯერჯერობით ძალიან სუსტია და სწორედ ამიტომ არიან ჩვენი ჩინოვნიკები ასე გალაღებულნი.

**— რა მოელის მოსახლეობას, რომელთა შემოსავალი მარტო გადასახადებსაც კი ისედაც არ ჰყოფნის?**

— რა მოელის და, იმაზე უარესი ბედი, ვიდრე ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი აფრიკის ულატაკესი ქვეყნების მოსახლეობას. იმ ქვეყნების ტრადიციული პრობლემებია შიმშილი, უწიგნურობა, გაველურება, გამათხოვრება და მიგრაციის მაღალი დონე. მათზე უარესი ბედი საქართველოში იმიტომ გველის, რომ აფრიკაში ზამთარი და ასეთი სიცივეები არ იცის. შესაბამისად, მათ სიცივით გაყინვა მაინც არ ემუქრებათ. შედეგად, ვინც გასაქცევს იპოვის, გადაიხვეწება ამ ქვეყნიდან, მათ ადგილს კი, ალბათ, უცხოტომელები დაიკავებენ.

**— შარშანდელი წელი ჩვენმა ხელისუფლებამ მოულოდნელი სიურპრიზებით დაამთავრა. აქ ვგულისხმობ კერძო, უკვე პრივატიზებული ქონების ჩამორთმევას, რას მოასწავებს ეს, ნუთუ გაკულაკებას? ხალხი ამბობს, უმჯობესია ქონება ჯერ „თავიანთი გუნდების წევრებს" ჩამოართვანო. ყველამ ხომ ვიცით, რომ ახალი ბინები, ბიზნესი, ახლობლებზე აქვთ გადაფორმებული, ამაზე რატომ ვხუჭავთ თვალს? კანონით პარლამენტარი ბიზნესს ხომ არ უნდა ეწეოდეს?**

— დღევანდელ საქართველოში „ველური" ფორმებით და ყოვლად უსამართლოდ მიმდინარეობს ქონების გადანაწილების პროცესი. გათავხედებული ხელისუფლება, ერთი მხრივ, სხვების ძარცვის გზით პირადი გამდიდრების და, მეორე მხრივ კი, ბიუჯეტის შევსების მიზნით (თუმცა, იმ ბიუჯეტსაც ისევ და ისევ საკუთარი გულის გასახარებლად ფლანგავენ) ყველას ყველაფერსართმევს. სხვას სწორედ იმიტომ ართმევენ, რომ თვითონ მიითვისონ. შესაბამისად, დიდი გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ საკუთარ თავს და თავისიანებს ჩამოართმევენ რამეს.

რაც შეეხება პარლამენტარების მიერ ბიზნესის კეთებას, აქაც ყველაფერი თეთრი ძაფებით არის ნაკერი. თუ ნაციონალების ოპონენტი ან თუნდაც ნეიტრალური პარლამენტარი დაიწყებს ბიზნესს, ან ბიზნესიდან მოვა პოლიტიკაში, მას უეჭველად ვალერი გელაშვილის ბედი ეწევა. ხოლო თუ ბიზნესს მათი გუნდის წევრი წამოიწყებს, ამაზე საუბარს მაშინვე ტაბუ დაედება, ან კიდევ უფრო „უკეთესი" — ხელსაც კი შეუწყობენ მისი კონკურენტების განადგურების, ან კიდევ სხვა გზებით. გაიხსენეთ, რა ალტაცებით საუბრობდა პრეზიდენტი პარლამენტის წევრ ცოზარ ჩოჩელის მარიფათზედა პრემიერ-მინისტრის მხრიდან მისთვის აღმოჩენილ დახმარებაზე!!! ან ბესო ჯუღელის ბიზნესის წარმატებლობა გაიხსენეთ. ნურც ბეჟუაშვილებს დაივიწყებთ, აშკარად ნიჭიერი ხალხი ჩანს.

ისე კი, თუ დამიჯერებთ, სულ ტყუილად იწუხებენ თავს ამ თემაზე ღრმა ფიქრებით. იმავე ბესო ჯუღელის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადების თანახმად, „ნაციონალები" მალე მორჩებიან არანაციონალების ძარცვას, ასევე მალე გაყრიან პოლიტიკიდან ყველა არანაციონალს, რომელსაც რომელიმე ბიზნესთან რაიმე შეხება აქვს და ამის შემდეგ გამოაცხადებენ მორატორიუმს ბიზნესმენების ძარცვაზე, ასევე დაუკანონებენ პარლამენტარებს ბიზნესის კეთების უფლებას და ყველა პრობლემა ერთბაშად გადაწყდება.

**— რიგით მეორე „სიურპრიზი" ახლომდებარე სოფლების დედაქალაქზე შემოერთებაა. როგორც ირკვევა, დასახელებული სოფლების მცხოვრებნი უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამ გადაწყვეტილების გამო. ფიქრობენ, რომ სიძვირის გამო, მიწას ვერ შეისყიდიან და მათ კუთვნილ ადგილებს უცხოელები ან მდიდართა კლანები დაეპატრონებიან.**

—გეთანხმებით. არც მე მგონია ეს ინიციატივა თბილისის მიმდებარე სოფლების მოსახლეობაზე დაულალავი ზრუნვის ნაყოფი, მაგრამ მერე რა? ვიდრე საზოგადოება არ გაიაზრებს, რომ მან თავად უნდა აკონტროლოს ხელისუფლება და თავადვე გახადოს ის მისი მსახური, ყველა ხელისუფლება ასე ულიერად და ცინიკურად მოექცევა მას.

**— მოსახლეობა უკვე უკმაყოფილებას გამოხატავს საძოვრების პრივატიზაციის გამო. მე პირადად შევხვდი დედოფლისწყაროელ, სიღნაღელ გლეხებს, რომლებიც ამბობენ, რომ არ დაუშვებენ საძოვრების გასხვისებას, რაც მათი აზრით მეცხოველეობის აბსოლუტურ დაცემას გამოიწვევს. საინტერესოა თქვენი კომენტარი.**

— არც კი ვიცი, რა არის აქ საკომენტარო. ამ ხელისუფლებას ხალხი არ ადარდებს და მეცხოველეობაზე დარდით გინდათ აატკიოთ თავი? ის კი მართლა მაინტერესებს, როგორ აპირებენ გლეხები აღუდგნენ წინ საძოვრების პრივატიზაციას.

**— ბატონო ნიკო, სადამდე მიგვიყვანს „ყველაფრის" გაყიდვა? რა საწარმოც გაიყიდა, თითო-ოროლა კაცი თუ მუშაობს იქ. თუ ასე გაიყიდა ყველა ობიექტი, უმუშევრობა კიდევ უფრო არ გაიზრდება?**

— პრობლემა თავად პრივატიზაცია არ გახლავთ. საწარმოთა უდიდესი ნაწილი მართლაც უნდა გაიყიდოს, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ძველმა მთავრობამ გააკეთა და არც ისე, როგორც ამას დღევანდელი ხელისუფლება აკეთებს. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, მაგალითად თუნდაც ესტონელები გამოგვადგებიან, მაგრამ ჩვენ კარგი მაგალითების გადმოღება ნაკლებად გვიყვარს... ცუდს უფრო იოლად და მეტი ხალისით ვსწავლობთ. ძალიან გულსატკენია ეს, მაგრამ სიმართლეს სად წაუხვალ?

ის ფაქტი კი, რომ პრივატიზებულ საწარმოებში თითო-ოროლა კაცი შემორჩა, სულაც არ არის იმის ბრალი, რომ ის საწარმოები კერძო მფლობელების ხელშია. აბა გაიხსენეთ, სახელმწიფოს ხელში დარჩენილი საწარმოებისგან ვის რა ხეირი აყრია? ანუ ის ფაქტი, რომ ქვეყანაში უმუშევრობა მძვინვარებს პრივატიზაციის ბრალი სულაც არ არის. უმუშევრობა გახლავთ ამ ბიზნესისადმი ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების მტრული, მომხვარებლური და ბრიყვული დამოკიდებულების პირდაპირი შედეგი. სამუშაო ადგილები ბიზნესმა უნდა შექმნას და ხალხიც მან უნდა დაასაქმოს. თუ ბიზნესმენს ბიზნესის კეთების ხალისს შენ თვითონვე გაუქრობ, უნდა გესმოდეს, რომ ამას უმალ სამუშაო ადგილების გაქრობა და უმუშევრობის აფეთქება მოჰყვება შედეგად.

**—საქართველო რომ აგრარული ქვეყანაა, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ საოცარია, ჩვენი ბაზარი თურქული უგემური პროდუქციის გამსაღებლად გადაიქცა. სავსეა ჩვენი ბაზარი თურქული კიტრითა და პამიდვრით, ბადრიჯნით, ხახვით, ნიორით, გადამუშავებელ მრეწველობაზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩვენს გლეხებს ამ პროდუქტების მოყვანა განა არ შეუძლიათ?**

— ალბათ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ რასაც თქვენ უდავოდ მიიჩნევთ, ის სულაც არ არის უდავო. მით უმეტეს, პერსპექტივაში. რა ადგილს დაიმკვიდრებს საქართველო მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ხედვა, რაც ყველა ხელისუფლებას უნდა მოეთხოვებოდეს. ჩვენს ხელისუფლებას ეს ხედვა არა აქვს და პრეზიდენტიც წარამარა ცვლის სტრატეგიას. სულ ახლახან საქართველო ტურიზმის ქვეყნად გამოგვიცხადა, თუმცა, დაბეჯითებით ვიცი, რომ საქართველოს დღევანდელ მთავრობაში არც ტურიზმის განვითარების სტრატეგია არსებობს.

ის, თუ რა შეუძლიათ ამ პირობებში ჩვენ გლეხებს და რა არა, ეს კარგად ჩანს ჩვენივე ბაზრებზე. თუ პირობები შეიცვლება, შესაბამისად შეიცვლება გლეხების შესაძლებლობებიც და უნარებიც. პირობების შეცვლა კი ისევ და ისევ ხელისუფლების პრეროგატივაა, რომელიც საკუთარი კეთილდღეობით ძალიან კმაყოფილი ჩანს და ხშირ-ხშირად გვამადლის ავლაბრული უგემოვნო შადრევნების ახალ-ახალ კლონებს სხვადასხვა რაიონულ ცენტრში. ეს შადრევნები კი, სამწუხაროდ, გლეხებს ვერც პროდუქტების მოყვანაში ეხმარება და ვერც მათ სარფიანად გაყიდვაში. აი, ასეთია მწარე სიმართლე.

**— იანვრიდან აგრარული პროდუქციის მწარმოებლებს შეღავათები მოეხსნათ. განა ამით პროდუქტები კიდევ უფრო არ გაძვირდება?**

— კი ბატონო, გაძვირდება, მერე რა? ხელისუფლება ამაზე ფიქრით თავს ნაკლებად იტვირთავს. მას ბიუჯეტის შევსება უფრო მნიშვნელოვანი ჰგონია და რაც უფრო გაძვირდება პროდუქცია, მით მეტ გადასახადებს მოსთხოვს მწარმოებლებს. ასე რომ, სამწუხაროდ, ჩვენი ჭირი მისთვის (ხელისუფლებისთვის) ამ შემთხვევაშიც ლხინია. ეს არის და ეს.

**— როგორც ჩანს, საქართველო უკვე მერამდენედ იმყოფება ეკონომიკურ კრიზისში. ყველაფერი რომ გაიყიდება, ბიუჯეტი როგორღა შეივსება, თუ საწარმოებს არ ავამუშავებთ, პროდუქცია არ შევქმენით და არ გავყიდეთ? რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ხალხის ცხოვრების დონე აამაღლოს?**

—სრული სერიოზულობით გიპასუხებთ: ამ ხელისუფლებას რომ ქვეყნისთვის რაიმე სიკეთის გაკეთების სურვილი ჰქონოდა და 3 წლის წინათ რომც არ სცოდნოდა, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა ეს, აქამდე ისწავლიდა და რამეს გააკეთებდა, მაგრამ დღეს უკვე ძალიან გვიანია. რასაც ახლა გეტყვით, იმაში მე არავითარი ეჭვი აღარ მეპარება: —თუ ამ ხელისუფლებას ქვეყნისთვის სულ ცოტა სიკეთე მაინც ემეტება, მისი მხრიდან ყველაზე სწორი და ბრძნული ნაბიჯი იქნებოდა საზოგადოებისთვის ბოდიში მოეხადა და თავისი ნებით წასულიყო, მაგრამ ისიც ზუსტად ვიცი, რომ უზნეო ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანას ამდენი პრობლემა შეუქმნა, გადაწყვეტით კი არც ერთი პრობლემა არ გადაუწყვიტა (ქვეყნიდან ასლან აბაშიძის გაძევებას თუ არ ჩავთვლით), ასეთ ნაბიჯს თავისით არ გადადგამს.

ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიული გეგმა ქვეყანაში უკვე 4 წელიწადია არსებობს, მაგრამ მასში არც პრეზიდენტს ჩაუხედია და არც პრემიერ-მინისტრს, წვრილ-წვრილ მინისტრებზე არაფერს ვამბობ. ეს ტერმინები (ეკონომიკური განვითარება და სიღარიბის დაძლევა) ჩვენი ქვეყნის ლიდერებისთვის ცარიელი სიტყვებია, რომლებსაც შიგადაშიგ გულუბრყვილო ხალხის გულის მოსაგებად წარმოთქვამენ ხოლმე, თორემ მისი აზრი თავადაც არ ესმით. ეკონომიკური განვითარება და სიღარიბის დაძლევა პირველ რიგში ნორმალურ ხელისუფლებას ემყარება, არანორმალური ხელისუფლება კი იმ ნაყოფს იძლევა, რომელსაც ახლა მივირთმევთ და არ მოგვწონს. ასე რომ, ცხოვრების დონის ამაღლება თუ გვინდა, როგორმე ჯერ ნორმალურ ხალხს უნდა გადავაბაროთ ხელისუფლება. უამისოდ არაფერი გვეშველება.

**— როგორც უცხოელი ანალიტიკოსები ავრცელებენ ინფორმაციას, ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში მსოფლიოს 161 ქვეყანას შორის საქართველოს 35-ე ადგილი მიეკუთვნა. იქნებ მართლაც ასეა და ჩვენ ვერ „ვხედავთ"? ჩვენი პრესა კი დაუფარავად წერს 35-ე ადგილი საააკაშვილს ბენდუქიძემ „ჩაუწყო"! ნუთუ საერთაშორისო ორგანიზაციებშიც შესაძლებელია ასეთი „ჩაწყობები"? თქვენი აზრით, მართლაც რა მოხდა?**

— იცით, იმავე რეიტინგში რუსეთი 120-ე ადგილზე აღმოჩნდა. არადა, სამუშაოდ და ბიზნესის საკეთებლად საქართველოდან რუსეთში მილიონამდე ჩვენი თანამემამულე გაიქცა, იქიდან აქეთ ჩამოსული რუსეთის მოქალაქეებზე კი რატომღაც არაფერი მსმენია. მგონი მარტო ეს არგუმენტიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ფასი აქვს ამ რეიტინგს.

რაც შეეხება „ჩაწყობებს". დიახ, მეც მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ რეიტინგს? საქმე საკმაოდ მარტივად არის. ლადო პაპავამ თქვა ძალიან ლამაზად: — ჩვენს ხელისუფლებას სხვა „სიკეთეებთან" ერთად, კიდევ ერთი შეეყარა — **რეიტინგომანია.** შესაბამისად, ჰგონია, რომ თუ სადმე მისთვის ცოტა უკეთეს რეიტინგს „გააიმასქნებს", ამით უკეთ წავა მისი და ქვეყნის საქმე. არადა, ვის ვატყუებთ? ან რატომ? ფუჭად დროისა და რესურსების ფლანგვას არ სჯობია დამატებით თუნდაც ერთი საათი სერიოზულად დაფიქრდეს ქვეყნის სატკივარზე? მაგრამ, ისევ და ისევ იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ ამ ხელისუფლებას და ამ ქვეყანას დღეს სხვადასხვა ჭირი სტკივა და სხვადასხვა ლხინი ახარებს.

**ესაუბრა**
**ნაზი იმნაიშვილი**



№ 21. შაბათი, 3 თებერვალი, 2007 წელი.

№ 21. შაბათი, 3 თებერვალი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

● საერთოდ, როცა რომელიმე ხალხს აქვს ერთი საზოგადო, საეკლესიო, სალიტერატურო, სახელმწიფო ენა, ეს არის უდიდესი ეროვნული მიღწევა. ამისთვის საუკუნეების მანძილზე ილვწიან ერის საუკეთესო შვილები



◎ გვეხმაურებიან

## ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომელია საერთო-სალიტერატურო ენა და რომელია ადგილობრივი დიალექტი

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ა. წ. 12 იანვარს გამოქვეყნდა მწერლის, ა. წერეთლის პრემიის ლაურეატის, ბატონ ბ. დავითაიას ჩემდამი მომართული წერილი, რომელიც ეხება ენობრივ საკითხს, კერძოდ, მასში ნაბრძანებია — „ვექვობ არ იცოდეს პატივცემულმა მიტროპოლიტმა, რომ სვანური და მეგრული დიალექტები არ არის", ბატონ ბ. დავითაიას სურვილია მეგრულად და სვანურად „ლოცვების თარგმნა".**

უნდა მოგახსენოთ, თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს ძალზე სერიოზული სამეცნიერო მიმართულება, რომელიც ამტკიცებს, რომ მეგრული და სვანური არიან დიალექტები ერთი ენისა და ამ ენას ჩვენ ყველანი ვუწოდებთ ქართულს. ასე რომ, არა პირადად მე ვამტკიცებ აღნიშნულ მოსაზრებას, არამედ შესაბამისი სამეცნიერო მიმართულება. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, მთლიანად ვეთანხმები აღნიშნული საკითხის სპეციალისტს ბატონ მერაბ ნაჭყებიას, რომელიც წერს — **„ენათმეცნიერებაში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმი, რომელიც გამიჯნავს ენასა და დიალექტს, თანამედროვე ლინგვისტიკაში დღემდე დაუდგენელია ზუსტი და შემოწმებადი განსაზღვრა, მაგალითად, ფონეტიკურ-გრამატიკული სისტემის მიხედვით საგრძნობლად განსხვავებული ბუხარული და ალჟირული ერთი არაბული ენის კილოკავებადაა მიჩნეული, ასევე ერთ გერმანულ ენად იწოდება ურთიერთისაგან ძალზე განსხვავებული პრუსიული და ბავარიული. არაიშვიათად ენის სტატუსი განისაზღვრება რელიგიური და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი მიდგომის მიხედვითაც** (მ. ნაჭყებია, ქართველთა ეთნო-ლინგვისტური ტერმინები, 2006 წ. გვ.10ძ.

ენობრივ-ლინგვისტური სხვაობის მიუხედავად, გერმანელებს აქვთ ერთი ენა, ხოლო სხვადასხვა გერმანული ენაკავები დიალექტებად მიიჩნევა და არა დამოუკიდებელ ენებად. ცნობილ მეცნიერს ბ. ჯორბენაძეს მოჰყავს მაგალითი ერთი გერმანელი ენათმეცნიერისა, რომელიც წერს — **„მე ვერ ვუგებ ბადენელს, ბავარიელსა და ზემო გერმანელს, როცა ისინი თავიანთ დიალექტებზე ლაპარაკობენ"** (ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1989წ. გვ.35ძ, მაშასადამე, არათუ უბრალო გერმანელ მოქალაქეს, არამედ ენათმეცნიერსაც კი არ ესმის კუთხური მეტყველება ბავარიელისა, ზემო გერმანელისა და ბადენელისა, ამის მიუხედავად არავინ ცდილობს, მაგალითად, გოეთეს „თარგმნას" ბადენურ ან ბავარიულ „ენებზე".

ენათმეცნიერი წერს: **„ბავარიულ, შვაბურ და ჰესენურ კილოებს შორის სხვაობა არანაკლებ ღრმაა, ვიდრე ზოგიერთ ენებს, მაგალითად, პოლონურსა და ჩეხურს, ან სერბიულსა და ბულგარულს შორის"** (იქვე გვ.35ძ.

მაშასადამე, შვაბური და ჰესენური ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც, ვთქვათ, პოლონური და ჩეხური, ანდა როგორც სერბიული და ბულგარული, მიუხედავად ამისა, გერმანიაში არავინ უწოდებს შვაბურ, ჰესენურ და ბავარიულ კილოებს — „ენებს", არავინ ფიქრობს ლუთერის ბიბლია „თარგმნოს" შვაბურად ან ჰესენურად და შეიტანოს ეს თარგმანი ეკლესიაში. ვფიქრობ, ამას არ დაუშვებენ თვითონ ამ რეგიონების მცხოვრებნი, რადგანაც კარგად იციან, რომ ლუთერი იყო არა რომელიმე კუთხის შვილი, არამედ ერთიანი გერმანელი ნაციისა. გერმანული ბიბლიის ენა იქცა გერმანელი ერის ერთიანობის ნიშანსვეტად. კარგად იციან, რომ ბავარიულად, ჰესენურად, შვაბურად, ბადენურად თუ ზემო გერმანულად ბიბლიის თარგმნით დაარღვევენ გერმანელი ერის ყველაზე წმიდათაწმიდას, გერმანელთა კულტურულ მთლიანობას, ეს კი უფრო მეტი და უარესი იქნება, ვიდრე გერმანელთა დამარცხება I და II მსოფლიო ომებში.

საერთოდ, როცა რომელიმე ხალხს აქვს ერთი საზოგადო, საეკლესიო, სალიტერატურო, სახელმწიფო ენა, ეს არის უდიდესი ეროვნული მიღწევა. ამისთვის საუკუნეების მანძილზე ილვწიან ერის საუკეთესო შვილები. მაგალითად XIX-ის ბოლოს და XX-ის დასაწყისში სხვადასხვა ქვეყნებიდან პალესტინაში ჩასულმა ებრაელებმა (იმჟამად ისინი სხვადასხვა ენებზე მეტყველებდნენძ დიდი ძალისხმევით შეძლეს ერთიანი ებრაული ენის ჩამოყალიბება: მათ გააცოცხლეს ფაქტობრივად უკვე 2000 წლის წინათ მკვდარი ენა ბიბლიისა და დღეს ისრაელის ბავშვები ამ ენაზე მეტყველებენ.

კულტურული სიდიადის მიუხედავად, თანამედროვე საბერძნეთში ამჟამადაც კი მიმდინარეობს ერთიანი სალიტერატურო-სახალხო ენის შექმნის პროცესი. საბერძნეთში რამდენიმე ენა გამოიყენება სხვადასხვა სფეროში: სხვა არის ხალხური ენა (ე. წ. „დიმოტიკი"ძ, სხვა არის უმაღლესი ინტელიგენციის ენა („კათარევსა" — წმ. ენაძ და სხვა არის საეკლესიო ენა. გარდა ამისა არსებობენ აგრეთვე ადგილობრივი დიალექტები.

იხ. 11 გვ.

◎ ინფორმაცია

### ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში

ავღანეთის მაღალმთიან რეგიონში სამშვიდობო მისიას ლიტვის სამხედრო ძალებთან ერთად ქართული შეიარაღებული ძალებიც შეასრულებენ. ამის შესახებ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას ლიტვის პრემიერ-მინისტრმა გედენინას კირკილასმა განაცხადა.

მისი განცხადებით, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ პროექტში ჩაერთვებიან ქართველი სამხედრო შეიარაღებული ძალები, რადგან საქართველო მაღალმთიანი რეგიონია და ქართულ შეიარაღებულ ძალებს ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილებაც გააჩნიათ და ამ გამოცდილებას ლიტველ კოლეგებს გაუზიარებენ.

### აჭარაში ფრინველის გრიპს ებრძვიან

ბათუმში არსებული ფრინველის გრიპის წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი შტაბი 24-საათიანი მუშაობის რეჟიმში გადავიდა. მოქმედებს ცხელი ხაზი.

როგორც შტაბის ხელმძღვანელი ილია სირაბიძე აცხადებს, შტაბი საჭირო სადეზინფექციო საშუალებებით არის აღჭურვილი.

დღეს აჭარაში ფრინველის დაცემის მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა მკვდარი მტრედი, რომელიც ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე იპოვეს, მექანიკურადაა დაზიანებული. მას ვირუსი არ აღმოაჩნდა. დროებითი შტაბის წევრებმა ფრინველი ადგილზე გაანადგურეს.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ გლობუსი

## ენერგორესურსების მფლობელი

**იმ პოლიტიკური მოვლენებიდან, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს, ახლო აღმოსავლეთი და ერაყია. აშშ დემოკრატიული კონგრესის მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, პრეზიდენტი ბუში უკან არ იხევს და მზად არის ერაყის მიმართ საკუთარი ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული სტრატეგიული კურსი განახორციელოს. საჯარო გამოსვლის დროს ბუშმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებას იღებს ქვეყნის პრეზიდენტი და მხედართმთავარი და არა კონგრესი. აქედან გამომდინარე, ის მზად არის გაზარდოს სამხედრო ძალა ერაყში. ქვეყნისადმი რადიომიმართვაში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ერაყში წარუმატებლობა ამერიკისთვის ტრაგედიად იქცევა. დამარცხებას აუცილებლად მოჰყვება რადიკალური ისლამისტების გამაგრება, რაც წაახალისებს ირანს ბირთვული იარაღის შექმნაში. „ჩვენი მტრები თავშესაფარს იპოვიან და შემდეგ თავს დაგვესხმიან", — თქვა ბუშმა. პრეზიდენტის აზრით, ახალი სტრატეგია დაეხმარება აშშ-ს მოიპოვოს წარმატება ტერორიზმთან ბრძოლაში.**

ახალი სტრატეგიის პირველ ნაბიჯად სამხედროთა გაგზავნა ითვლება. 21.500 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნის შემდეგ იქ აშშ-ს ჯარის საერთო რაოდენობა 154.000-სს მიაღწევს.

მეორე ეტაპზე ბუში გეგმავს ამერიკის სამხედრო ძალების გაზრდას რეგიონში, განსაკუთრებით სპარსეთის ყურეში, სადაც ავიამზიდებსაც გადაისვრის. ბუში სპარსეთის ყურის ქვეყნებს მოუწოდებს, დახმარება გაუწიონ ერაყის ხელისუფლებას, რითაც ისინი წინ აღუდგებიან ირანისა და სირიის გავლენის გაფართოებას ერაყში. პრეზიდენტმა კიდევ ერთი ანტიირანული ნაბიჯი გადადგა — ერაყში მყოფ ამერიკის სამხედრო ძალებს უბრძანა ერაყში მოქმედი იმ ირანელების ფიზიკური ლიკვიდაცია მოახდინოს, რომლებიც ანტისამთავრობო ძალებს



ეხმარებიან. ამ განცხადებამდე ერთი კვირით ადრე, აშშ-მა დაარღვია ვენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, რომელიც უსაფრთხოებას და იმუნიტეტს ანიჭებს სხვა ქვეყნის დიპლომატებს ადგილსამყოფელ ქვეყანაში. ამერიკელი სამხედროები შეიჭრნენ ქ. ერბილში არსებულ ირანის საკონსულოში, დაარბიეს ის და დააპატიმრეს ირანელი დიპლომატები. ბუშის მოწოდებით მკვეთრად უნდა გამკაცრდეს მიდგომა ირან-სირიისადმი, რომლებიც ყველაფერს ღონობენ რეგიონში ამერიკელთა პოზიციების დასუსტებისათვის. ბუშმა ისიც აღიარა, რომ გაეროს სანქციებმა ნაკლებად დააზარალა ირანი.

სპეციალისტების აზრით, ბუშის ახალი სტრატეგია გამიზნულია მხოლოდ საკუთარი იმიჯის გადარჩენის და არა ერაყის ხვალინდელი დღისათვის. ერაყის ვითარების შემსწავლელმა კომისიამ ბეიკერის ხელმძღვანელობით, სწორედ ერაყის მომავლის საკითხი წამოწია წინა პლანზე. ის დიდ ყურადღებას უთმობს პოლიტიკურ დიალოგსა და დიპლომატიური გადაწყვეტილებების მიღების საკითხებს. კომისიის მოხსენებაში გამოკვეთილად არის აღნიშნული ირან-სირიასთან დიპლომატიური კავშირებისა და დიალოგის პრიორიტეტები. კომისია რეკომენდაციას უწევს აშშ ადმინისტრაციას ახლო აღმოსავლეთის საკითხების მოგვარებისას ფართოდ გამოიყენოს ირან-სირიის შესაძლებლობები. სამწუხაროდ, ბუშმა არაფრად ჩააგდო ავტორიტეტული კომისიის დასკვნები.

დემოკრატიული კონგრესი იმედს არ კარგავს და მიუხედავად პრეზიდენტის კონგრესში კორექტული მიღებისა, გადაწყვეტილი აქვს გააგრძელოს ადმინისტრაციის საწინააღმდეგო მოქმედება. პირველი მაგალითი სახეზეა. სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა ბუშის სტრატეგიული გეგმა და უარყოფითად შეაფასა ის. კომიტეტის დასკვნა განსახილველად გადაეგზავნა სენატს. ბუშს აღარც ზოგიერთი რესპუბლიკელი უჭერს მხარს. მაგალითად, სენატორი ჰეიგელი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება უაზროა, რაც ამერიკას კიდევ უფრო ღრმა ჭაობში შეიყვანს.

არც ავღანეთის მიმართულებით არის საქმე წარმატებულად. ამის შესახებ ითქვა კიდევაც ბრიუსელში გამართული ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. აშშ სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა კოლეგებს თხოვა გაზარდონ ცოცხალი ძალა ავღანეთში. მინისტრებმა თხოვნას მდუმარება შეაგებეს. ჯერჯერობით ნატოს წევრი სახელმწიფოები ნაკლებ ენთუზიაზმს გამოხატავენ ავღანეთში საკუთარი სამხედრო ძალების გაზრდისათვის. ავღანეთში ნატოს 33.000 სამხედრო მოსამსახურეა.

გასულ კვირას პოლიტიკოსთა ყურადღება კვლავ სერბეთ-კოსოვოს პრობლემას დაეთმო. მკითხველმა ალბათ იცის, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხი გასული წლის შემოდგომაზე უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ სერბეთში ახალი კონსტიტუციის მიღებისთვის რეფერენდუმი და შემდეგ სერბეთის პარლამენტის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, საკითხი 2007 წლის იანვრის ბოლოსთვის გადაიდო.

მთავარი მომლაპარაკებლის ფინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის აჰტისაარის განცხადებით, საკითხი მომწიფებულია და საბოლოო გადაწყვეტილებას საჭიროებს. ბელგრად-პრიშტინას პოზიციები არც ამჯერად შეცვლილა. კოსოვო დაბეჯითებით ითხოვს დამოუკიდებელ სტატუსს და იმ დანაპირების აღსრულებას, რასაც გასულ წელს დასავლეთის მხრიდან ჰქონდა ადგილი. ბელგრადი უწინდებურად იხილავს კოსოვოს, როგორც სერბეთში შემავალ მხარეს, რაც დაფიქსირდა კიდევაც სერბეთის ახალ კონსტიტუციაში. აჰტისაარიმ ვენის შეხვედრის დროს საკონტაქტო ჯგუფის წევრებს გააცნო მოსაზრება კოსოვოსთან მიმართებაში. მან აღნიშნა, რომ მხარეს უნდა ჰქონდეს ფართო ავტონომია, რაც, ფაქტობრივად დამოუკიდებლობას ნიშნავს ამ სიტყვის გამოუყენებლად. აჰტისაარის აზრით, კოსოვო დამოუკიდებლად უნდა იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. აღნიშნულ წინადადებას მხარი არ დაუჭირა რუსეთმა, რომელმაც საკითხის სერბეთის ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე გადადება მოითხოვა. რუსეთის წინადადება კატეგორიულად უკუაგდო კოსოვომ. აჰტისაარის გეგმა გამოქვეყნდა ა. წ. 2 თებერვალს. მარტის ბოლოს გეგმა გაეროს უშიშროების საბჭოში განიხილება.

კოსოვოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს მსგავსი საკითხით დაავადებული ქვეყნებისათვის. მათ შორის, საქართველოც არის. ჩვენთვის საყურადღებო უნდა იყოს რუსეთის მოსაზრება კოსოვოს დამოუკიდებლობასთან მიმართებაში, საერთაშორისო არენაზე ამ ქვეყნის მიერ გაკეთებული განცხადებები. რუსეთი მხარს უჭერს სერბეთის შემადგენლობაში კოსოვოს ფართო ავტონომიას. ამ შემთხვევაში თბილისი-მოსკოვის მოსაზრება უახლოვდება ერთმანეთს. თბილისი, რომელიც მზად არის სეპარატისტული რეგიონებისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებისთვის, მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს ამ საკითხში მაინც რუსეთთან დაახლოებას და არა დაშორებას. შეგახსენებთ — კოსოვოს საკონტაქტო ჯგუფში მხოლოდ რუსეთია ფართო ავტონომიის მომხრე. რაც შეეხება დასავლეთს, ის თანახმაა კოსოვოს დამოუკიდებლობის.

ასეთ ფონზე ხომ არ აჯობებდა ურანთან დაკავშირებული ამბავის გაუმჟღავნებლობა? თუკი ერთი წლის განმავლობაში ვითმენდით, ხომ არ აჯობებდა ასე გაგრძელება? ურანის საქმის გამომზეურება ხომ არ დაძაბავს მოსკოვთან ისედაც დაძაბულ ურთიერთობას? ურანი ხომ არ გააცივებს რუსეთის ელჩის დაბრუნებით ჯერაც დაუმთბარ ურთიერთობას? ძნელია არ დაეთანხმო ზოგიერთ ექსპერტს, რომ საქართველოში ურანის შემომტანის წარმომავლობა, აგრეთვე სო-

„...წიგნის ხელში აღება მკითხველს სხვა ძალით მუხტავს და შეუფასებელი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ წიგნი იძლევა ფართო და რეალურ ცოდნას! ...წიგნი ქვეყნის სიმდიდრეა!..“



## მათქმევინეთ!

# წიგნი შეუცვლელია!

**ამ ორიოდე წლის წინათ, მეოცე საუკუნის ბრიტანელი ფილოსოფოსის, ლოგიკოსისა და მათემატიკოსის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ბერტან რასელის ორი ნაშრომი დამჭირდა. პირველი ჯერ კიდევ 1900 წელს გამოქვეყნდა და ლეიბნიცის ფილოსოფიის კრიტიკულ მიმოხილვას შეეხებოდა — ამ ნაშრომში რასელმა უარი თქვა ჰეგელისა და ბრედლის მონიზმზე (ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სამყაროს საფუძვლად აღიარებს ერთ საწყისს — მატერიას (ან სულს!ძ და პლატონის იდეათა მარადიული პლურალისტური სამყაროს არსებობა აღიარა. მეორე ნაშრომი სახელმწიფოს, ომის, ოჯახის, რელიგიის პრობლემებს მიეძღვნა, — „სოციალური რეკონსტრუქციის პრინციპები“.**



როგორც იტყვიან, რკინის ქალამნები ჩავიცვი, გადავქექე ბიბლიოთეკები, რამდენიმე კერძო პირსაც მივმართე, მაგრამ საქართველოში ამ ნაშრომების კვალს ვერ მივაკვლიე. შეიძლება ვინმეს პირად არქივში უდევს ეს წიგნები, მაგრამ როდესაც ერთ ამერიკელ მეგობართან დავიწუწუნე ამის შესახებ, მან ასეთი რამ შემომთავაზა, — დაიცადე, მეგობარო, წიგნი, რომელიც თუნდაც ერთხელ გამოცემულა და დაბეჭდილა, არ შეიძლება მსოფლიოს რომელიმე ბიბლიოთეკაში ან საცავში არ ინახებოდეს... იქნებ, ინტერნეტმა გვიშველოს!

ინტერნეტმა მართლაც გვიშველა, მაგრამ ამ წიგნების მოკლე ანოტაცია მოგვაწოდა და მიგვითითა, სად გვეძებნა.

ჩემი მეგობრის ამერიკაში გამგზავრებიდან, სულ რაღაც ერთ თვეში, ორივე ნაშრომის ზუსტი ასლი მაგიდაზე მედო! ამანათს თან წერილი ახლდა, სადაც ჩემთვის უცნობი ბატონი წარმატებას მისურვებდა საქმიანობაში და თან დასძენდა: — „...წიგნის ხელში აღება მკითხველს სხვა ძალით მუხტავს და შეუფასებელი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ წიგნი იძლევა ფართო და რეალურ ცოდნას! ...წიგნი ქვეყნის სიმდიდრეა!..“

წერილის ბოლოს, ჩემდა გასაოცრად, ასეთი სიტყვები ეწერა: **— „...მოგეხსენებათ, უსაზღვროა გულში ჩახუტებული წიგნის ფასი! ამიტომ მივესალმები თქვენს სურვილს წიგნს შეეხოთ ხელით! ამ გრძნობას ვერ შეცვლის ვერავითარი ტექნიკურ-ელექტრონული საშუალება!..“**

გამაოცა ამ სიტყვებმა და ისიც ამერიკელისაგან, სადაც (როგორც ჩვენ გვგონია ხშირად!ძ, ყოველივე ტრადიციულს ფასი აქვს დაკარგული. მთლად ასე არ ყოფილა თურმე საქმე და მე ეს დიდად მესიამოვნა, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ჩვენთან, საქართველოში, კომპიუტერული საშუალებებით „გაჯეჯილებულმა მეცნიერებმა“ და ჩინოვნიკებმა ამ ბოლო ხანს წიგნის როლის გაუფასურებაზე დაიწყეს საუბარი.

თუმცა, მჯერა, ტექნიკის ცდუნებას აყოლილებს განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მიაქციოს ადამიანმა, მაგრამ **გაოცებული დავრჩი, განათლების მინისტრმა, ბატონმა კახა ლომაიამ გაბადრული სახით რომ ბრძანა ტელეეკრანიდან: — წიგნი, პრაქტიკულად არავის სჭირდება და თავის ძველ ფუნქციას ვერასოდეს დაიბრუნებსო!**

რაო? **წიგნი უსარგებლო ნივთი ხდებაო? თუ მე გავიგე სხვანაირად?!. დიდი სურვილი მაქვს მე შემეშალოს, მაგრამ სხვებმაც ჩემნაირად რომ გაიგეს მინისტრის სიტყვები? და თუ მაინც, მცდარია ჩვენი ეჭვები, ჩემი უმორჩილესი თხოვნა იქნება, სერიოზულ ბეჭდვით ორგანოში განგვიმარტოს ბატონმა მინისტრმა — რას ნიშნავს მისგან წარმოთქმული ეს ფრაზა! ბეჭდვით ორგანოში იმიტომ, რომ მას ორსამჯერ მაინც (თუ საჭირო იქნება, ათასჯერაც!ძ გაეცნობა დაინტერესებული კაცი, უფრო ღრმად ჩაწვდება განათლების მინისტრის ნათქვამის კონტექსტს და ეჭვიც გაიფანტება!**

ხოლო, თუ ეს „ნააზრევი“ პირდაპირპროპორციულია ტელევიზიით ნათქვამისა, ვაი, ჩვენს უბედურებას! კიდევ ეს უნდა ჩვენს ისედაც წიგნზე „მწყრალად“ მყოფი ახალგაზრდობის ერთ (მნიშვნელოვანძ ნაწილს?! ან, იქნებ „გვაწყობს“ კიდეც გაუნათლებელი „მასის“ ყოლა, რომელთაც „შავ მუშად“ გამოიყენებენ „ელიტარები“ (ელიტა — სელექციის შედეგად გამოყვანილი ცხოველის საუკეთესო ეგზემპლარი!ძ.

მოდით, ძვირფასო მწერლებო და მეცნიერებო, თავი დაანებეთ წიგნების წერას და წერეთ მხოლოდ „ინტერნეტნაშრომები“!..

...არა, არა! გთხოვთ, ხუმრობაში ჩამომართვათ ეს ნათქვამი! მჯერა, ასე არ იქნება! ამ ოპტიმიზმის უფლებას მაძლევს ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი. წიგნი საჭირო რომ არ იყოს, თავისუფალი ამერიკელი არ იტყოდა იმას, რაც თქვა!.. **და ჩვენ, ოდესღაც წიგნებით ცნობილმა ხალხმა რა დავაშავეთ, რომ ჩვენს შორის არ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც წიგნი ქვეყნის მთავარ სიმდიდრედ მიაჩნიათ!..**

**ზაურ ფიფია**

## ინფორმაცია

### ირანიდან გაზს საჭირო შემთხვევაში მივიღებთ



**ლიტველი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, აქვს თუ არა რაიმე ენერგეტიკული ხელშეკრულება დადებული საქართველოს ირანთან.**

**პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს ირანთან ელექტროენერგიის გაცვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და საჭიროების შემთხვევაში ამოქმედდება.**

**„საქართველო გაზით ძირითადად აზერბაიჯანიდან მარაგდება და გარკვეული მოცულობა შემოდის რუსეთიდან. საქართველო ირანიდან გაზს ჯერჯერობით არ იღებს“, — განმარტა ნოღაიდელმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## გლობუსი

# ზესახელმწიფო პატივისცემას მოითხოვს

ხუმ-ცხინვალის ამ საქმესთან მიბმა, დააეჭვებს დასავლეთს ამ ამბავის სინამდვილეში. იქნებ აჯობებდა ამ „კოზირის“ სხვა დროისთვის გამოყენება? ამ კითხვებს განსჯისთვის გთავაზობთ და ვიმედოვნებ, რომ ურანის ისტორიას ისეთი აჟიოტაჟი არ მოჰყვება, როგორიც მოჰყვა რუსი ჯაშუშების დაკავებას.

გასული წლის ბოლოს და ახალი წლის დასაწყისი ისე, როგორც 2005-2006 წლების მიჯნა, ენერგეტიკული ციებ-ცხელებით აღინიშნა. მაშინ წინა პლანზე იყო წამოწეული რუსეთ-უკრაინის გაზური ჭიდილი, ამჯერად, სრულიად მოულოდნელად თავი ბელორუსიამ გამოიჩინა. რუსეთის ყველაზე ახლო თანამებრძოლმა, თითქმის სამოკავშირო სახელმწიფოს ბურჯმა ბელორუსიამ, მისი პრეზიდენტის ლუკაშენკოს სახით, მედგარი, თუმცა სპეციალისტების აზრით, უაზრო წინააღმდეგობა გაუწია „გაზპრომის“ მოთხოვნას ფასების გაზრდასთან დაკავშირებით. ბელორუსია, რომელიც წლების განმავლობაში უაღრესად შეღავათიან ფასებში — 46 აშშ დოლარი — 1000 კუბ. მეტრ გაზზე იღებდა და შემდეგ საბაზრო ფასებში ჰყიდდა შემოსული გაზის ნაწილს, ვერ შეეგუა მოსკოვის გადაწყვეტილებას. თავის მხრივ მინსკის მუქარას, ნავთობსადენის სხვაგვარად გამოყენებასთან დაკავშირებით, ევროპელთა ახალი თავსატკივარი მოჰყვა. ევროკავშირის ხელმძღვანელობამ მოჭარბებული აქტიურობით გააგრძელა საუბარი ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით. მოსკოვ-ბრიუსელს შორის კვლავ პირველ პლანზე დადგა ევროპისათვის რუსული გაზის მიწოდების სანდოობის საკითხი. ევროკავშირის ახალი თავმჯდომარე — გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი სოჭს ეწვია, სადაც მოლაპარაკება გამართა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან. შეძლებს ევროპა, ნაწილობრივ მაინც, რუსული გაზის სხვა ქვეყნის გაზით ჩანაცვლებას? ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყნები გამოიწვევენ მსოფლიოში შექმნილი ბალანსის რღვევას? ეს და სხვა საკითხები სულ უფრო ხშირად გაისმის მსოფლიოს მასმედიაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ელცინის პრეზიდენტობის დროს დასავლეთს გაუჩნდა იმის ილუზია, რომ ცივ ომში გამარჯვების შემდეგ მას საკუთარი მოსაზრებების მოხვევა შეეძლო დამარცხებული კავშირის მემკვიდრე რუსეთზე. ეიფორიულმა რამდენიმე წელმა სწრაფად გაიქროლა. რუსეთის ახალმა ხელმძღვანელობამ მოახერხა მძიმე ვითარებიდან თავის დაღწევა და ენერგორესურსებით ზურგგამაგრებულმა რიხიანად მოითხოვა თავისი, ანუ რუსეთისადმი პატივისცემა, ვინაიდან ის ენერგეტიკული ზესახელმწიფოა.



2005 წლის დეკემბერში, პუტინის განცხადებაში, ხაზგასმული იყო, რომ რუსეთი გადაიქცა ენერგეტიკულ ზესახელმწიფოდ, რომელსაც სურს შეასრულოს მსოფლიოს ზესახელმწიფოს როლი და იყოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტი ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. უკრაინასთან დაწყებული ენერგეტიკული ომის ფონზე დასავლეთმა, რუსეთის განცხადება ენერგეტიკულ ზეწოლად მიიჩნია. ევროპას მხარი აუბა აშშ-მა. სწორედ მისმა კრიტიკულმა განცხადებებმა შეამზადა ფართო საზოგადოებრიობა კრემლის ენერგეტიკული ზეგავლენის საწინააღმდეგო მოძრაობისათვის. რუსეთის ახალ როლთან დაკავშირებით არაერთხელ იმსჯელეს ევროპარლამენტშიც. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზეც, რომელიც გასულ კვირას გაიმართა, განიხილეს ეს საკითხი. ესტონეთის წარმომადგენელმა მიხკელსონმა მკაცრად გააკრიტიკა რუსეთი მეზობელ ქვეყნებზე ენერგეტიკულ ზეწოლაში. თუმცა რუსეთს ასეთი კრიტიკა არ აშინებს. ბუნებამ მას უხვად დააბერტყა ენერგორესურსების სიმდიდრე, რაც გარანტიაა წელგამართული სახელმწიფო ყოფისათვის. მსოფლიო მოსახლეობის 2.4 პროცენტის მქონე რუსეთზე ნავთობის 12, ქვანახშირის 16, ურანის — 14 პროცენტი მოდის.

ერთობ მწირად გამოიყურება ევროპა. ევროპის ენერგეტიკული სტრატეგიის პროგნოზების მიხედვით, უახლოესი 20 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზრდება კონკურენცია ენერგორესურსების მოპოვებისათვის. მეცნიერთა გათვლებით 2020 წლისთვის ქვანახშირზე, ნავთობსა და გაზზე მოთხოვნილება 1995 წელთან შედარებით 65 პროცენტით გაიზრდება. 30 პროცენტიდან 60 პროცენტამდე მოიმატებს პოლიტიკურად არასტაბილური ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ხვედრითი წილი. ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული მოხმარების დონე 2020 წლისათვის იმპორტულ ნავთობთან მიმართებაში დღევანდელი 53 პროცენტიდან 85 პროცენტამდე გაიზრდება, ხოლო გაზზე 35 პროცენტიდან 60 პროცენტამდე.

აშშ-სთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებს. კასპიის ზღვის მარაგს ახლო აღმოსავლეთთან შედარებით ალტერნატივად არ მიიჩნევენ. ამერიკის ადმინისტრაციის 2004 წლის მონაცემებით, კასპიის პოტენციური რესურსები დაახლოებით 186 მილიარდ ბარელ ნავთობს შეადგენს. აქედან მხოლოდ 32 მილიარდია დამტკიცებული მარაგი. სპარსეთის ყურის დამტკიცებული ნავთობის მარაგი 674 მილიარდი ბარელია. იგივე ვითარებაა გაზთან დაკავშირებით. ცისფერი სათბობის პოტენციური და დამტკიცებული, კასპიის ზღვის ერთად აღებული ქვეყნების აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქმენეთის და ირანის მარაგი 15.848 ტრილიონ კუბ. მეტრია, ხოლო სპარსეთის ყურის დამტკიცებული მარაგი — 54.420 ტრილიონ კუბ. მეტრი. ექსპერტების მიხედვით კასპიის ზღვის ენერგეტიკული პოტენციალი გადაჭარბებულია. ენერგეტიკაზე მეტი მნიშვნელობა სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს ენიჭება. ეკონომიკური, პოლიტიკური და 2001 წლიდან სამხედრო პლაცდარმი აშშ-ს დამატებით შესაძლებლობას აძლევს გავლენა იქონიოს სპარსეთის ყურის ქვეყნებზე, ერაყზე, ირანზე და საუდის არაბეთზე. გარდა ამისა, აკონტროლოს ვითარება რუსეთსა და შუა აზიის ქვეყნებში. მიზნის შესრულებაში ვაშინგტონს დახმარებას უწევენ საქართველო და აზერბაიჯანი.

დასავლეთის ეკონომიკური წინსვლა-განვითარებისთვის საჭირო ენერგეტიკული რესურსების ნაკლებად დემოკრატიული ქვეყნების ტერიტორიაზეა კონცენტრირებული. ევროკავშირმა კარგად შეაფასა არსებული ვითარება და გადაწყვიტა ევროპაში მთავარი ენერგომომმარაგებელი რუსეთი მყარად მოაქციოს მისთვის სასურველი ენერგეტიკული ქარტიის ჩარჩოებში. რუსეთი არ ეთანხმება ამ პერსპექტივას. მას ენერგეტიკულ ბაზარზე ექსპორტიორი ქვეყნებისათვის დომინირებული მდგომარეობის მინიჭება სურს. რუსეთს გაზის ოპეკის შექმნაც სურს, რაც ევროკავშირს აშინებს.

მსოფლიო ეკონომიკა მინიმუმ 20 წლის განმავლობაში დამოკიდებული იქნება ნავთობსა და გაზზე. მათი შემცვლელი სხვა ენერგორესურსები ჯერჯერობით ნაკლებად ეფექტიანია, ამ ხნის განმავლობაში რუსეთი მთლიანად გამოიყენებს ვითარებას. რუსეთს ნავთობისა და გაზის დიდი რეზერვები აქვს ციმბირსა და ჩრდილოეთში. ეს რესურსები სტრატეგიული დანიშნულებისთვის იქნება გამოყენებული. რუსეთი საკუთარ მარაგებს მხოლოდ მას შემდეგ აამოქმედებს, როდესაც ის ცენტრალური აზიის ყველა რესურს ამოქაჩავს. გარდა ამისა, რუსეთი წარმატებულ ქვეყნად ითვლება ბირთვული ელექტროსადგურების მშენებლობის თვალსაზრისითაც. პუტინის ინდოეთში ვიზიტის დროს ხელი მოეწერა 4 ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობის ხელშეკრულებას.

**ენერგეტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მსოფლიოს განვითარების საქმეში. ამ მხრივ რუსეთს პირველობას ვერავინ შეეცილება. ის მართლაც ენერგორესურსების ზესახელმწიფოა.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

№ 21. შაბათი, 3 თებერვალი, 2007 წელი.

# კვირაძალი

● ნაღვლიანად გამოიყურება ჩვენი „სინათლის ქალაქის“ ევროპეიზაცია – ფრანგული ატრაქციონიც, „ევროპული სტანდარტების“ პრესცენტრიც და, რაც მთავარია, „ევროპის მოედანიც“ ეს ყველაფერი ხომ ჩვენს ქალაქშია. ესე იგი ევროპელები ვართ...



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №88



ფრანგული ატრაქციონი პარიზში

# ქართველების ევროპეიზაცია და ფრანგული ატრაქციონი

სიურპრიზებით სავსე იყო იანვრის თვე ჩვენს მშობლიურ ქალაქში... საახალწლო სადღესასწაულო მორთულობების მონტაჟი თუ დემონტაჟი, გრანდიოზული მოცულობის ეროვნული კერძები – საცივი და გოზინაყი, პარლამენტის შენობასთან მოფრიალე თოვლის ბაბუის მოულოდნელი გაქრობა თუ მისი გაფრენა გაურკვეველი მიმართულებით... ამგვარი იდუმალ „მოვლენათა“ სიაშია ევროპის მოედანზე ერთი დღით ამუშავებული ე.წ. „ფრანგული ატრაქციონი“...

მისი გახსნის მომენტიდან, ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, ამ ატრაქციონის მინებიან „მოძრავ ოთახში“, რომლის კედლებსაც ყარაჩოღლელები ამშვენებენ, ვერაფრით ვერ მოვხვდი. და ვერც იქიდან განათებული „სინათლის ქალაქის“ ხედით დავტკბი... იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს არაერთგზის რეკლამირებული, ძვირადღირებული ატრაქციონი, პირველივე მგზავრების ჩასხდომის შემდეგ გაჩერდა, როგორც ამიხსნეს, სიმძიმის არასწორი განაწილების გამო... მერე თითქოს მეორედ აამუშავეს და ისევ გაჩერდა...



ფრანგული ატრაქციონი თბილისში

იმის დასადგენად თუ რატომ გაჩერდა მეორედ ან გახსნიდან ერთი კვირის განმავლობაში, მგზავრების გარეშე, უფუნქციოდ რატომ მოძრაობდა. შემდგომ სამუდამოდ დადუმებული ცარიელი ატრაქციონი, გადავწყვიტე, დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურისთვის მიმემართა: ერთ-ერთმა იქაურმა თანამშრომელმა, საკმაოდ გულთბილად მიმიღო და მირჩია, მერიის პრესცენტრისთვის მიმემართა, რამდენადაც მის სამსახურს მსგავსი ცენტრი არ გააჩნია. პრესცენტრში განხორციელებული პირველი ზარი იმედისმომცემი მომეჩვენა. ოპერატორმა კოორდინატები და ის კითხვები ჩაიწერა, რაზედაც პასუხის მიღება მსურდა და ორშაბათს მეილზე სრული ინფორმაციის გადმოგზავნაც დამპირდა. დაპირება დაპირებადვე დარჩა. ყოველდღიურად რამდენჯერმე განხორციელებული ზარის ბოლოს მკვახე პასუხი „გამოგვზავნით!“ და ყურმილის დახეთქება მოჰყვა. ამით დასრულდა ჩემი მცდელობა, მერიის პრესცენტრისგან ინფორმაციის მიღებისა. შეძლებისდაგვარად შევეცადე მათ მიერ ინფორმაციის არმოწოდების ფაქტი გარკვეულ ინფორმაციად მიმეღო და გაზეთის მკითხველისთვის არა მარტო „ფრანგული ატრაქციონის“ არსებობა, არამედ მერიის პრესსამსახურის არაჩვეულებრივი მუშაობა დამენახვებინა.

ვერაფრით დავადგინე რამდენი ათასი გადაირიცხა „ფრანგული ატრაქციონის“ ასაგებად, რომელიც დღეს უფუნქციოდ დუმს, ანუ რიყეზე, „ევროპის მოედანზე“, ყინწულის მოედანთან, უმოქმედო, რკინის კონსტრუქცია დგას. პერიოდულად, თუ კარგად დააკვირდებით, დილით. როცა მზე კარგად ამოიწვერება, მისი კენწერო ციმციმებს. ალბათ მათ, ვისაც ქალაქის განათება ევალებათ, დილით ნათურების გამორთვაც ავიწყდებათ...

ამ ფონზე, ნაღვლიანად გამოიყურება ჩვენი „სინათლის ქალაქის“ ევროპეიზაცია – ფრანგული ატრაქციონიც, „ევროპული სტანდარტების“ პრესცენტრიც და, რაც მთავარია, „ევროპის მოედანიც“ ეს ყველაფერი ხომ ჩვენს ქალაქშია. ესე იგი ევროპელები ვართ...


**ანუნა ბუკია**

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების (მასკის)ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი.


# ქართული პრესა რუსეთის პრეზიდენტისთვის...

მასმედიის წარმომადგენლებთან ტრადიციულ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა,** სრულიად მოულოდნელად, ქართული პრესით დაინტერესება გამოამჟღავნა, ანუ აღნიშნა, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა თბილისში ელჩის დაბრუნება რუსეთის უკანდახევად განმარტეს.

ამ ამბავში, ალბათ ყველაზე საგულისხმო ის გახლავთ, რომ თავად საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** ოფიციალურად აცხადებს, რომ არ კითხულობს ჩვენს პრესას. იგივე, როგორც მისაბაძი ტონი, გაიმეორა ადამიანთა უფლებების მხურვალე დამცველმა **ელენე თევდორაძემაც,** თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, ჩუმ-ჩუმად, არაოფიციალურად, მაინც კითხულობს, რადგან ტელეფონით „ტუქსავს“ იმ გაზეთების რედაქტორებს, რომლებშიც მასზე ნეგატიური მასალა იბეჭდება.

ქართული ბეჭდვური მედიის მუშაკებს ისღა დაგვრჩენია, კმაყოფილება გამოვთქვათ იმ გარემოებათა გამო, რომ ტყუილად არ ვირჯებით – რუსეთის პრეზიდენტი მაინც წაიკითხავს და აზრს გამოთქვამს, თუნდაც როგორც ოპონენტი...



და როგორც **„არის მკითხველი მშვენიერი წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“** (გ. ტაბიძეძ, ასევეა, ალბათ, პრესასთანაც დაკავშირებით...

იმედია, ჩვენი ხელისუფლების სახით, „გადამკითხველები“ მაინც გვეყოლებიან...

რაც შეეხება ჩვენს ევროპეიზაციას და ამერიკანიზაციას: ცალკესაუბრის თემაა როგორ კითხულობენ და როგორ რეაგირებენ პრესას ევროპის ქვეყნების და ამერიკის პრეზიდენტები...

# თავშესაფრის ძიებაში

***... ტანჯვას***
***ჩამოჰკიდებენ ყველა***
***სართულზე,***
***ყველა კუთხეში,***
***ჩემთან მხოლოდ***
***ტანჯვის ოთახებია...***
***სიხარულის ოთახები***
***მე არა მაქვს...***
***მოდით, ტანჯულნო***
***და ისევ ტანჯვა***
***შემოასახლეთ ჩემთან,***
***შემოასახლეთ ტანჯვა,***
***ოღონდ მოდით, მარტო***
***არ დამტოვოთ...***

*ამ ლექსს „თავშესაფარი“ ჰქვია. მისმა ავტორმა კი გაუსაძლისი მარტოობის ცივ დერეფანში, საკუთარი სულიერების და ყოფიერების გადასარჩენად, ყველაზე მყარი და ნამდვილი თავშესაფარი – პოეზიით არსებობა აირჩია.*

*ცხოვრების ზედაპირზე მოარულ, ემპირიული ძვირფასეულობებით და სურვილებით აღტკინებულ მეშჩანთა ფონზე, მან სრულიად მშვიდად და შეიძლება ითქვას, გამოწვევადაც, „ცრემლის ყელსაბამი“ მოირგო – ის ერთადერთი სამკაული, რომელიც პოეტმა უნდა ატაროს...*

*„მე მხიბლავს შენი მოუღლელობა, ბედთან შეურიგებლობა... – ასე ეხმიანებოდა იზა ჯაჭვაძის ლექსებს თანამედროვეთაგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი ესთეტი და მწიგნობარი, პოეტი* ***გივი გეგეჭკორი*** *– დრომ თავისი გაიტანა, საცხოვრებისო წუხილი მოგეძალა, მაგრამ მე ისიც მხიბლავს, რომ როგორც ვაჟა იტყოდა, ჟამთა სიცივემ „ციურის გულის დუღილი“ ვერ დაგაკარგვინა“...*

*წინამდებარე წიგნი, როგორც ჩანს, დაწერილია მათთვის, ვინც ცდილობს ურთიერთისგან გამიჯნოს ნამდვილი და ყალბი მარგალიტები და მერე ყელსაბამივით ყოფის სამკაულად აქციოს... და ალბათ დაწერილია უპირველესად მათთვისაც, ვისაც პოეტი „მეგობრის“ მშვენიერი და იდუმალი მანტიით მოსავს და ამისთვის შეღავათებს არ ითხოვს...*

***„თქვენ, მეგობრებო!***
***სწორი მითხარით...***
***თქვენგან თქმულ***
***სიტყვის***
***იმდენად მჯერა***
***ვით ჯოხიან ბრმას***
***გამოწვდილ ხელის...“***





№ 21. შაბათი, 3 თებერვალი, 2007 წელი.

● ამ დიდი მხატვრის ნაღვლიანი აღსასრული ჩვენი, ყველას დანაშაულია, დიდი დანაშაული. ვერავინ დაიცვა, ვერავინ ამოუდგა მხარში... ჩვენივე სიკეთეს ვერ ვხედავთ, განებივრებულები ვართ ნიჭიერი ხალხით, მაგრამ მათ ხომ მოვლა და გაფრთხილება სჭირდებათ...






## როდესაც მოწაფე მზად არის, მოძღვარი მიდის...

ერთხელ დიურერის წიგნი უცნაურად ჩამივარდა ხელში. ძველისძველი წიგნი იყო. ჩემს თვალწინ საოცარი სამყარო გადაიშალა... ჩემი ამხანაგი უნივერსიტეტის პირდაპირ ცხოვრობდა. დამიძახა: ჩქარა წამოდი, უნივერსიტეტის ეზოში წიგნებს წვავენო. იქნებოდა 1956 წელი. ბიბლიოთეკიდან გამოეტანათ აუარება წიგნი და მართლაც წვავდნენ. სწორედ ამ ხანძრიდან გადავარჩინეთ რამდენიმე და ერთ-ერთი დიურერი იყო. დღემდე ვერ გამიგია, რა უნდა მომხდარიყო ასეთი, როგორ შეიძლებოდა ასე წიგნების გამოტანა და დაწვა. იმ წიგნში საოცარი ნახატები იყო — კურდღლის, ბალახების, ყვავილების, იხვების, ცალკე კომპოზიციები რელიგიურ თემაზე, სიკვდილისა და სიცოცხლის სცენები, რაინდები, ტყის სამყარო... საოცრება იყო... ამის შემდეგ გადავწყვიტე მხოლოდ ასე მეხატა. ჩიტებს ვხატავდი — თვალს ამოვუყვანდი, ბუმბულს გამოვხატავდი, ბუზებს ვხატავდი, კალიებს, ბალახს... გამადიდებელი შუშით დავცქეროდი, მომწონდა ეს მოულოდნელი, უცხო და ზუსტი სამყარო... ასე რომ, დიურერმა დამაყენა ამ გზაზე. არ ვიცი, როგორი მოწაფე გამოვდექი მისი, კარგი თუ ცუდი, მაგრამ ამ დეტალების გამოყვანაში მას ვბაძავდი და დღესაც საოცრად მეხმარება, როდესაც ყურადღებას რომელიმე დეტალზე ვამახვილებ...

მაშინ ქაღალდი ძნელად იშოვებოდა. მითხრეს, ყველაზე კარგი ვატმანის ქაღალდიაო. მის ძებნაში ვიყავი სულ... მეგონა, ამ ქაღალდზე თუ დავხატავდი, ყველაფერი რიგზე იქნებოდა და მართლაც ვშოულობდი... ფანქრის გათლა მიყვარდა ძალიან, გაგებული მქონდა, რომ მხატვარმა პირველ რიგში ფანქრის გათლა უნდა იცოდეს... ერთი-ორი კაპიკი თუ ჩამივარდებოდა ხელში, ჩავირბენდი იქვე, ჩვენთან, პატარა ბუკინისტური მაღაზია იყო. ჰქონდათ სხვადასხვა ჟურნალები, პატარა წიგნები მხატვრებზე... იმათ ვყიდულობდი, ვაგროვებდი... მომწონდა რეპროდუქციები. ჩემს თავს მე თვითონ ვასაზრდოებდი. არავინ ჩამირევია. სწავლა ხომ ყველასგან და ყველაფრისგან შეიძლება, თუ მზად ხარ ამისთვის...



**მხატვარ მალხაზ კუხაშვილის მოკლე დოსიე: დაიბადა 1942 წელს, ქ. თბილისში, 1962-68 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მუშაობს გრაფიკაში, ფერწერაში, არის ტელევიზიის, კინოს, თეატრის მხატვარი, მუშაობს წიგნის გრაფიკაზე.**

**პერსონალური გამოფენები: თბილისი, მხატვრის სახლი (1983წ, მოსკოვი, გალერეა „მზიური“, (...წ „ლოს-ანჟელესი, აშშ (1989წ, თბილისი, ეროვნული გალერეა (1996წ თბილისი, გალერეა „ორიენტი“ (2002წ. მისი ნამუშევრები სხვადასხვა დროს გამოფენილი იყო თბილისში, რიგაში, მოსკოვში, კატმანდუში, ვილნიუსში, კუნძულ დიქსიზე, ლაიფციგში. ინახება კერძო კოლექციებში: თბილისში, მოსკოვში, ოტავაში, ლატვიაში, პარიზში, ნიუიორკში, ლოს-ანჟელესში, ვენაში, დრეზდენში...**

* * *

მაინტერესებდა სხვისი აზრიც... გავივლიდი და გამოვივლიდი **უჩა ჯაფარიძის** სახლთან. მაშინ იუბილე ჰქონდა, 50 წელი შეუსრულდა და სახელმწიფომ სახელოსნო აჩუქა. ვერაზე ხმა დაირხა: ასეთი დიდი სახლი არავისთვის უჩუქნიათო და ძალიან მაინტერესებდა... დიდის ამბით ჩავდიოდით და ვათვალიერებდით... ერთხელაც ძალა მოვიკრიფე და ზარი დავრეკე... კარი თვითონ გამიღო... ძალიან ტკბილი კაცი იყო. „მოსკვიჩი“ ჰყავდა, მერე გამასეირნა კიდეც... მაშინ ასე, მეხუთე კლასში ვიქნებოდი... ნახატები მივიტანე. მომეწონა, მომეფერა: კარგი ბიჭი ხარო... თუ ახლოს ცხოვრობ, მოდი ხოლმეო... ჯერ დარეკე და მერე მოდიო... მეც პერიოდულად მივდიოდი... დარეკვაზე ვნერვიულობდი. ერთი ავტომატი იყო სადღაც, ვერის ბაღთან, ჩავირბენდი, დავრეკავდი. — მოდიო — მეტყოდა და ავრბოდი...

მერე გადავწყვიტე კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადამედგა ჩემს ცხოვრებაში — **ლადო გუდიაშვილთან** მივსულიყავი... მისი წიგნი ვნახე და ძალიან მომეწონა. მივედი, ნახატები ვაჩვენე. ღიმილით მითხრა: შენა კაცო, რაღა უნდა გასწავლო, დამთავრებული მხატვარი ხარო!..

დღეს რომ ამას ვიხსენებ, მეცინება... მაშინ კი ძალიან მომეწონა ასეთი შექება. მითხრა: აუცილებლად მოდი და სხვა ნახატებიც მომიტანეო... გიორგი სააკაძე მყავდა დახატული, ხმალამოწვდილი და რაღაც ასეთები, აღარც მახსოვს ზუსტად... — ყოჩაღო, მაგრამ გადახატვას სჯობს, შენ თვითონ ხატო, რაც მოგესურვებაო...

**რა ვისწავლე მათგან? ალბათ ყველაზე კარგი, რასაც მერე მივხდი, იყო, რომ ეს ადამიანები თვლიდნენ, რომ ამ ასაკში არავითარი სწავლა არ არის საჭირო. რაც გინდა, ის უნდა ხატო... ასეთი შემთხვევა მქონდა: პატარა ბავშვი მომიყვანეს გაკვეთილები ჩავუტარე. სტუდენტი ვიყავი I თუ II კურსის. დავალებები მივეცი. პედაგოგიური ნაბიჯები გადავდგი, სერიოზული. ვუთხარი: ხვალ ამას დამახვედრებ გაკეთებულს-მეთქი და მაშინვე ამ ბავშვისთვის ხატვა ჩვეულებრივი გაკვეთილი გახდა, სავალდებულო და აქედან გამომდინარე — უინტერესო... ბავშვს აბსოლუტური თავისუფლება უნდა მიეცეს, მერე კი, როცა მომწიფდება, თვითონვე აირჩევს გზას და მაშინ კი სჭირდება მომზადება... ალბათ ამ დიდმა მხატვრებმაც, რომლებისაც უსაზღვროდ მადლიერი ვარ, სწორი მიმართება აირჩიეს, როცა მითხრეს: კარგი ბიჭი ხარ, ხატეო!.. არ გადახატოო. შენ რაზეც ფიქრობ, ის უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვისიო... და მეც სულ ეს მესმოდა ყურში...**

* * *

სამხატვრო აკადემიაში უამრავი პედაგოგი იყო... ფერწერას თავისი პედაგოგი ჰყავდა, ხატვას თავისი... **გიორგი ჯაში** გვასწავლიდა, **აპოლონ ქუთათელაძე, ვახტანგ ჯაფარიძე, კოტე გრძელიშვილი...**

ბედნიერი ვარ იმით, რომ ხატვას ძალიან დიდი მხატვარი მასწავლიდა — **სერგო ქობულაძე...** იგი კლასიკურ ხატვას მასწავლიდა და ძალიან მომთხოვნი იყო...

**ლევან ცუცქირიძემ** ჰარმონიაში გამარკვია. ფიგურებს რომ ხატავ, პირდაპირ არ უნდა გადმოიტანო მისი პროპორციები, არამედ სტილიდან გამომდინარე, როგორც მოუხდება. ასეა საჭირო თავის თუ კიდურების პორტრეტების უტრირებაო... ან უნდა შეამცირო ხელის მტევნები ან გაზარდო, რაღაც გარკვეულ ჰარმონიამდე რომ მიიყვანო ნახატიო... თამამი ხელი მქონდა ყოველთვის... უწყვეტი ხაზი მიყვარდა და მსურდა მოძრაობა ერთ ხაზში გადმომეცა, ხაზის ემოციურობა მაქსიმუმამდე ამეყვანა.

უდიდესი როლი ჩემს ჩამოყალიბებაში ითამაშა **ლადო გრიგოლიამ**. მხოლოდ მისთვის ცნობილი ხერხებით, წესებით გვასწავლიდა. კომპოზიციებს ზოგჯერ ასანთის ღერებით გვაკეთებინებდა... დაყრიდა ასანთის ღერებს ქაღალდზე, ისინიც გაიფანტებოდნენ და შექმნიდნენ ბუნებრივ ლაქებს. ამ ლაქების მიხედვით ალაგებდა ნებისმიერ კომპოზიციას, თუნდაც, შრიფტს... ასე თავისებურად მუშაობდა, ასე გვასწავლიდა...

ბატონ ლადოს მოსწონდა ჩემი რაღაცეები, მაგრამ ერთხელ გამიბრაზდა, რაღაც ისე არ გავაკეთე, როგორც მითხრა და... აღარ დამელაპარაკა...

გამოცდაზე, ჩვენთან ხომ გამოფენები იმართებოდა ხოლმე. შეფასების დროს, ლადო გრიგოლიამ დამიწერა ხუთი, ლადო ქუთათელაძემ — ორი. დიამეტრულად საწინააღმდეგო ნიშნები... მაგრამ ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რომ ლადო გრიგოლიამ მაშინ დამიწერა ხუთიანი, როცა არ ველოდი...

შევრიგდით კი ასე: ზუსტად აკადემიის შესასვლელთან შევხვდით. მომერიდა, გაბრუნება გადავწყვიტე და მანხელი გადამხვია... საოცარი ადამიანი იყო... ბოლომდე შეყვარებული დავრჩი მასში...

სიცოცხლის ბოლო წლებში ის აკადემიაში არ მუშაობდა. საოცარია, რანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ის — ცოცხალი კლასიკოსი, აკადემიაში არ ყოფილიყო. რამხელა დანაშაულია ერის წინაშე!.. იქნებ, ასე მალე არც გარდაცვლილიყო...



სიცოცხლის ბოლო წლებში ვნახე, როცა ვთხოვე, თქვენზე სადიპლომო ნაშრომი მინდა დავწერომეთქი და გაოცდა: მე რა გამიკეთებია, რომ ჩემს შესახებ ვიღაცამ რამე დაწეროსო...

ამ დიდი მხატვრის ნაღვლიანი აღსასრული ჩვენი, ყველას დანაშაულია, დიდი დანაშაული. ვერავინ დაიცვა, ვერავინ ამოუდგა მხარში... ჩვენივე სიკეთეს ვერ ვხედავთ, განებივრებულები ვართ ნიჭიერი ხალხით, მაგრამ მათ ხომ მოვლა და გაფრთხილება სჭირდებათ...

ერთი პერიოდი თითქოს დაიკარგა მისი ნამუშევრები. მისი წიგნი შრიფტის ხელოვნების შესახებ სადღაც გაქრა. შემდეგ მოინახა და ნაწილობრივ გამოიცა კიდეც. ხალხს ჰგონია, რომ შრიფტი არის მხოლოდ ასოს მოხაზულობა. ისე როგორც ხელოვნების ყველა დარგს, შრიფტსაც თავისი მიმდინარეობები აქვს: გინდ — მოდერნი, გინდ — ავანგარდი, გინდ — იმპრესიონიზმი. ყოველი ეპოქის შრიფტებს თავისი სტილი აქვს. ლადო გრიგოლია ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თანამედროვე ქართული შრიფტის ახალი ფორმების, ახალი პროპორციების ძიება დაიწყო. მისი ყველა შრიფტი უაღრესად დახვეწილია. მან დაწერა ტრაქტატი შრიფტის ხელოვნების შესახებ და თითოეული ასო-ნიშნის 365 ვარიაცია მოგვცა.

ლადო გრიგოლიას შემდეგ აკადემიაში შრიფტს ასწავლიდნენ ისინი, ვინც, ჯერ ერთი, არ იცოდნენ შრიფტი და მეორეც, მოვალეობას იხდიდნენ მხოლოდ... მეექვსე კურსზე ვიყავი, როდესაც ლაიფციგის აკადემიაში მოვხვდი. იქ მთელი ფაკულტეტი სწავლობს შრიფტს. სწავლობენ ისე, როგორც მხატვრობის ტექნიკას, როგორც გრაფიკაში ქსილოგრაფიას, ლინოგრავიურას, ოფორტს... სხვადასხვა ტექნიკაში ასრულებენ და წლის ბოლოს სადიპლომო ნამუშევარს ლითონში ასხამენ. ასეთი ყურადღებით ეკიდებიან შრიფტს. შრიფტი ხომ ერის კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელია...

ჩვენ უმდიდრესი ხალხი ვართ ალბათ, ვინაიდან სამი ტიპის დამწერლობა გაგვაჩნია. სხვა ვინ არის ასე განებივრებული, მაგრამ არ ვაფასებთ ამას ისევე, როგორც სხვა ყველაფერს...

## დრო მიდის, დაუბრუნებელი დრო...

როდესაც ვმუშაობ, ადამიანის მრავალსახეობებს ვაკვირდები მუდამ, მის მიმიკას, მოძრაობას. ჩემს ყველა კომპოზიციაში წინ რაღაც ტიპი მოდის. ზოგჯერ მეჩვენება, რომ იგი მეორდება, ეს ალბათ მაშინ, როცა რაღაც თემა ეძებს გამოსავალს... მერე სხვა თემა იმძლავრებს, ტიპიც იცვლება და ხასიათიც სხვაგვარი იკვეთება... ძალიან ხშირად ვფიქრობ, როგორ მოდის ეს თემები, მიკვირს კიდეც. ზიხარ შენთვის, ავლებ მექანიკურ ხაზებს, რაღაცას აკეთებ, მერე დახედავ მთლიანობაში და ხედავ შტრიხები ისე აწყობილან, რომ ერთიმეორეს უხდებიან და კომპოზიციურად შეკრულან... ეს უკვე არ არის შემთხვევითი ხაზი. ეს ზუსტად ის არის, რაც შენში ზის...

დღეს იძულებული ხარ შემოქმედებაზე ნაკლები იფიქრო და იფიქრო სამსახურზე, სოციალურ პრობლემებზე და კიდევ სხვა რაღაცეებზე... ადამიანის ასე გადატვირთვა საშინელებაა... ხელოვანს სხვა მისია აკისრია. მან უნდა იმუშაოს შემოქმედებითად... სამსახური მხატვრისთვის დაკარგული დროა. საღამოს დათრგუნული ვარ ხოლმე, დაღლილი და მაინც, აღმოვაჩენ, რომ კვლავ ფანქარი მიჭირავს ხელში და ვხატავ. ვხატავ ყველაფერზე — ქაღალდზე, ხელსაწმენდზე, მუყაოზე... მე მაინც ვხატავ და ვფიქრობ ახალ გამოფენაზე... მიუხედავად იმისა, რომ თვალსა და ხელს შუა მიქრება წლები...

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**



№ 21. შაბათი, 3 თებერვალი, 2007 წელი.

● რუსეთს სურს, ყველას უჩვენოს, რომ შეუწყნარებლურად ეკიდება საქართველოს, როგორც ეს ნამდვილად დიდ სახელმწიფოს შეჰფერის პატარა ქვეყანასთან ურთიერთობაში



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამხრეთ ოსეთში ქართულ ფულს დაარიგებენ

**ცხინვალის სამხრეთით მდებარე ქართული სოფლის ერგნეთის მცხოვრებლები ხუთშაბათ დილას თავიანთი სახლების სარდაფებში შეხვდნენ. საქმე ის არის, რომ ღამით ერგნეთში ძლიერი სროლის**



**ხმა ისმოდა. როგორც კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში გვაცნობეს, ისროდნენ ავტომატიდან, ნაღმსატყორცნიდან და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევიდან. სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში თბილისი მოუწოდებს ცხინვალს აილოს ხელი პროვოკაციებზე, რასაც, შესაძლოა, „განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვეს“.**

თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობა კი ყველაფერში თბილისს ადანაშაულებს. ცხინვალის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის მიხეილ მინძაევის მტკიცებით, ორმოცამდე ქართველი სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი უშენდა ცეცხლს ჯერ საქართველოს საზღვარზე მდებარე თვითაღიარებული რესპუბლიკის სამიგრაციო სამსახურის საგუშაგოს, შემდეგ კი ცხინვალსაც. „ეს იყო ფსიქოლოგიური შეტევა, რომელიც შეწყვიტეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საპასუხო ცეცხლი გავხსენით“, — შეგვატყობინა ცხინვალიდან ტელეფონით ინფორმაციისა და პრესის კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა გაგლოევამ.

ცეცხლის დაშენის ფაქტი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა რუსმა გენერალმა მარატ კულახმეტოვმაც დაადასტურა. „დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, თუ პირველად რომელმა მხარემ გახსნა ცეცხლი, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემთხვევის ადგილიდან დაბრუნდება მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები და ეუთოს სამხედრო მეთვალყურეები“,— თქვა კულახმეტოვმა.

აღსანიშნავია, რომ ერგნეთში მომხდარი ინციდენტის წინადღით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისში გამოაცხადა, რომ შემუშავებულია ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ ოსეთის ქართველი მოსახლეობის დახმარებას და მთელი კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციას. ოთხშაბათს გამართულ მთავრობის სხდომაზე სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ამ რეგიონის მცხოვრებლებს. უკვე უახლოეს დღეებში კონფლიქტის ზონაში ყოველი ქართული ოჯახი მიიღებს 100-100 ლარს, ქართულ სოფლებს — თამარაშენსა და ერედვს — ცხინვალის გვერდის ავლით ერთმანეთს დაუკავშირებს უფასო ავტობუსი, დაგეგმილია ასევე გასართობი ცენტრის და 200-ადგილიანი კინოთეატრის, ახალი საავადმყოფოს მშენებლობა. ცხინვალის ტელევიზიის დამოწმებით საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ დღეებში იტყობინებოდნენ: თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ დასჯის ყველა ყველას, ვინც ავრცელებს ხმებს, თითქოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა უახლოესი მომავლისთვის გაერთიანდება საქართველოსთან კონფედერაციაში. „ასეთ ხმებს ავრცელებენ სააკაშვილის ხალხი ქართულ სოფელ ქურთაში მოქმედი ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული პრეზიდენტის დიმიტრი სანაკოევის სახით“,— თქვა ირინა გაგლოევამ.

**ანატოლი გორდიენკო, ვიქტორია პანფილოვა**

НЕЗАВИСИМАЯ

# პრეზიდენტმა სცადა, თავი აერიდებინა საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ დასმული კითხვებისთვის

**ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პრესკონფერენციის დროს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფაქტობრივად არ გაამახვილა ყურადღება კავკასიაში კრემლის მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე. რუსეთის პრეზიდენტს არ ჩამოუყალიბებია თუ როგორია ჩრდილოეთ კავკასიაში სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში კრემლის სტრატეგია, დაწვრილებით არ გაუანალიზებია, თუ როგორია მოსკოვის ურთიერთობა სამხრეთ კავკასიაში მისთვის ყველაზე პრობლემურ ქვეყანასთან — საქართველოსთან.**

თავისი პრეზიდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი წარმატება უწოდა პუტინმა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩეჩნეთში ლიკვიდირებული არიან სეპარატისტთა ლიდერები და რესპუბლიკის სათავეში მოვიდა მოსკოვის მიმართ ლოიალური ხელისუფლება.

„ადამიანის უფლებებისათვის“ მოძრაობის ლიდერს ლევ პონომარიოვს მიაჩნია, რომ ასეთი რეალიაციებისთვის საფუძვლი ნაკლებად არსებობს — ჩეჩნეთში შექმნილი ვითარება და იქ დამყარებული წესები უქმნის საფრთხეს მთელ რუსეთს.

„რაც ხდება ჩეჩნეთში, ამას შეიძლება ვუწოდოთ რამზან კადიროვის ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება — ამ ადამიანს აქვს თავისი უკანონო საპყრობილეები, უკანონოდ მოქმედი შეიარაღებული ფორმირებები. თუ ცდილობენ, რომ ადამიანი, რომელსაც ბრალად ედება მკვლელობები, რომელიც უკვე კარგა ხანია დაპატიმრებული და გასამართლებული უნდა იყოს, წარმოგვიდგინონ სამაგალითოდ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში, მაშინ, ყველასათვის ნათელი ხდება, თუ როგორ გადაიჭრება სხვა პრობლემები რუსეთის სხვა რეგიონებში. თუ დავეფუძნებით ასეთ გამოცდილებას, მაშინ ქვეყანა უნდა დაადგეს ტოტალიტარული რეჟიმის გზას. განა შესაძლებელია, რომ დემოკრატი-



ული სახელმწიფოს ერთ ცალკეულ რესპუბლიკაში დამყარებული იყოს ტოტალიტარული რეჟიმი, დანარჩენებში კი — დემოკრატიული? რა თქმა უნდა — არა. ტოტალიტარული სენით, რომელიც წარმოიქმნა ჩეჩნეთში, ნელ-ნელა მთელი რუსეთიც დაავადდება“.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამბოლოთვეების განმავლობაში ვლადიმერ პუტინმა პირველად ილაპარაკა კეთილმოსურნე ლიმილით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. პუტინის თქმით, საქართველოში რუსეთის ელჩის დაბრუნება არის ამ ქვეყანასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. „ჩვენ ვხედავთ, თუ რა ზარ-ზეიმით შეხვდა ამას ქართული პრესა — ელჩის დაბრუნება მათ თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. დაე, იფიქრონ ასე. ჩვენ ამას ძალზე მშვიდად ვეკიდებით“, — აღნიშნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი მიანიშნებს, რომ ასეთ კომენტარს გარკვეული პიარის ხასიათი აქვს — რუსეთს სურს, ყველას უჩვენოს, რომ შეუწყნარებლურად ეკიდება საქართველოს, როგორც ეს ნამდვილად დიდ სახელმწიფოს შეჰფერის პატარა ქვეყანასთან ურთიერთობაში.

„პრინციპში, ასეთი ტონალობა დასაშვებია. მაგრამ მთელი პრობლემაა ის, რომ მსგავსი ხასიათის განცხადებებს უნდა მოჰყვეს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის რეგიონის მიმართ რუსეთის მიერ განხორციელების პოლიტიკის სერიოზული ანალიზი. მივმართეთ სანქციებს საქართველოს წინააღმდეგ. ალბათ, გვახსოვს ჩვენი პრეზიდენტის ნათქვამი, რომ საქართველოში, თურმე გაუმარჯვია „ბერიას პოლიტიკას“. ეს პოლიტიკა წარმატებული იყო, თუ — წარუმატებელი? რას უნდა დავუკავშიროთ ის, რომ რუსეთი ცდილობს ურთიერთობის ნორმალიზებას? რუსი დიპლომატების რაღაც მოქმედებას? ერთი სიტყვით, მე მსურს, რომ უფრო კონკრეტული და სერიოზული ანალიზი მოვისმინო პრეზიდენტისგან, რომელიც აყალიბებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, მათ შორის კავკასიის მიმართულებითაც. მან უფრომკაფიოდ უნდა განსაზღვროს სტრატეგია, მიზნები: მაინც, რა გვსურს ჩვენ, რუსებს საქართველოსგან.

РАДИО СВОБОДА

◎ სასწაული გაეროში?

# მხოლოდ უფლით, მხოლოდ სიკეთით მოვიპოვებთ მშვიდობას

***„ჟამია შეჩერებისა და ჟამია ფიქრებსა წიაღ შთაფვლისა. ყველას ეგების ეს — თითო კაცთა და სრულიად ადამის მოდგმას. უფრთხილდით ნაჩქარევ დასკვნებსა და ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს. ნუ იამპარტავნებთ, ამა სოფლის მეუფენი ვართ, ჩვენს ნებაზე ჰკიდია დედამიწის ბედიღბალიო. ზეცაში წყდება ყოველივე, ხოლო შეუცნობელია გზანი უფლისანი, აზრთაგამრიგის ნებისამებრ ვვალთ და, დასტურ, ვერას განვჭვრეტთ და ვერცა ვმართავთ ღმრთის განრიგებულს. ეძიებთ და პჰოვებთ ათსა გზასა ქვეყნის მართვისას, მაგრამ უფალი მეთერთმეტე გზას ინებებს, რათა ვერა ჰქმნა ეგე. და მისი სამსჯავროა ყოველთა ზედა აღმატებული სამართლიანობით. ვერცა ვინ გადაწყვეტს კაცობრიობის ბედს, თუ არა ოდენ სამიპოსტასიანი, ერთიანი ღმერთის ნების აღმსრულებელნი. ... ვერ გაიმარჯვებ ომზე ფიქრით. გარნა მიელტვოდე და ილვწოდე მშვიდობისათვის. იფარე უფალი და მადლი ნათლისა მისისა ყოველთა ზედა მისსა შექმნილთა. დათრგუნეთ ბოროტება და სიძულვილი, რაიც მშვიდობისა და თანხმობის გზასა ხსნილ-ყოფს სიკეთისა და სიყვარულისთვის!“ — გვმოძღვრავს დიდი ელ მორია, ძველი პლანეტარული მოაზროვნე, ფილოსოფოსი, ასტრონომი და ასტროლოგი, სწავლული, მათემატიკოსი და პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე და აყვავებული სახელმწიფოს მმართველი.***

ახლა კი ერთ ფრიად საინტერესო, სულაც მისტიკურ ამბავს მოგითხრობთ, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, 1949 წლის მიწურულს რომ მოხდა.

ერთა ლიგის სამართალმემკვიდრის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკური კომიტეტის იმდენად ზესაიდუმლო სპეციალური სხდომა უნდა გამართულიყო, რომ ჟურნალისტები დარბაზში შესასვლელ კარსაც კი არ მიაკარეს, ხოლო გაფაციცებული დაცვა მხოლოდ სპეციალურ სიაში აღნუსხულთ უშვებდა შიგნით.

ამერიკის შეერთებულ შტატებს მ. ოსტინი წარმოადგენდა, დიდ ბრიტანეთს — მ. უები, სსრ კავშირს — ა. ვიშინსკი.

ხომ ასე გასაიდუმლოებული იყო სხდომა და უსაფრთხოების ყველა ზომაც მიიღეს, მაგრამ, როგორც კი სხდომა გახსნილად გამოცხადდა, თავმჯდომარის სერ ბ. როუს ზურგსუკან აღმოსავლური თეთრი სამოსით მოსილი მაღალი ხმელ-ხმელი მამაკაცი გამოჩნდა. თვითმხილველები იხსენებენ, დარბაზში დაძაბულმა, სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურაო. დაძაბულობის შენელება თავმჯდომარემ სცადა — უცნობს ჰკითხა, ვინ ბრძანდებით და რომელი დელეგაციის წევრი ხართო.



პასუხის ნაცვლად, უცხომ რბილი, მაგრამ იმდენად მჟღერი ხმით, რომ ნათქვამი დარბაზის ყველა კუთხე-კუნჭულში ისმოდა, სიტყვა წარმოთქვა ამქვეყნად არსებულ სიკეთესა და ბოროტებაზე.

„ცისქვეშეთში დაბუდებულია ბოროტება, რაიც საერთოა ყველა ადამიანისთვის“, — ამბობდა იგი, — არიან ისეთნი, ვინაც მხოლოდ სიცრუისთვის აღებს პირს. მათს ტუჩებს უნასის შხამი სცხია და არარა უწყიან მშვიდობის გზებზე. სძულთ სინათლე და ბოროტებას სჩადიან...“

ვიშინსკიმ ცივად შეაწყვეტინა:

„საბჭოთა დელეგაცია უარს ამბობს ამ ნაბოდვარის მოსმენაზე. სხდომაზე ეს შემოჭრა, უთუოდ, წინასწარ დაგეგმილი, მაგრამ უნიათოდ შესრულებული შეთქმულებაა, რათა საბჭოეთი აგრესორად წარმოაჩინოს იმ ომში, რომელიც არც დაგვიწყია და რომელშიც არც ვმონაწილეობთ...“. — თქვა მან (კორეის ომს გულისხმობდა).

პოლემიკა გაიმართა, მაგრამ თავმჯდომარემ მონაწილეებს შესთავაზა, სხდომის ძირითად თემას დაბრუნებოდნენ და უცნობს დარბაზის დატოვება სთხოვა. მან კი დინჯად განაგრძო:

„თუ პატრონმა იცის, როდის შეიპარება მის საცხოვრისში ქურდი, იგი ფხიზლობს და არ დაუშვებს თავისი ქონების მოპარვას. მაგრამ, როცა სძინავს, შედის მტერი, სარეველას ურევს მის ხორბალს და მიდის...“

უცნაურად დადუმებული აუდიტორია რატომღაც ყურადღებით უსმენდა მას.

„ვფიქრობ, ყველაზე მეტად გვეშინია, რომ ასეთი ქურდის მსხვერპლნი არ შევიქნეთ,“ — აღნიშნა უებმა.

„თუ საქმეს ხელს ძლიერი, შეიარაღებული კაცი მოჰკიდებს, მის ქონებას არა დაემუქრება რა“, — განაგრძო უცნობმა.

„მაგრამ ხანდახან იძულებულნი ვართ, უმაღლესი ინტერესების გამო, მტერი შინ შემოვუშვათ, — აღნიშნა აშშ-ის წარმომადგენელმა, — აი, აქ, ჩვენს ტერიტორიაზე ვილებთ ჩვენი ხალხის მტრებს, რათა ურთიერთლოიალობაზე მოველაპარაკოთ“.

„არავის ძალუძს ორი ბატონის მსახურება, — მიუგო უცნობმა. — თუ ერთი უყვარს, მაშინ მეორე სძულს...“

ამ უცნაურმა საუბარმა ლამის მთელი საათი გასტანა. და ამ ხნის მანძილზე, თითქოსდა მონუსხულ აუდიტორიას, აზრადაც არ მოსვლია დაცვის გამოძახება და უცნობის ძალით გაყვანა.

„ღირსეულად და თანამიმდევრობით იმოქმედეთ. განიშორეთ ბოროტება და თესეთ სიკეთე. ეძიეთ მშვიდობა, ილტვოდეთ მისკენ. განიმტკიცეთ რწმენა თქვენი — რწმენა სამართლიანობაზე დაფუძნებული ქვეყნების მიმართ, დაპირებებს განუხრელედ რომ აღასრულებენ და ლომებს პირებს უხშობენ“.

როუმ ღიმილით წარმოთქვა:

„კარგი იქნებოდა ეს სიბრძნე წიგნში ასახულიყო და არა მხოლოდ ასე — ზეპირად“.

„ასეთი წიგნი რახანია დაწერილია, — ხმაჰყო უცნობმა. — ეს ბიბლიაა, ეს ქრისტეს სწავლება და მაცხოვრის მცნებებია!“

წარმოთქვა, კარისკენ გაემართა და... გაქრა. დაცვა იფიცებოდა დარბაზიდან არავინ გამოსულაო...

დაუჯერებელია? ფანტასტიკურია? არა, ფაქტია. ზემომოთხრობილი სტენოგრაფიულად არის აღნუსხული და მრავალი წლის მანძილზე ინახებოდა გაეროს არქივში გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“.

ვარაუდობენ, რომ ის უცნობი დიდი ელ მორია იყო...

**ვლადიმერ აბულაძე**

***P. S. „ამჟამად მსოფლიო იმ ზღვარზეა, როცა არჩევანზე, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. სწორედ „აქ და ახლა“ უნდა გაერთიანდნენ სიკეთისა და სინათლის ძალები და ინდივიდუალური ლოცვები, გულების შინაგანი მისწრაფება ქვეყნად მშვიდობის დასამყარებლად, ქვეყნების ხელმძღვანელთა, მთავრობათა, პარლამენტთა ძალისხმევა, რათა ადამიანთა ყველა სიტყვა და აზრი მხოლოდ სიკეთის ქმნისკენ იყოს მიმართული. კუთხეში მიმწყვდეული მხეცი ძალზე საშიშია და ისეთი საშინელების ჩადენა შეუძლია (მაგალითად საერთაშორისო ტერორიზმიც ჭარაძ, რომლის შედეგების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ამას, შესაძლოა, უთვალავი მსხვერპლი მოჰყვეს და ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს“!***

*ელ მორია*

● „ერთადერთი შესაძლო ურთიერთობაა ღმერთთან ურთიერთობა და ამ შემთხვევაში ყველაფერი იწყებს მნიშვნელობის შეძენას, ხოლო ჩვენ უზენაესი აზრის შესაცნობად ვიხსნებით“



◎ წიგნის თარო

# შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა: პაულო კოელიოს ვერსია

## მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალი გვიამბობს კატობრიულ უკეთურებათა ამბავს. შვიდიდან ჯერ მხოლოდ ორზე ლაპარაკობს

***შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა (თავიდან ეს ცოდვა რვა იყო) ქრისტიანობის გარიჟრაჟზე ბერძენმა ბერმა ევაგრიუს პონტოელმა ჩამოაყალიბა. მან ჩამოთვალა ადამიანისთვის დამახასიათებელი ძირითადი საძრახისი მიდრეკილებები (საგულისყუროა, რომ პირველ ადგილზე ამ სიაში ღორმუცლობა იყო დასახელებული), რომლებსაც განუხრელად მიჰყავთ ისინი ჯოჯოხეთამდე. მეექვსე საუკუნეში პაპმა გრიგორი დიდმა ამ ნუსხაში კორექტივები შეიტანა, დარდი შურით შეცვალა, ამპარტავნობა და პატივმოყვარეობა კი გააერთიანა.***

***მეჩვიდმეტე საუკუნეში სია კვლავ შეიცვალა და მას შემდეგ მელანქოლია ცოდვად აღარ ითვლება, მისი ადგილი სიზარმაცემ შეცვალა. მაშ ასე, ჩვენ წინაშეა „ძირითადი სია“.***

### პირველი ცოდვა: ამპარტავნობა

ამ არსებითი სახელის სინონიმებია: ქედმაღლობა, მედიდურობა, გულზვიადობა.

კათოლიკური ეკლესიის დოქტრინის თანახმად, ეს არის ყოველგვარ ზღვარს გასული სიყვარული საკუთარი თავის, რომელიც ღმერთის სიყვარულზე აღმატებული ხდება. იგი ეწინააღმდეგება პირველ მცნებას და ანგელოსთა აჯანყებისა და ლუციფერის დამხობის მიზეზი გახდა.

ბუდისტური არაკის მიხედვით, დიდმა მოძღვარმა ტოფუკუმ შენიშნა, რომ ტაძარში ცხოველი ფაციფუცი სუფევდა: მორჩილები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ბერები კი ვიღაც საპატიო სტუმრის მოლოდინში მწკრივად მოეწყვნენ.

„რა ხდება?“ – დაგულისყურდა იგი.

მაშინ მას ერთი მეომარი მიეახლა და ბარათი გაუწოდა, რომელშიც ეწერა: „კატიგაკი, ქალაქ კიოტოს გუბერნატორი, ეს-ეს არის ტაძრის კარიბჭეს მოადგა და გთხოვთ, მიიღოთ იგი“.

„მე არაფერი მაქვს იმ ადამიანთან სალაპარაკო“, – უპასუხა მოძღვარმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტოფუკუს თავად გუბერნატორი ეახლა, პატიება სთხოვა მას, ბარათში რაღაც წაშალა და კვლავ გადასცა იგი მოძღვარს.

ბარათში ეწერა: „კიტაგაკი გთხოვთ, მიიღოთ იგი“.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ – უპასუხა ტოფუკუმ.

როდესაც 2003 წლის 1 მაისს ავიამზიდ „ლინკოლნზე“ პრეზიდენტმა ბუშმა ერაყში ერთ-ერთი დიდი საბრძოლო ოპერაციის დამთავრების შესახებ გამოაცხადა, გამოჰკიდეს ტრანსპარანტი „დავალება შესრულებულია“. იმ დღეს მოკლული ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობამ 217 ადამიანი შეადგინა. იმ დღეს კი, როდესაც მე ამ სტრიქონებს ვწერ, მათმა რიცხვმა 2700-ს გადააჭარბა. რაბინ ადინ შტაინზალტცის თანახმად, „როდესაც ვინმეს უნდა გაიგოს, ვინ არის იგი სინამდვილეში და შედარებისთვის მეორეხარისხოვან რამეებს ირჩევს, მაშინ იგი პოვებს მხოლოდ ცარიელი ნიჟარების გროვას, რომლებიც ერთი მეორეზე არიან დამოკიდებული და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იძენენ აზრს“.

„არ არის მართებული საკუთარი თავის განსაზღვრა როგორც ვიღაცის მეგობრის, ვიღაც მაღალი თანამდებობის პირის შვილის, ამა თუ იმ მოვალეობების შემსრულებლისა. რამეთუ ყოველივე, რასაც ამგვარი ხერხით განვსაზღვრავთ, მხოლოდღა თავად ჩვენი წახნაგებია – როგორც წესი, წახნაგები არასრული და მქრქალი, თითქოს ვიღაც ლამობს სხვების ხარჯზე წარმოაჩინოს ისინი“.

„ერთადერთი შესაძლო ურთიერთობაა ღმერთთან ურთიერთობა და ამ შემთხვევაში ყველაფერი იწყებს მნიშვნელობის შეძენას, ხოლო ჩვენ უზენაესი აზრის შესაცნობად ვიხსნებით“.

წმინდა ავგუსტინის თანახმად, ქედმაღლობა სიდიადე კი არ არის, არამედ ბღენძიაობა. გაბღენძილი ადამიანი დიადი ჩანს, სინამდვილეში კი ეს ავადმყოფობაა.

რჩევები წიგნიდან „დაო დე ძინი“: ***უმჯობესია პირთამდე არ გავავსოთ ჭიქა, ვიდრე ვეცადოთ, ისე გადავაადგილოთ იგი, რომ არ დავღვაროთ.***

***მეტისმეტად ალესილი პირი მყიფე ხდება.***

***როდესაც დარბაზი ოქროთი და ნეფრიტით არის სავსე, მათი მფლობელი საკუთარ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს.***

***როდესაც სიმდიდრე და პატივი ქედმაღლობას შობს, ამას უთუოდ მოჰყვება ბოროტება.***

***როდესაც სამუშაოს ვასრულებთ და სახელს ვითქვამთ, სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი შრომა-გარჯის დამთავრებამდე ჩრდილში დავრჩეთ.***

### მეორე ცოდვა: ანგარება

ლექსიკონში ანგარება ასეა განმარტებული – საქმიანობაში პირადი ნივთიერი სარგებლობის მიზნით ხელმძღვანელობა.

მისი სინონიმებია: სიხარბე, მომხვეჭელობა, სიძუნწე.

კათოლიკური ეკლესია განსაზღვრავს როგორც მეათე მცნების დარღვევას: „არა გული გითქმიდეს ცოლისთვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მიწისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა იმისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა“. სიამოვნებათა ან შეძენის დაუოკებელი სურვილი.

ფილოსოფოსი სენეკა: ღარიბებს უნდათ რაღაც, მდიდრებს – ბევრი, ანგარებიანებს კი – ყველაფერი.

მოთხრობა მეუდაბნოე მამებზე გვიამბობს: „წმინდა მამაო, – უთხრა მორჩილმა მოძღვარს, – გული ჩემი აღსავსეა სიყვარულით მთელი სამყაროსადმი, ხოლო სული სუფთაა ეშმაკისეულ ცდუნებათაგან. ახლა რისი გაკეთება მმართებს?“ მოძღვარმა სთხოვა მორჩილს მძიმე ავადმყოფთან გაჰყოლოდა ზეთის კურთხევისათვის. მას შემდეგ, რაც ახლობლები შეძლებისდაგვარად ანუგეშა, მოძღვარმა კუთხეში სკივრი შენიშნა და იკითხა, რა იყო შიგ. „ტანისამოსი, – მიუგო ავადმყოფის ძმისწულმა. – ტანისამოსი, რომელიც ბიძაჩემს არასოდეს ჩაუცვამს. იგი იმაზე ფიქრით ყიდულობდა სამოსს, რომ როდისმე მიეცემოდა მისი ჩაცმის შემთხვევა, საბოლოოდ კი ყველაფერი ამ სკივრში ლპება“. „არ დაივიწყო ეს, – უთხრა მოძღვარმა მორჩილს, როდესაც მომაკვდავის სახლი დატოვეს. – თუ გულში სულიერი განძი გაქვს, ნუ დააყოვნებ, საქმეს მოახმარე იგი. თუ არადა, იგი ამაოდ დაიკარგება“.

აზიის 1997 წლის ფინანსური კრიზისისადმი მიძღვნილი სტატია: ბირჟის მაკლერები ყიდულობდნენ და ყიდდნენ, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რომ სამყარო არ შეიცვლებოდა, მათ კი მხოლოდ მეტი გულმოდგინება უნდა გამოეჩინათ და თვალი ედევნებინათ, როგორ იზრდებოდა მათი ქონება. ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ იმას, თუ როგორ ზარალს აყენებდნენ ადგილობრივ (მალაიზიურ) ვალუტას და აი, უეცრად 500 მილიარდი დოლარი მიმოქცევიდან გამოვიდა. ხოლო როდესაც დადგა დრო – ახსნა-განმარტება მიეცათ ყველასთვის, ვინც კი მრავალი დანაზოგი დაკარგა, პასუხი ერთი იყო: „დამნაშავეა ბაზარი“. არადა სწორედ თვითონ არიან ბაზარი.

ერთხელ სიკვდილი და ანგარება უყურებდნენ, როგორ ეძებდნენ ადამიანები ქანცის გაწყვეტამდე ალმასებს. „რამდენიმეს წავიყვან, – თქვა სიკვდილმა. – მომეცი ამ ადამიანების მესამედი და წავალ“. „ისინი მე მეკუთვნიან, – უპასუხა ანგარებამ. – ისინი ჩემი მონები არიან. ვერავისაც ვერ მოგცემ“. მაშინ სიკვდილმა წყალს თავისი ჯადოსნური კვერთხი შეახო და მოწამლა იგი. მალე ყველა იქ მყოფი მოკვდა. „რატომ წაიყვანე ყველა ჩემი მონა?“ – შეჰყვირა გაავებულმა ანგარებამ. „იმიტომ, რომ შენ ჩემთვის ერთიც არ გამოიმეტე“, – უპასუხა სიკვდილმა.

ადოლფ ჰიტლერი, ჰოლოკოსტისთვის ნიადაგს რომ ამზადებდა (ჰოლოკოსტს 6 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა), ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ამბობდა: „ებრაელი ხალხი წარმოების უუნარობის გამო პარაზიტს წარმოადგენს. ანგარებით შეპყრობილი ებრაელები საშუალო კლასის სიბრიყვით სარგებლობენ“. მრავალი ასწლეულის წინათ მოშე ბენ მაიმონი ამბობდა: „უფალი ადამიანს უგზავნის თავის მაცნეებს, რომლებსაც „სნეულებები“ ჰქვიათ. ღვთიურმა განგებამ მე საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა დამავალა. დაე, ყოველ წუთს იმის სიყვარული მამოძრავებდეს, რასაც ვაკეთებ. დაე, სიხარბემ ან ძალაუფლების სიყვარულმა არასდროს დამიბინდოს მზერა, არ დამავიწყოს, რომ ყოველი ადამიანი უნდა ცდილობდეს – მისცეს სხვას ის საუკეთესო, რაც მასში ძევს“.

რჩევა წიგნიდან „დაო დე ძინი“: ***ხუთი ფერი უბრმავებს ადამიანს მზერას. ხუთი ნოტი უხშობს ადამიანს სმენას. ხუთი გემო ულიზიანებს სასას. დოღი და ნადირობა ველურ და შმაგ ვნებებს უღვიძებს გულში. სიკეთეებს, რომელთა მოპოვება მხოლოდ სახიფათო წინაღობების გადალახვის შემდეგაა შესაძლებელი, შეიძლება ჭრილობები მოჰყვეს. ამიტომაც (...) ბრძენი უარყოფს ზედაპირულს და ჩაღრმავებას ამჯობინებს.***



◎ გვეხმაურებიან

(მეექვსე გვერდიდან)

# ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომელია საერთო-სალიტერატურო ენა და რომელია ადგილობრივი დიალექტი

ენობრივი საკითხი რთული იყო სომხებისთვისაც, რადგანაც სომხური კილოები ძალზე დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ის მეტყველება, რომლითაც კილიკიაში საუბრობენ, აბსოლუტურად განსხვავდება, ვთქვათ, ბულგარეთის სომხების ენისაგან. მიუხედავად ამისა, სკოლებში შეისწავლება სალიტერატურო სომხური ენა, დიდად განსხვავებული იმ ენისაგან, რომელზეც ოჯახებში მეტყველებენ.

ჩვენმა წინაპრებმა ენობრივი საკითხის მოგვარება შეძლეს ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე. ქართველმა ერმა კულტურულ მთლიანობას მიაღწია მეფე ფარნავაზისა და ერისთავ ქუჯის, პეტრე იბერისა და იოანე ლაზის, სხვა დიდ და დიდებულ ქართველთა ურთიერთთანამშრომლობით და სწორედ ამ კულტურული მთლიანობის დარღვევა არის ცოდვა წინაშე უფლისა. მემატიანეთა ცნობით, ქართულ ენას თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მფარველობდა და ვითარცა საერთო-სახალხო გამოიყენებოდა კიდეც ერთადერთ საეკლესიო და სახელმწიფო ენად საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა, სვანეთსა, სამეგრელოსა, ქართლსა თუ კახეთში ათასწლეულთა მანძილზე.

ცხადია წმ. წერილის ყოველ ენაზე თარგმნა კურთხეული საქმეა, მაგრამ ერთი ერის მრავალ ტომად დანაკუწებისათვის მისი გამოყენება არასწორია. თვით წმ. მოციქულების ეპოქაში წმინდა წერილი არ უთარგმნიათ კორინთულ, დორიულ ან, ვთქვათ, იონურ „ენებზე“, თუმცა კი ბერძნული ენის დიალექტებზე შესაბამისი, ძალზე განვითარებული ლიტერატურა არსებობდა. წმ. მოციქულების ეპოქაში, მოციქულების ნებით, მე კი ვიტყოდი სული წმიდის ნებით, წმ. წერილი ითარგმნა ბერძენთა საერთო ენაზე, ანუ ბერძნულ კოინეზე, რომელიც შედარებით განუვითარებელი იყო, მაგრამ გასაგები ყველა ბერძნული ტომისათვის. ასევე IV-V საუკუნეებში ის ენა, რომლითაც ქართველთათვის ითარგმნა წმ. წერილი, უთუოდ გასაგები იყო ყველა ქართული ტომისათვის. ასე რომ არ ყოფილიყო, ლაზეთ-ეგრისიდან იმდენი და ისეთი დიდი საეკლესიო მოღვაწეები მოევლინენ წმ. ეკლესიას (იოანე ლაზიდან – ჭყონდიდელების ჩათვლით), ისინი შეძლებდნენ და უთუოდ თარგმნიდნენ წმ. წერილს თავიანთი მრევლის საჭიროებისათვის, მაგრამ მათ, ვფიქრობ, ჩვენზე უკეთ იცოდნენ რომელია საერთო-სახალხო-სალიტერატურო-საეკლესიო ენა და რომელი არის კუთხური დიალექტი.

აღნიშნული საკითხი ღრმაა და დიდ ყურადღებას მოითხოვს. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, როცა რუსეთის იმპერიის მოხელეები, ქართველი ერის მთლიანობის დარღვევის მიზნით, ცდილობდნენ კუთხურ დიალექტებზე ეთარგმნათ ქართული წმ. წერილი, მთელი საზოგადოება, მათ შორის ნიკო დადიანი, დიმიტრი ყიფიანი, ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, წმ. ამბროსი ხელაია, წმ. ალექსი შუშანია, ილია, აკაკი, იაკობი და სხვანი პრესაში აქვეყნებდნენ მძაფრ წერილებს ამის აღსაკვეთად. რადგან ამჟამად ამ საკითხს კვლავ ეხებიან, ვითხოვ ნებას ამასთან დაკავშირებით გაზეთში გამოვაქვეყნო რამდენიმე წერილი.

მიტროპოლიტი
ანანია ჯაფარიძე

**სამი კვირა ძმასავით მიპატრონა გაიოზ ნოზაძემ, ფსიქოლო-გიური სტრესიდან ნელ-ნელა გამომიყვანა. ჩემი თანამემამულე-ების ტრაგედიაში უფრო ღრმად ჩამახედა**



თარიღი

# გაიოზ ნოზაძე – 70

**ნოზაძეთა საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენლის გაიოზ ნოზაძის შრომითი ბიოგრაფია თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავს და სადაც კი იმუშავა, ყველგან კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობით, სამართლიანობით და პატიოსნებით გამოირჩეოდა. მას ახალგაზრდობიდანვე მაღალი თანამდებობები ეკავა, მაგრამ შრომისმოყვარე და პატიოსან ოჯახში აღზრდილ ახალგაზრდას განვლილი ცხოვრების მანძილზე ხალხთან და თანამშრომლებთან ურთიერთობაში წონასწორობა არასოდეს დაუკარგავს, თავისი აზრი ერთადერთ ჭეშმარიტებად არასოდეს ულიარებია და აზრთა სხვადასხვაობას ყოველთვის პატივს სცემდა. იმ პერიოდში თანამდებობაზე პატიოსნად მუშაობა არ იყო ადვილი საქმე, მაგრამ გაიოზ ნოზაძემ თავისი პიროვნული თვისებების, პრინციპულობის წყალობით შეძლო ამ ბარიერის გადალახვა და თავის მშობლიურ ჭიათურაში თუ ბაღდათის რაიონში, რომლებსაც ის თავკაცობდა, დღესაც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებიან. მან თავის დროზე სიკეთე დათესა და სიყვარული მოიმკა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ რაიონიდან წამოსვლიდან 5 წლის შემდეგ, 1995 წელს, საქართველოს პარლამენტში ბაღდათის მოსახლეობამ აირჩია.**

# კაცი, რომელიც სიკეთეს თესავს

გაიოზ ნოზაძე 1937 წლის 10 თებერვალს ჭიათურაში დაიბადა დამსახურებული მეგზევიინჟინრის პლატონ ნოზაძის და დამსახურებული პედაგოგის თამარ ტყემალაძის ოჯახში.

1960 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, გაიოზ ნოზაძის შრომითი საქმიანობა ჭიათურაში ტრესტ „ჭიათურმანგანუმმშენში" დაიწყო. ამ ქალაქში მან 20 წელი იმუშავა. 1973-1980 წლებში პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო.

მისი უშუალო მონაწილეობით ჭიათურაში და ბაღდათის (ყოფილი მაიაკოვსკის) რაიონში მრავალი საჭირბოროტო საკითხი გადაწყდა. ამასთან, ასეულობით საბინაო, სოციალური და კულტურული, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი ამოქმედდა.

1990 წლის აპრილში გაიოზ ნოზაძე მუშაობას იწყებს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ იყო მინისტრთა კაბინეტის წამყვანი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, საგანგებო სიტუაციების, ლტოლვილთა და განსახლების სამსახურის უფროსი.

1985-1990 წლებში მაიაკოვსკის რაიონის დიმის საარჩევნო ოლქში აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1995-1999 წლებში ბაღდათის რაიონიდან – მაჟორიტარული წესით – საქართველოს პარლამენტის წევრად. იმ მოწვევის პარლამენტში, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, იყო ფრაქცია „იმედის" თავმჯდომარის მოადგილე, მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი, კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიის წევრი, ცხინვალის რეგიონის პრობლემის შემსწავლელი დროებითი კომისიის წევრი.

გაიოზ ნოზაძე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის საქმეში, მათ შორის, სვანეთსა და მთიან აჭარაში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სხვა რაიონებში ჩასახლების, 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად წარმოშობილი პრობლემებისა და სხვა საკითხების მოგვარებაში. როგორც რესპუბლიკური შტაბის წევრი, 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, უშუალოდ მონაწილეობდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ურთულეს პირობებში დევნილთა ჭუბერის უღელტეხილის გავლით ორგანიზებულად გადმოყვანაში. როგორც მინისტრის მოადგილე, დღენიადაგ ზრუნავდა დევნილთა და ლტოლვილთათვის ყოფა-ცხოვრების ელემენტარული პირობების შექმნის, მათი განსახლებისა და სხვა საკითხების მოგვარებისათვის, ხოლო როგორც შერეული საკონტროლო კომისიის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისა და დაზიანებული ობიექტების აღდგენის პროცესში. ამასთან, გაიოზ ნოზაძე კოორდინაციას უწევდა სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის საკითხებს და როგორც საპარლამენტო მდივანი, უშუალოდ მონაწილეობდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

ამჟამად გაიოზ ნოზაძე დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს. ნოზაძეთა საგვარეულო კავშირის – „ვიქტორ ნოზაძის საზოგადოების" თავმჯდომარეა. საზოგადოება აპირებს გამოსცეს ამ დიდი მამულიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა – თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. სულ მოკლე ხანში უკვე გამოვიდა ვიქტორ ნოზაძის სამი ტომი. საზოგადოება მიზნად ისახავს სხვა ეროვნული საკითხების გადაწყვეტას. კერძოდ, ვიქტორ ნოზაძის მშობლიურ სოფელში დიდი მეცნიერის სახლ-მუზეუმის გახსნას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიქტორ ნოზაძის სახელობის სტიპენდიის დაარსებას და სხვა.

გაიოზ ნოზაძის მოღვაწეობა ხელისუფლებამ მრავალი ჯილდოთი აღნიშნა. ქართულ-ოსურ კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის ლტოლვილთა და იძულებითი ადგილნაცვალთა დაბრუნების ხელშემწყობი სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე გაიოზ ნოზაძე დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით".

გაიოზ ნოზაძეს ტრადიციული ქართული ოჯახი აქვს. მისი მეუღლე მარინა მოდებაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის ასისტენტია. ამასთან, მუშაობს საქართველოს პარლამენტის აპარატში უფროს სპეციალისტად. მათი ორი ვაჟი – პლატონი (ექიმი და მამუკა (იურისტი) პროფესიულ ასპარეზზე მოღვაწეობენ, ხუთი შვილიშვილი – თამარი, გიზო (გაიოზი), ეკატერინე, მარიამი და ლაზარე კი ნოზაძეთა დიდ საგვარეულო ტრადიციებს გააგრძელებენ.

გაიოზ ნოზაძეს უამრავი კარგი, ეროვნული საქმე აქვს გაკეთებული. მას ბევრისთვის გაუწვდია დახმარების ხელი, მაგრამ თავის თავზე, თავის დამსახურებაზე არასდროს საუბრობს – კეთილ საქმეს ყოველთვის უჩუმრად აკეთებდა. სწორედ ამ მხრივაც არის საინტერესო ცნობილი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის **გენო კალანდიას** მოგონება „ნუგეშისმცემელი", რომელიც შესანიშნავად წარმოაჩენს გაიოზ ნოზაძის ნათელ პიროვნებას. ბატონი გენო იგონებს აფხაზეთიდან განდევნილი ქართველი მოსახლეობის მწარე დღეებს ჭუბერის გზაზე:

**„1993 წლის 2 ოქტომბერს საკენის გავლით ძლივს ჩავაღწიე მაღალმთიან სოფელ ჭუბერში. როგორც ჩემს თანამემამულეებს, ალბათ, მეც არც მქონდა ადამიანის სახე. მშიერ-მწყურვალსა და მთის ღამეული სიცივეებისგან გალურჯებულს ფეხები მეკეცებოდა. ვერ ვმოძრაობდი, უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და კითხვა-კითხვის საგანგებო შტაბისკენ გავწიე...**

**საგანგებო შტაბის ერთ-ერთ ოთახში ხალხი ირეოდა, ხმაური და გნიასი იდგა...**

**მაღალ-მაღალი, აღნაგი ტანის კაცი მაგიდას მოწყდა და ჩემკენ გამოქანდა, გადამეხვია და გადამკოცნა.**

**ჩემი ძველი მეგობარი, ბაღდათის რაიონის (მაიაკოვსკის) ყოფილი თავკაცი გაიოზ ნოზაძე მკოცნიდა, შვებით ამოვისუნთქე, მივხვდი, რომ გადავრჩი.**

**იმ დღიდან, იმ წუთიდან სამი დუხჭირი კვირა გავატარე გაიოზ ნოზაძის გვერდით. ერთ ოთახში გვეძინა ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძლის და დიდი პატრიოტის ლია ცინდელიანის სახლში.**

**მე, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი გაიოზ ნოზაძის წინადადებით საგანგებო შტაბის წევრად დამამტკიცეს. ბორის სარალიძესთან, ლია ცინდელიანთან, ივერი ჭელიძესთან, მამუკა მინდელთან, კახა კვიციანთან, მირიან ხერგიანთან და სხვებთან ერთად დაიწყო ჩვენი ოცდაოთხსაათიანი მუშაობა დევნილთა გადასარჩენად. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასე ყვარებოდა თავისი ხალხი, გულთან ასე მიეტანოს მოყვასის მწუხარება და გასაჭირი. ბატონი გაიოზი ყველგან ასწრებდა, საკუთარი ხელით ურიგებდა დამშეულთა და უპოვართ სურსათ-სანოვაგესა და თბილეულს; ავტობუსებით, ვერტმფრენებით, უბრალო საბარგულებით აგზავნიდა თბილისის, ზუგდიდისა და ქუთაისის მიმართულებით...**

სამი კვირა ძმასავით მიპატრონა გაიოზ ნოზაძემ, ფსიქოლოგიური სტრესიდან ნელ-ნელა გამომიყვანა. ჩემი თანამემამულეების ტრაგედიაში უფრო ღრმად ჩამახედა და სამუდამოდ იქ გავჭაღარავდი.

რაფინირებული, ინტელიგენტი კაცია გაიოზ ნოზაძე.

სახელმწიფო მრჩეველი,

საქართველოს პარლამენტის წევრი,

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე, – აი, ის მოკლე სამსახურებრივი ნუსხა, რომლითაც იყო გაიოზ ნოზაძე ყოველდღიურად დაკავებული. მისი უშუალო ინიციატივით არაერთი კანონი იქნა მიღებული დევნილთა უფლებებზე, მრავალი წელი იცხოვრა და იღვაწა იმათ ტკივილითა და ნუგეშისცემით.

მე ეს მახსოვს, ეს ახსოვთ ჩემს თანამემამულეებს, ჩვენს კეთილმსურველებს...

გაიოზ ნოზაძე ჩვემი ძველი მეგობარია. მე ვამაყობ მისი განვლილი გზითა და აწმყოთი.

ღმერთი იყოს ნოზაძეების გვარის მფარველი".

**მეგობრები**

---

ინფორმაცია

## ენგურზე საგანგებო პოსტები გაიხსნება

**სპეციალურ დეზოხალიჩაზე გავლის გარეშე ენგურის ხიდის გავლით აფხაზეთის ტერიტორიაზე ვერანაირი ტრანსპორტი ვერ მოხვდება.**

საგანგებო პოსტები გაიხსნება ენგურის ყველა გადასასვლელზე, სადაც ტრანსპორტი გადაადგილდება, – განაცხადა ზუგდიდში ვეტერინარიის დეპარტამენტის ადგილობრივმა წარმომადგენელმა რობერტ ჭურღულიამ.

მისივე თქმით, ამის თაობაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთან.

ჭურღულიას განცხადებით, შესაბამისი აპარატურა და ხსნარი შტაბებს საკმარისზე მეტი აქვთ. ამასთან, გახსნილია ცხელი ხაზი და საეჭვო შემთხვევებში სპეციალისტები მზად არიან შემთხვევის ადგილზე გასასვლელად.

**ინტერპრესნიუსი**

---


**სს „საგაზმშენი" აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული სამშენებლო ტექნიკის 10.2 ტ. ჯართის რეალიზაციის მიზნით. ერთი ტონის საწყისი ფასია 130 ლარი, მყიდველის დამზადებით და ტრანსპორტირებით.**

ჯართის ადგილ მდებარეობა: ახალქალაქის რაიონი სოფ. ქოთელია, 8 ტონა და ადგილზე 2.2 ტ.

**გამყიდველის მისამართი:**

**ქ. თბილისი ჟორესის ქ. №13, ტელ: 70-66-30.**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. განცხადებები აუქციონში მონაწილეობაზე მიიღება 2007 წლის 5 თებერვლიდან 19 თებერვლის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე. **აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 20 თებერვალს დღის 12 საათზე.**

**აუქციონში მონაწილეობის მსურველები სააუქციონო კომისიას წარუდგენს:**

1. განაცხადს აუქციონში მონაწილეობაზე, სადაც მითითებული იქნება სურვილი ჯართის შეძენის თაობაზე.
2. „ბე"-ს შეტანის ქვითარი. „ბე"-ს სიდიდე შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 10 პროცენტს და შეტანილ უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: „გაერთიანებული ქართული ბანკი", ცენტრალური ფილიალი ა/ა №16467466, საიდენტიფიკაციო კოდი 208141312.
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

აუქციონის „ბიჯი" შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 პროცენტს.

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია მაქსიმალური ღირებულების გადახდა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**სს „საქგაზმშენის" დირექცია.**

**სს „საქგაზმშენის" დირექტორი ვ. ბახტაძე.**



სააქციო საზოგადოება

**„საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"**

**რიგგარეშე კრება**

**დღის წესრიგი:**

1. გენერალური დირექტორის საქმიანობის ანგარიში 2005 წელს მიღებული მოგების განაწილების შესახებ;
2. გენერალური დირექტორის ანგარიში 2006 წლის წინასწარი შედეგების შესახებ;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2006 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ;
4. კომპანიის შემდგომი განვითარების სტრატეგიის, 2007 წლის ბიზნეს-გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ;
5. კომპანიის ახალი წესდების შესახებ;
6. სამეთვალყურეო საბჭოს დებულების შესახებ;
7. სამეთვალყურეო საბჭოს დებულების შესახებ;
8. დირექტორატის დებულების შესახებ;
9. სხვადასხვა.

**რიგგარეშე კრება გაიმართება 2007 წლის 23 თებერვალს 10 საათზე, მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. 36, კინოთეატრ „ამირანის" დიდ დარბაზში.**



**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576


№ 21. შაბათი, 3 თებერვალი, 2007 წელი.

● რაგბის გულშემატკივრებს დღევანდელი პაექრობის ნახვა ბუქარესტიდან ტელერეპორტაჟით შეეძლებათ ტელეკომპანია „მზის“ პირდაპირ ეთერში 15 საათსა და 30 წუთიდან



◎ სუპერლიგა

# არის ასეთი წყვილი!



**დღეს ვერის ბაღში განახლდება კალათბურთელ ვაჟთა XVI ეროვნული ჩემპიონატი – რეგულარული სეზონის საშუალედო სტარტზე ითამაშებენ: „მაკაბი“-სტუ (12 საათზე), „დინამო“-„ავიამშენი“ (14 საათზე) და თსუ-„აზოტი“ (16 საათზე). ტურის მოვლენად, ბუნებრივია, სტუდენტთა და რუსთაველთა შეხვედრა ითვლება და სწორედ მას მიეძღვნა გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართული წინასამატჩო პრესკონფერენცია.**

როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული თასის ამასწინანდელი გათამაშების ჯგუფურ რაუნდში ეს გუნდები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ სუპერლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა მხოლოდ დასკვნით პერიოდში გატეხა მეტოქის შეუპოვარი წინააღმდეგობა, ასე რომ, მასპინძლებს რევანშზე მართებთ ზრუნვა. თუმცა, მოტივაცია არც ქვემოქართლელებს აკლიათ – გემახსოვრებათ, რომ ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბი ზემოთ უკვე ნახსენები ტურნირის ფინალში ავიატორებთან დამარცხდა, დავით უსტიაშვილის თავმოყვარეობაშელახული შეგირდები კი იმიჯის აღდგენას, რასაკვირველია, პრინციპული დუელის მოგებით შეეცდებიან.

**მოკლედ, მობრძანდით დღეს მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში და, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, საინტერესო სანახაობა გელით.**

◎ რაგბი

# „ტეიზე“ – 15 საათსა და 30 წუთიდან

**დღეს ბუქარესტში მორაგბეთა ევროპის ერთა თასის 2007-2008 წლის გათამაშების პირველი მატჩი გაიმართება. სტუდენტური სპორტკომპლექსის სტადიონ „ტეიზე“ ერთმანეთს შეხვდებიან მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის მონაწილენი – რუმინეთის და საქართველოს ნაკრები გუნდები.**



ბორჯღალოსნები ასეთი შემადგენლობით ითამაშებენ: პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი მაჩხანელი, რეზო გიგაური, ირაკლი გიორგაძე, გიორგი შკინინი, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, დავით ხინჩაგიშვილი, აქვსენტი გიორგაძე, დავით ზირაქაშვილი, ილია ზედგინიძე, ლევან დათუნაშვილი, ილია მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, ბესო უდესიანი, დავით გასვიანი, ავთანდილ კოპალიანი, ვიქტორ დიდებულიძე, მამუკა მაგრაქველიძე, ბიძინა სამხარაძე, დავით კაჭარავა, გიორგი ელიზბარაშვილი.

რაგბის გულშემატკივრებს დღევანდელი პაექრობის ნახვა ბუქარესტიდან ტელერეპორტაჟით შეეძლებათ ტელეკომპანია „მზის“ პირდაპირ ეთერში 15 საათსა და 30 წუთიდან.

მომდევნო ორთაბრძოლას საქართველოს ნაკრები 17 მარტს, ასევე, სტუმრად ესპანელებთან გამართავს. პირენეელები, თავის მხრივ, დღეს ლისაბონში პორტუგალიელებს დაუპირისპირდებიან.

◎ ტყვიის სროლა

# სალუქვაძემ „ვერცხლით“ დაიწყო



**გერმანიის ქალაქ მიუნხენში დამთავრდა ტყვიის მსროლელთა ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო ჩუბინებთან ერთად საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შესანიშნავად იასპარეზა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ, რომელიც პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მეორე ადგილზე გავიდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე მან 384 ქულა მოაგროვა.**

შეჯიბრებაზე, სალუქვაძის გარდა, სხვებმაც მოსინჯეს ძალები, კერძოდ, ნინო უჩაძემ 371 ქულას მოუყარა თავი, თამილა ასათიანმა – 367 ქულას. მართალია, ისინი ფინალში ვერ მოხვდნენ, მაგრამ ჩვენმა სამეულმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ვაჟთა ნაკრების წევრთა შედეგები ასეთია: ბესიკ სირაძე – 567, სერგი ჩიტაიშვილი – 558, ლევან ძაღაგიძე – 555 ქულა.

10 თებერვალს ნინო სალუქვაძის ტირში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, რაც ევროპის ჩემპიონატისთვის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იქნება.

◎ კალათბურთი

# ყველაფერი გაირკვა

**ესპანური კლუბების ტრიუმფით დასრულდა ევროლიგის პირველი ჯგუფური რაუნდი – მორიგ ეტაპზე პირენეელთა ოთხივე კლუბი ითამაშებს. ასევე ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვთ ბერძნებსა (3 გუნდი) და რუსებს (2 გუნდი). სიურპრიზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტოპ-16-ში პოლონური „პროკომის“ მოხვედრა, ევროტურნირების მუდმივი ფავორიტების – იტალიის წარმომადგენლობის განახევრებას კი, დაგვეთანხმებით, ძნელად თუ ივარაუდებდა ვინმე. გთავაზობთ დასკვნითი მატჩების შედეგებს:**

**„ბ“ ჯგუფი.** „მაკაბი“-„პანათინაიკოსი“ 76:73, „პარტიზანი“-„უნიკახა“ 90:94 (დამატებით დროში), „რომა“-„ციბონა“ 81:58, „ხუვენტუდი“-„ოლიმპია“ 82:86 (შთამბეჭდავია სტუმართა ქართველი ლეგიონერის **მანუჩარ მარკოიშვილის** მონაგარი: 17 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა).

**საბოლოო სატურნირო მდგომარეობა:** „პანათინაიკოსი“ – 11, „მაკაბი“ – 8, „ხუვენტუდი“, „უნიკახა“ – 7-7, „რომა“, „პარტიზანი“, „ციბონა“ – 6-6, „ოლიმპია“ – 5 მოგება.

ამრიგად, კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდოს მოსაპოვებლად ბრძოლას განაგრძობენ: „ტაუგრესი“, „ბარსელონა“, „ხუვენტუდი“, „უნიკახა“ (ესპანეთიდან), „პანათინაიკოსი“, „ოლიმპიაკოსი“, „არისი“ (საბერძნეთიდან), ცსკა, მოსკოვის „დინამო“ (რუსეთიდან), „ბენეტონი“, „რომა“ (იტალიიდან), „მაკაბი“ (ისრაელიდან), ეფესი“ (თურქეთიდან), „პო ორტეზი“ (საფრანგეთიდან), „პარტიზანი“ (სერბეთიდან) და „პროკომი“ (პოლონეთიდან).



**„ა“ ჯგუფი.** „ტაუგრესი“-„ლე მანი“ 86:54, „ეფესი“-„დინამო“ 72:76, „ოლიმპიაკოსი“-„რეიინი“ 77:73, „პროკომი“-„ბოლონია“ 78:84.

**საბოლოო სატურნირო მდგომარეობა:** „ტაუგრესი“ – 12, „დინამო“, „ოლიმპიაკოსი“ – 10-10, „ეფესი“ – 8, „პროკომი“, „ბოლონია“ – 5-5, „ლე მანი“ – 4, „რეინი“ – 2 მოგება.

◎ ჰობი

# შუმახერი – კვლავ საჭესთან



მართალია, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა შარშან დაასრულა თავისი ბრწყინვალე კარიერა, მაგრამ, როგორც იტყობინებიან, ისევ მოუჯდა სარბოლო მანქანის საჭეს, თუმცა ამჯერად კარტინგისას და მონაწილეობა მიიღო გუნდის Tonykart ტესტებში იტალიური ლეჩეს მახლობლად ლა კონკას ავტოდრომზე. მწვანე კომბინეზონიანი და საბრძოლო მუზარადიანი გერმანელი პილოტი ჯერ მარტო ეჩვეოდა ტრასას, შემდეგ კი დანარჩენი მონაწილენიც შეუერთდნენ.

ამბობენ, რომ „ფორმულა-1“-ის ექს-ვარსკვლავი მალე გააფორმებს კონტრაქტს Tonykart-თან, საიდანაც გასული სეზონის ბოლოს წავიდა მსოფლიო ჩემპიონი დევიდ ფორე.

◎ ორბიტაზე

# ყველაზე მაღალი



**2 მეტრი და 40 სანტიმეტრი – ასეთია ჩინელი კალათბურთელის სუნ მინ მინის სიმაღლე, რომელთანაც კონტრაქტი გააფორმა ამერიკის კალათბურთის ასოციაციის (ABA) კლუბმა „მერილენდ ნაითჰაუკსმა“. ის ყველაზე მაღალი პროფესიონალი მოთამაშეა.**

2005 წლის **ნბა**-ს დრაფტზე ის ლიგის კლუბებმა არ აიყვანეს, რადგან ფიზიკურად მოუმზადებლად მიიჩნიეს. თუმცა ამით სუნს არაფერი დაუკარგავს – ის ჰოლივუდში მოხვდა და უკვე გადაიღეს ფილმში „ პიკის საათი-3“.

მართალია, ABA-შიც თამაში პრესტიჟულია, მაგრამ მინ მინს „ჰიუსტონში“ მოთამაშე თავისი თანამემამულის იაო მინის გზით სიარული და **ნბა**-ში მოხვედრა უნდა, მაშინ ის ლიგის ისტორიაში ყველაზე მაღალი კალათბურთელი იქნება.

# შინაური ძალადობის მსხვერპლნი...

**ასეთად მიაჩნია თავი „ნიუ-ჯერსი ნეტსის“ კალათბურთელს ჯეისონ კიდის თავისი ცოლის ჯუმანას ხელში. ბოლო ათი წელი სულ მჩაგრავდაო, – აცხადებს იგი და სასამართლოში განქორწინებაზე საბუთები შეიტანა.**

თუმცა არც თავად ქალბატონი ჯუმანა იჯდა გულხელდაკრეფილი, მანაც ქმარს ძალადობა დააბრალა და სასამართლოში უჩივლა.

საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს კიდების საშინაო დავის პერიპეტიებს.



◎ ფეხბურთი

# ფიფა იმუქრება

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ფიფას ეროვნულ ასოციაციათა კომიტეტმა, რომლის სხდომა ციურიხში გაიმართა, გააფრთხილა პოლონეთი და კენია, თუ მათი მთავრობები თავს არ დაანებებენ მათი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების საქმეებში ჩარევას, მათ მიმართ გატარდება მკაცრი სანქციები.**

პოლონეთს ემუქრება მათი კლუბებისა და ნაკრებების დათხოვნა ყველა საერთაშორისო შეჯიბრებიდან.

კომიტეტმა ასევე შეისწავლა საქმის მდგომარეობა ალბანეთში, ბოსნიაში, ირანში, მაკედონიაში, პერუში, სენეგალში, ტოგოში, თურქეთსა და ტუნისში.

ჩერნოგორიის ფედერაციას გაეწია რეკომენდაცია, როგორც ფიფას შესაძლო ახალ წევრს. ამ საკითხზე მაისში იმსჯელებს ფიფას კონგრესი.

№ 21. შაბათი, 3 თებერვალი, 2007 წელი.

# კულტურა

● მეუღლის დახვრეტიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, 1993 წლის ოქტომბრის ბოლოს, აფხაზმა სეპარატისტებმა პოეტი ქალი აწამეს... და შემდეგ დახვრიტეს. ქალბატონი ეთერი სიკვდილჩამდგარი გახელილი თვალებით ისევ მის საყვარელ სოხუმის ცას — ქართულ ცას შესცქეროდა




**◉ სულის ტკივილი**

# პოეტი მოკლეს, ლექსი არ კვდება

**„მე დავდუმდები და გულის ძახილს შენამდე ლექსი მოიტანს თვითონ"..., „მე წავალ ისე სახემცინარი..."**

**ამ სტრიქონების ავტორი, უმშვენიერესი და ულამაზესი პოეტი ქალი ეთერ სამხარაძე-ჯლამაძე 80 წლისა გახდებოდა.**

ის კი, გონსგადასულმა, ქართველთა სისხლს მოწყურებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა 1993 წლის ოქტომბრის მიწურულს აწამეს, მერე კედელთან მიაყენეს და... დახვრიტეს!

დახვრიტეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი იყო.

**„ახლა რაღა ეშველება ფიქრს, სისხლისგან დაცლილს, თითქოს ქარვის კრიალოსანს, დღეებს ისე მარცვლი... სულ მცირე დრო დამრჩენია, შენ ხელიდან მაცლი?..."** — ნიშნეულად წერდა პოეტი.

ეთერ სამხარაძის და ხუტა ჯლამაძის ტკბილი ოჯახი არა მარტო სოხუმმა, მთელმა საქართველომ იცოდა. მათი სახლის კარი მუდამ ღია იყო მეგობრებისთვის. აქ არასოდეს არჩევდნენ ვინ ქართველი იყო, ვინ — აფხაზი, ვინ — სომეხი, ვინ — რუსი... ყველა სტუმარს თვალებგაცისკროვნებული ეგებებოდა დიასახლისი. მათ ოჯახში ყველაფერი პოეზიით, სიმღერითა და სიყვარულით იყო გაჯერებული.

**„ბეჭდის თვლებივით**
**დასატაცები**
**მზემ ბროწეულებს**
**შეხსნა მარცვლები...**
**და რა მარცვლები,**
**რა წარმტაცები**
**და რა ცეცხლოვან**
**თვალთა გამძლები..."**

ქალბატონი ეთერის სითბოთი და სიფაქიზით აღსავსე სტრიქონებს საქართველოში ბევრი იცნობდა. მის ლექსებზე სიმღერებს წერდნენ. ხშირად უწყობდნენ გულთბილ შემოქმედებით საღამოებს.

ეთერ სამხარაძე-ჯლამაძე ოცი წიგნის ავტორი იყო.

აფხაზეთში სიტუაცია უკიდურესად რომ გამწვავდა და უკვე გაგრაც დაკარგული გვქონდა, ქალბატონი ეთერი თბილისში ჩამოვიდა, კიდევ ერთი პოეტური კრებული გამოსაცემად ჩააბარა გამომცემლობა „ნაკადულს" და სწრაფად დაბრუნდა აფხაზეთში. მისი თითქმის ყველა ლექსი აფხაზეთს ეძღვნებოდა, თითქმის ყველა სტრიქონი აფხაზეთის ცას, მიწას, ზღვას, ყვავილსა და წყაროს უმღეროდა.

სოხუმელებსაც უყვარდათ და საკადრისი მოწიწებით უპასუხებდნენ თავიანთი ქალაქის მშვენება პოეტ ქალს.

დღე-დღეზე ისრაელში ასასვლელად ემზადებოდა. იქ თავისი სიყრმის მეგობარი და კოლეგა თამარ



მამისთვალოვი-კეზერაშვილი ელოდა. ისინი მართლაც განუყრელი მეგობრები იყვნენ, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" ერთად მუშაობდნენ, ეკლესიასა და სინაგოგაში ერთად დადიოდნენ, ერთმანეთის შვილებს სახელებს არქმევდნენ, მეგრულ ხაჭაპურებსა და ებრაულ ფალაფელებს ერთად აცხობდნენ... მერე ქალბატონი თამარი, ოჯახთან ერთად, თავის აღთქმულ ქვეყანაში, წმინდა მიწაზე დაბრუნდა. ქალბატონი ეთერი დადარდიანდა და პოეტურ სტრიქონებს მიანდო მონატრების სევდა:

**„... ორ ცას ლოცავ, ორ ძმას**
**უმღერ ერთგულებით,**
**ორი ქვეყნის ტრფობით**
**თბები და ითბები,**
**ისრაელში თბილ მასპინძლად**
**გვეგულები,**
**ჩვენშიც სტუმრად არასოდეს**
**ჩაითვლები..."**

ისრაელში მეგობართან სტუმრობა კი არ დასცალდა...

1993 წლის 27 სექტემბერს, როგორც კი სოხუმი დაეცა და ქალაქი სეპარატისტებითა თუ ათასი ჯურის უცხო მომხდურით აივსო, პოეტი ქალის მეუღლე ხუტა ჯლამაძე სახლიდან გამოათრიეს და ქუჩაში დახვრიტეს.

გაუბედურებული და გონდაკარგული ქალბატონი ეთერი აფხაზმა მეგობრებმა გულში ჩაიკრეს და საიმედოდ გადამალეს. აფხაზებშიც იყვნენ ქართველების ვაჟკაცობის, ქართველი მანდილოსნების კდემამოსილების, ქართველი პოეტის ლექსების დამფასებელნიც და „უებრო მცოდნენიც". იავარქმნილ, აოხრებულ, გადამწვარ სოხუმში ბანდიტიზმმა, აწიოკებამ და ქართველების სიძულვილმა და მშობლიური მიწა-წყლიდან მათი აღგვის ექსტაზმა კულმინაციას მიაღწია, ისევ ღალატმა იმძლავრა და კეთილშობილმა აფხაზებმა ქართველი პოეტი ქალი სეპარატისტებისაგან ვერ დაიფარეს.

**„შენ სალამი, აფხაზეთო, საქართველოს თაიგულო, მინდა სულში სანთლად მენთო და სიცოცხლედ დაგიგულო..."** — წერდა პოეტი ქალი.

აფხაზეთის ომამდე სულ რაღაც ხუთი წლის წინათ გამოცემულ წიგნში „ახსოვს ვილას", რომელიც პოლონეთში ომის ვეტერანებთან ერთად მის ვიზიტს მიეძღვნა, ქალბატონი ეთერი შესავალში წერდა:

**„ძნელია მოგონება იმ ქარიშხლიან, უსასტიკეს დღეთა, რომლებმაც სამარადისოდ ჩააქრეს უამრავი ჭაბუკისა და ქალიშვილის ლამაზი სიცოცხლე, წარიტაცეს დედათა, და-ძმათა, სატრფოთა და ახლო მეგობართა გულის ნაწილი, მწუხრი გადააფარეს დედამიწას და გავარვარებული სახნისი გადაატარეს ერთ დროს აკაშკაშებულ, უღრუბლო ზეცას..."**

რამდენიმე წელში კი მის სამშობლოში, მის სოხუმში განმეორდა იგივე ქარიშხალი, იგივე უსასტიკესი დღეები. სხვას დასტიროდა და თვით შეიქნა „მამულო, მარად დასაფიცაროს" ზვარაკი.

მეუღლის დახვრეტიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, 1993 წლის ოქტომბრის ბოლოს, აფხაზმა სეპარატისტებმა პოეტი ქალი აწამეს... და შემდეგ დახვრიტეს. ქალბატონი ეთერი სიკვდილჩამდგარი გახელილი თვალებით ისევ მის საყვარელ სოხუმის ცას — ქართულ ცას შესცქეროდა, **„... ცაო, ღრუბელს კარი გადაურაზე, ღრუბლიანი აპრილები გვეყოფა"**. თითქოს ღრუბლიანი ოქტომბრის ცა გაიხსნაო, მისი ტრაგიკული აღსასრულით გულდათუთქულ ქართველთა ცრემლები ციდან ჩამოდინდა და მისი უსულო სხეული დაალბო. არავინ იცის რამდენ ხანს ეგდო მიწაზე, რომელიც, როგორც თვითონ ამბობდა, **„საფიცრად და სათაყვანოდ გვერგო"**.

ეთერ სამხარაძე-ჯლამაძემ საკუთარი ეპიტაფიაც კი თვითონ დაწერა ლექსში „წარწერა პოეტი ქალის საფლავის ქვაზე":

**რად გაოცდი...**
**ჰო, ეს მე ვარ,**
**ტირიფი რომ ხელებს გიწვდის...**
**ყვავილების ნავში ვწევარ,**
**მხურავს კალთა მშობელ მიწის...**
**ეს სიცოცხლეც დაიხარჯა,**
**შფოთვით, წვით და აღელვებით,**
**მაგრამ ქვეყნად ლექსი დამრჩა,**
**შენ ტკბილ თარზე სამღერები...**
**ეს ვარდები, ეს ფოთლები,**
**დღეს ცრემლად რომ მეცემიან,**
**კარგო, ნუკი შეშფოთდები,**
**ჩემი, ჩუმი ლექსებია...**
**ნუ სწყვეტ მაგ ფერშეცვლილ**
**ყვავილს,**
**მის ყლორტებში ლექსი ჰყავის,**
**ის ხომ უტყვი მოწამეა,**
**რომ ამ ქვეყნად**
**მეც ვიყავი...**

ის აღარ არის... მისი ლექსები კი დარჩა. **„მე წავალ ისე სახემცინარი, შენ სინანული დაგრჩება გულში"...** წავიდა და უსაზღვრო სინანული დატოვა ყველას გულში. უგუნურებმა დახვრიტეს პოეტი, მაგრამ ვერავინ დახვრეტს მისი ფაქიზი სულის ნაშურს — ლექსს!

**ლეილა ნოდია**

**◉ ვერნისაჟი**

# ემოცია და ღირსება საერთო სულიერ სამყაროში

## ქართველ და ბერძენ ხელოვანთა გამოფენა ათენში

**„ქართველ ხელოვანთ ახასიათებთ განსაკუთრებული სულიერება, ნატიფი სტილი, პარალელურად კი — მებრძოლი სული. ეს ორი პარამეტრი განსაზღვრავს ნამუშევართა მაღალ დონეს. ფერთა სიმფონიით გამოსახული სულის გამოძახილი, რომელიც ინფორმაციის სახით მოემართება შორეული საქართველოდან, ღმერთმა ქნას, სწორად აღიქვას და შეაფასოს აქაურმა დამთვალიერებელმა. ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებებში ჩადებული სული ორი სიტყვით შეგვიძლია შევაფასოთ — „ემოცია" და „ღირსება", — წერს ცნობილი ბერძენი ხელოვნებათმცოდნე მანოს სტეფანიდისი და ამ მშვენიერი სიტყვებით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საგანგებოდ დაბეჭდილი ფერადი კატალოგის შესავალში.** კატალოგი მიეძღვნა საბერძნეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რაიონის — კიფისიის მერიის მუნიციპალიტეტის შენობაში გამართულ ბერძენ და ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენას, რომელმაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა ქართულ-ბერძნულ კულტურულ ურთიერთობებში.

ახლა, რაკი უკვე ვიცით, რა „ემოციასა" და „ღირსებაზეა" ლაპარაკი, დარბაზში შევიდეთ და ვნახოთ ეს ფრიად შთამბეჭდავი და წარმომადგენლობითი ექსპოზიცია, დავათვალიეროთ 36 მხატვრისა და სკულპტორის 76 ნამუშევარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბერძნეთის გამოჩენილი ფერმწერების (როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლის, ისე ახალგაზრდებისძ — სახელოვანი და აღიარებული მხატვრების — გიორგოს მავროიდის, დიმიტრის მიტერასის, ხრონის ბოცოღლუს, სულის მუსტაკიდისის, პავლოს სამიოსის, გიორგოს კორდისის და სპიროს გიორგასის ნაწარმოებები.



სავას სტოლიდისი, ნინო ბაჯელიძე და ქეთი სირბილაძე

თუმცა, ექსპოზიციამ ისიც ნათლად გვიჩვენა, რომ მათ ტოლს არ უდებენ საბერძნეთში წარმატებით მოღვაწე როგორც ქართველ, ასევე ტომით ბერძენ ხელოვანთა ნამუშევრები, რომელთაც აერთიანებთ თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიღებული განათლება და მაღალი დონე. მათი უმრავლესობა ათენში ცხოვრობს და მოღვაწეობს: სკულპტორი გელა ქრისოსტომიდისი, მხატვრები — იანის კირიაკიდისი, ზეიკო ბაშელეიშვილი, ნინო ბათიაშვილი, ავთანდილ თოფურია, კობა გელაძე, ლევან გოგიტიძე, რომან ტვილდიანი და სხვ. საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოიტანეს თავიანთი ნამუშევრები სკულპტორმა გელა კასიდიმ, მხატვრებმა ნანა ალიბეგაშვილმა, თამრიკო რუხაძემ, ლელა მჭედლიშვილმა — ქ. თესალონიკიდან, დეკორატორმა და მუსიკოსმა ქეთი სირბილაძემ — ქ. პატრადან და სხვ.



ავთანდილ თოფურია, ვასილიკი ავგუსტატუ, ავთანდილ მიქაბერიძე და ნინო ბაჯელიძე

გამოფენამ ნათლად გვიჩვენა, რომ ორგანიზატორები — ბერძნულ-ქართული საზოგადოება „კოლხეთის" პრეზიდენტი ნინო ბაჯელიძე და კიფისიის მერია დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს. საზოგადოება „კოლხეთი" 2002 წლიდან მოღვაწეობს ათენში და ემსახურება ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების გამყარება-გაძლიერებას, ახალი კავშირების შექმნას როგორც კულტურულ, ასევე სხვადასხვა სფეროში. ამ კუთხით ეს გამოფენა იმ დიდ მიზანს ისახავდა, რომ საბერძნეთის ინტელიგენცია ჩვენი ქვეყნით უფრო მეტად დაინტერესებულიყო.

საღამო გახსნა კიფისიის მერმა ნიკო ხიოტაკისმა და დიდი სიყვარულით მოიხსენია საქართველო, მისი ისტორია და კულტურა. სასიამოვნო მოსასმენია, როცა მეგობარი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კიფისიის მერია დიდი პატივისცემით მასპინძლობს ქართველ და ბერძენ ხელოვანთ და მომავალშიც ხელს შეუწყობენ ამგვარ შეხვედრებს.

დაუფარავი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა კიფისიის მერიის კულტრის ცენტრის პრეზიდენტი მერი კერასიოტი: „საქართველო არის ქვეყანა, სადაც განსაკუთრებულად არის განვითარებული ხელოვნება, ქვეყანა, რომელთანაც გვაკავშირებს შორეული წარსული და რომელიც ჩვენს მითოლოგიაში ღრმად არის აღბეჭდილი. გავიხსენოთ კოლხეთი, იაზონი, არგონავტები, კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე, ყველა ეპოქა — ბიზანტიის ხანიდან დღევანდელობამდე. ჩვენს სცენაზე გვიხილავს ქართველთა ცეცხლოვანი ცეკვა, სადაც მთელი შემართებით არის გამოხატული ქართველი ერის ცოცხალი, შეუდრეკელი სულისკვეთება. მადლობას ვუხდით საზოგადოება „კოლხეთის" პრეზიდენტს ნინო ბაჯელიძეს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. ასევე დიდი მადლობა გამოჩენილ მხატვრებს გამოფენაში მონაწილეობისთვის". ამ გულთბილ სიტყვებს შეუერთდა ასევე კულტურის ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი ვასილიკი ავგუსტატუ.

საქართველოს მხრიდან საზოგადოებას მიესალმა ათენის ქართულ-ბერძნული ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი ელინისტი და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ მიქაბერიძე. მან საგანგებო მადლობა გადაუხადა ბერძენ მასპინძლებსა და გამოფენის ორგანიზატორებს და აღნიშნა, რომ ასეთი დიდი გამოფენა, რომელიც ორი მეგობარი ხალხის საერთო სულიერ სამყაროში გვახედებს, კიდევ უფრო უწყობს ხელს ურთიერთგაგებას და ახალ პერსპექტივებს სახავს მომავალი თანამშრომლობისთვის.

**გამოფენას ავსებდა ქართული ღვინო და თავისებურ პეწს სძენდა მუსიკალური გაფორმება — ქართული და ბერძნული ქალაქური სიმღერები ქეთი სირბილაძის, კატერინა ვალსემისა და სავას სტოლიდისის შესრულებით. მათი მოსმენისას ხელოვანთ და ექსპოზიციის დამთვალიერებლებს განსაკუთრებით უმძაფრდებოდათ „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი".**

**ბონდო მძინარაშვილი**

● მოვალეობისადმი თავის არიდება ყოვლად მიუღებელია მორწმუნეთაგან, რადგან ეს ღვთისგან შეფასებული იქნება, როგორც ღალატი. ღალატი კი ჭეშმარიტად იმსახურებს სასჯელს



## ◎ სულიერება

რუბრიკას უძღვება დიაკონი მოსე (ჭელიძე

# სიმართლით შეკრებილთ უფალი ფარავს

## როგორ ვიცხოვროთ ქრისტიანულად?

**— რა უმთავრესი მოვალეობანი აქვს მართლმადიდებელ მრევლს?**

— ეკლესია დაარსების პირველი დღიდან მორწმუნეებს თავის წიაღში დიდი სათნოებითა და სიხარულით იღებდა. იუსტინე მარტვილი ფილოსოფოსი გვამცნობს, რომ პირველი ქრისტიანები ღვთისმსახურებისთვის ყოველ კვირა დღეს იკრიბებოდნენ. იმათ, ვინც დაარღვევდა მეოთხე მცნებას: „მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ყავ იგი“, და ტაძარში ზედიზედ სამი კვირის განმავლობაში არ მივიდოდა, უმკაცრესი ეპიტემია (სასჯელი) ელოდა — ეკლესიიდან განკვეთა! შემდეგ ეს მოთხოვნა დარეგულირდა (თუმცა, მთელი სიმკაცრის დაცვით) შესაბამისი მსოფლიო საეკლესიო კრების მე-80 კანონით.

დიახ, ჩვენ იმისთვის ვართ შექმნილნი, რომ ვმსახურებდეთ ყოვლისმომცველსა და ყოვლად სრულ ღმერთს, მიუხედავად იმისა, ვაცნობიერებთ ამას თუ არა.

ეკლესიაში სიარული და ღმერთის მსახურების აუცილებლობა კარგად ჩანს ერთ უძველეს მონათხრობში: „ერთ მდიდარ კაცს გზაზე მათხოვარი შეხვდა. მათხოვარმა მას თავისი უბედურების შესახებ უამბო. მდიდარს შეებრალა. და იმ შვიდი ლორიდან, რომელიც თან ჰქონდა, ექვსი უწილადა. მათხოვარმა კი, მადლიერების ნაცვლად, დამალული დანა იშიშვლა და მეშვიდე ლორიც მოსთხოვა. საარაკო უმადურობაა! რისი ღირსია იგი? — უმკაცრესი სასჯელის.

ასეთსავე მკაცრ სასჯელს იმსახურებს ღვთისმსახურების არმტვირთველი. ადამიანებს ექვსი დღე მიეცათ თავისთვის, მათ კი მეშვიდე დღეც მიითვისეს!..

**— არის თუ არა საზოგადო ცოდვების ხმამაღლა მხილება ყოველი ქრისტიანის მოვალეობა?**

— მართლმადიდებელი მოვალეა ილვწოდეს ჭეშმარიტების შესაცნობად. ჭეშმარიტებაში უნდა ერთიანდებოდნენ მორწმუნენი და დაუნდობლად უნდა ებრძოდნენ ბოროტის ცრუ საქმეებს. საზოგადო ცოდვების ხმამაღლა მხილება ყოველი ქრისტიანის მოვალეობაა **(ბასილი დიდი, 71-ე კანონი).**

ღვთისა და ერის წინაშე ამ მოვალეობის პირნათლად აღმსრულებლები იყვნენ კომუნისტური იმპერიის მიერ სიმართლისათვის დევნილნი, ჩვენი კათალიკოს-პატრიარქნი: წმინდა კირიონი, წმინდა ამბროსი, ანჩისხატის დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე და სხვანი. სიცრუეში ვერ გადაიბირეს და ვერც გატეხეს სიმართლისა და ჭეშმარი-



ტების მადიდებელნი, ვისი ერთობისაც ყველაზე მეტად ეშინია ბოროტს. სიმართლით შეკრებილთ ხომ უფალი ფარავს!

ბერი გაბრიელი (ურგებაძე) შვიდ ნოემბერს, ღვთის ჩაგონებით, თავგანწირული სულისკვეთებით ლენინის ვეებერთელა პორტრეტს ცეცხლს უკიდებს, ამ დროს კი ხრუშჩოვის პერიოდი, საშინელი კომუნისტური რეჟიმია. ის, რა თქმა უნდა, ამ „ბოროტმოქმედებისთვის“ წარადგინეს იქ, „სადაც ჯერ არს“. კითხვაზე: რად ჩაიდინე, უბედურო გაბრიელ, ეს შეუწყნარებელი დანაშაული? — ის მშვიდად პასუხობს: — იქ, სადაც ღვთის სახე, ხატი უნდა ესვენოს, კაცთაგან გაკერპებული ბელადის, უფრო სწორად, ეშმაკმსახურის სურათის გამოფენა არ შეიძლებაო!..

**— კიდევ რას გვეტყვით, როდის აღვასრულებთ ჩვენს მოვალეობებს?**

— მოვალეობანი აღსრულდება, ანუ ნაყოფს გამოიღებს შვიდი საქმის ხორციელი მოწყალებისას: მშიერთა დაპურება, მწყურვალთა დარწყულება, შიშველთა შემოსვა, უცხოთა შევრდომება, სნეულთა მოკითხვა, პატიმართა მიხედვა, მიცვალებულთა დამარხვა; და ასევე შვიდი საქმის სულიერ მოწყალებისას: მოქცევა ცოდვილთა, სწავლება უმეცართა, განმართვა დაბრკოლებულთა, ნუგეშისცემა მწუხარეთა, მოთმინებით ატანა უსამართლობისა, მიტევება შემცოდეთა, ღმერთთან ვედრება მოყვარეთა საცხოვნებლად;

**— მაგრამ ყველას როდი შეუძლია ამ მოვალეობების სრულად აღსრულება...**

— მოვალეობა არის განსაკუთრებული იარაღი ადამიანისთვის ცხონების გზაზე. მოვალეობისადმი თავის არიდება ყოვლად მიუღებელია მორწმუნეთაგან, რადგან ეს ღვთისგან შეფასებული იქნება, როგორც ღალატი. ღალატი კი ჭეშმარიტად იმსახურებს სასჯელს. ასე მაგალითად: მიცვალებულის დამარხვა-გაპატიოსნება უდიდესი გვირგვინია ხორციელ სიკეთეთა შორის. ამიტომ განსაკუთრებით დანაშაულებრივ ელფერს იძენს უმოქმედობა მაშინ, თუკი ადამიანი უცაბედად გადაეყარა ცხედარს და მაშინვე არ მიიღო გადაწყვეტილება მისი გაპატიოსნების შესახებ...

ეშმაკი ებრძვის ყოველივე სათნოებას, უწინ გარდაცვლილს მეზობლები გაუჭრიდნენ საფლავს და ასაფლავებდნენ იმიტომ, რომ იცოდნენ, ცხედრის გაპატიოსნება დიდი სიკეთეა. ეს სიკეთე კი დამმარხველთა ცოდვებს მეტწილად აქარწყლებდა... ახლა კი გამოიგონეს დამკრძალავი ბიუროები და ხალხს ცხონების ეს ნაცადი იარაღი ხელიდან გაუვარდა, რადგან სიკეთის ფულით ანაზღაურება მიწიერი მისაგებელია და არა — ზეციური.

ჩაიწერა
**ლია ჭიღლაძემ**

## ხსოვნა

# ზურაბ ყიფიანი



წავიდა ჩვენგან მეგობარი, უახლოესი ადამიანი **ზურაბ ყიფიანი**, რომელმაც ბოლო წუთამდე აქტიური ცხოვრებით იცხოვრა და ემსახურა თავის ქვეყანას, არასოდეს განდგომია მას და მუდამ მისი ჭეშმარიტი ჭირისუფალი იყო.

ზურაბ ყიფიანმა გამორჩეული ცხოვრებით იცხოვრა. ის დაჯილდოებული იყო ისეთი თვისებებით, როგორიცაა საქმის ცოდნა, თავდადება, მოყვასის სიყვარული, მიმტევებლობა; ზურაბს არასოდეს უღალატია კაცობისთვის, იყო მაღალზნეობრივი პრინციპების შეუვალი გამტარებელი, სამართლიანი, ადამიანებისადმი კეთილმოსურნე და ყურადღებიანი.

ზურაბ ყიფიანი განასახიერებდა ყოველივე ქართულს; ის იყო პოეტური პიროვნება, კარგი გარეგნობის, ხელოვნების მოყვარული და დამფასებელი; იცოდა ქართული სუფრის ყადრი, იყო შესანიშნავი თამადა, ქართული ხალხური სიმღერების გამორჩეული მცოდნე და შემსრულებელი, დიდებული მებადური, ბუნების მოყვარული, სპორტსმენი, ჭირში და ლხინში მუდამ გვერდში მდგომი, ეროვნული საქმის ინტერესების დამცველი და თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული.

სადაც არ უნდა ევლანა ზურაბ ყიფიანს ის ყველგან გამოირჩეოდა, როგორც უნარიანი, უმაღლესი კულტურის მქონე ხელმძღვანელი, მისი დამოკიდებულება საქმისადმი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა. ასეთი იყო ის სტუდენტობისას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე სწავლის დროს, ასეთი იყო ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და შემდეგ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გამოთვლით ცენტრებში მუშაობისას.

სამოცდარვაწლიანი ცხოვრებისეული გზა ღირსეულად განვლო ზურაბ ყიფიანმა და დატოვა შესანიშნავი ოჯახი, შვილი ქართლოსი, რომელიც მამის ტრადიციების გამგრძელებელია, დიდებული მეუღლე და შვილიშვილები;

მეგობრები და ახლობლები მას განსაკუთრებული სიყვარულით მოვიგონებთ ყოველთვის.

მშვიდობით, ჩვენო ყიფო, გვიჭირს შენთან განშორება, გვიჭირს შენზე წარსულ დროში საუბარი. მუხლმოყრილი ვუერთდებით შენი სულის საცხონებლად აღვლენილ ლოცვას უფლის სასუფეველში...

**მეგობრები**



შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგაზეთო-ოფსეტური საამქროს ყოფილი ოსტატი

ზერო ლაღიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ◎ აღიარება

# გივი მინდელს — „მშვიდობის მსოფლიო მედალი“



**ბევრმა იქნებ არც იცის, რომ საქართველოში ქვეყნის ტექნიკურ წარმატებებს სათავეში უდგას მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „მეტსი“.**

აი, სწორედ ქვეყნის ამ „ტექნიკურ ტვინს“ წარმართავს ბატონი გივი მინდელი, ამ უზარმაზარი ცენტრის გენერალური დირექტორი, პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის პრეზიდენტი.

ახლახან საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის სახელზე ამერიკიდან ფრიად და ფრიად სასიხარულო შეტყობინება მოვიდა, სადაც ნათქვამია, რომ ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მმართველთა საბჭომ **ბატონი გივი მინდელი დააჯილდოვა „მშვიდობის მსოფლიო მედლით“** საინჟინრო მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის.

საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირი, მიუხედავად კრიზისული მდგომარეობისა, ახორციელებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა პროპაგანდის მიმართულებით, მართავს საერთაშორისო კონფერენციებს ტექნოლოგიურ სიახლეებზე, ყოველწლიურად აჯამებს და სახალხო მეურნეობის ყველ დარგში ავლენს „წლის ინჟინერს“. ამ წოდების მფლობელები ჯილდოვდებიან საპატიო დიპლომებითა და მედლებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირი არის საინჟინრო ორგანიზაციათა მსოფლიო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი.

**მთელ ქართველ საზოგადოებრიობასთან ერთად ჩვენი გაზეთის რედაქციაც გულითადად ულოცავს ბატონ გივი მინდელს ამ დიდ აღიარებას.**

## ◎ ელამი სარკე

# უნდა დავანგრიო!

**ერთი ახირებული ვინმეა ეს ჩვენი კერძო მესაკუთრე გოგია, თუ რამე ამოიჩემა, ველარ გადაათქმევინებ. ახლაც ერთი კვირაა გაიძახის:**

**— უნდა დავანგრიო!**

— რაღა უნდა დაანგრიო, ძმაო, ისედაც დანგრეულები არა ვართ? — უკვირს კარის მეზობელ ჟორჟიკას.

— რა და აი ეს ბარი, სადაც შენ ლუდის წრუპვა გიყვარს, — გულზე ხეთქავს გოგია.

— გაგიჟდი, სიმონ, ჯერ ხუთი წლისაც არ არის და უკვე ანგრევ?

— არ მომწონს და ვანგრევ, შენი რა საქმეა?

— მაინც რაზე იწუნებ, არ იტყვი?

— ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია.

— მოძველებული? — შეიცხადა ჟორჟიკამ.

— ჰო ეგრეა, შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდშია აშენებული.

— ვა, ეგ როგორ, რამდენჯერაც მთავრობა შეიცვლება იმდენჯერ ბარი უნდა დაანგრიო და ახალი ააშენო. პრეზიდენტის არჩევნებამდე მაინც მოგეცადა, კაცო.

— რაღაზე ვიცადო, მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— როგორ არა აქვს, ჯიგარ,ღმერთმა დაიფაროს და ხელისუფლება რომ შეცვალონ, ბარის თავიდან აშენება მოგიწევს.

— მაინც ვერ მოვიცდი, რახან ვთქვი, უნდა დავანგრიო.

— ეტყობა, კიდევ რაღაცას უწუნებ მაგ ბარს.



— ჰო, ქუჩის საერთო ანსამბლში ვერ ჯდება, თანაც შენობას სამხრეთის კუთხე კუზივით აქვს გამოზრდილი.

— ეგ არაფერი, კუზის ჩამოქლიბვა შეიძლება.

— ჩამოქლიბვა? — გაიოცა გოგიამ.

— ჰო, რა გიკვირს, აგერ აქვე, დანიურ სახლში — დიდი ქლიბი იყიდება, მოიტანე და ჩამოქლიბე. მე, მაგალითად, ქუდი რომ არ მეტყოდა, თავი პარიკმახერს გავაქლიბინე.

— მაგდენ წვალებას, სჯობია დავანგრიო და ახალი ავაშენო.

— რახან არ იშლი, შენ რატომ უნდა დაიხარჯო, მერიას სთხოვე და დაგინგრევენ.

— უფასოდ დაანგრევენ?

— მაშ როგორ, სულ მასე არ ანგრევენ!

— რატომ, მოცილეები არიან?

— როგორ გეკადრება, მოცლილები კი არა, იმდენი შეკვეთები აქვთ, სულ ოფლის ღვრაში არიან.

— მერე , რა ძალი ადგათ?

— რა ქნან, ძმაო, ფუნქცია აქვთ ასეთი: — კერძო მესაკუთრეების ვალია ააშენონ, მაგათი — დაანგრიონ.

— თუ ასეა, ხვალვე დავანგრევინებ.

— მაგას ვერ შეგპირდები, ასე უცებ არ გამოვა.

— რატომ, კაცო, ვანგრევინებ, ხომ არ ვაშენებინებ?

— რას იზამ, ხომ ხედავ, მთელი ქალაქი დასანგრევია, ეტყობა, რიგში დგომა მოგიწევს.

— არა, რიგში ნამდვილად ვერ ჩავდგები, ხვალვე უნდა დავანგრიოთ!

— კი ბატონო, მაგრამ რიგი მაინც დაიჭირე, — ურჩია ჟორჟიკამ.

— თუკი თავად დავანგრევ, რიგი რისთვის დამჭირდება?

— დაგჭირდება, ძმაო, დაგჭირდება.

— მაინც რისთვის?

— ახალი მთავრობა რომ მოვა, შენი ხასიათი რომ ვიცი, ძველ ბარს ხომ არ დააზველრებ?

— რა თქმა უნდა, არა.

— ჰოდა მანამდე დანგრევის რიგიც მოგიწევს!?

**ოტია ჩართოლანი**

● პოლ სმიტის კოლექციების სტილი სხვადასხვა აქსესუარით გაწყობილი კაბებია, რომლის ქვეშაც ქალის სხეულის სილუეტი უნდა იყოს გამოკვეთილი



## ინფორმაცია

### საჩუქარი — ბაგა-ბაღს

**თბილისის მერმა გიგი უგულავამ თბილისის 85-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს საჩუქრად შვიდი გამათბობელი „კარმა“ გადასცა. როგორც გიგი უგულავამ განაცხადა, დედაქალაქის ბაგა-ბაღების დიდი ნაწილი გასათბობად შეშის ღუმელსა და „ნიკალას“ გაზის გამათბობელს იყენებს, რაც ნაკლებად უსაფრთხოა.**

— ქალაქის ხელმძღვანელობა იზრუნებს, რომ წლის ბოლომდე ბაგა-ბაღებში უსაფრთხო გამათბოებლები დამონტაჟდეს, — განაცხადა უგულავამ.

მისივე თქმით, ქალაქის მერია გამათბობელ „კარმას“ ქალაქის მასშტაბით სხვა ბაგა-ბაღებსაც ეტაპობრივად დაურიგებს.

### მესაზღვრეებმა ძებნილი დააკავეს

**სამართველო „წითელის ხიდის“ სასაზღვრო სექტორის „რკინიგზის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს.**

დაკავებული შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს რუსთავის სამართველოს გადაეცა.

* * *

**თბილისის აეროპორტში „თელ-ავივი—თბილისის“ რეისზე სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლისას მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს.**

იგი ამ რეისით დეპორტირებული იყო საქართველოში.

აღნიშნული პირი შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს ისანისამგორის სამართველოს გადაეცა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ურეკში ტყე გაჩეხეს

**გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ საქართველოს ბიუროს თანამშრომლებმა გუშინ ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკში უკანონოდ გაჩეხილი ტყის მასივი აღმოაჩინეს.**

დატაცებულია დაახლოებით 60 კუბ.მ. წიწვოვანი ჯიშის ხეები. ფაქტზე საოლქო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.



გარემოს დამცველებმა იმერეთის რეგიონში უკანონო ნადირობის 7 ფაქტი გამოავლინეს.

მონადირეებს, ადმინისტრაციული ჯარიმის სახით, 500-500 ლარი შეეფარდათ. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში, მათზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

**ინტერპრესნიუსი**

## მოდა

# ასაკით მოთამაშე ქალებისთვის...

**ინგლისელ დიზაინერ პოლ სმიტს ნამდვილ ბრიტანელს უწოდებენ — მის კოლექციებში ყოველთვის შეინიშნება აკადემიური, არისტოკრატიული, სამეფო ელემენტები. მან წარმატებულ ცხოვრებას მეგობარ პოლინა დენესთან ერთად მიაღწია, რომელიც მისთვის ისეთივე ადამიანია, როგორც სალვადორ დალისთვის გალა იყო.**







ბავშვობაში პოლ სმიტს სურდა პროფესიონალი ველოსიპედისტი გამოსულიყო. აღსანიშნავია, რომ მოდასთან პირველი შეხება სწორედ ველოსიპედების სიყვარულის შედეგი იყო. მან მაისურები გააფორმა, რომელიც ველოსპორტსმენებს უნდა ჩაეცვათ სპეციალურ შოუზე...

თვრამეტი წლის ასაკში პოლ სმიტმა მიატოვა მშობლიური ქალაქი ნოტინჰემი და საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა, სადაც ბოჰემურ ცხოვრებაში ჩაერთო. უცნობია, როგორ შეძლო ელიტურ საზოგადოებაში მოხვედრა, მაგრამ ლონდონში ჩასვლიდან ერთი წლის შემდეგ, მას მაღალ საზოგადოებაში დაფასებულ, პატივცემულ ადამიანად მიიჩნევდნენ.

ოცდაოთხი წლის ასაკში პოლ სმიტს უკვე საკუთარი ბუტიკი „ვეტემენტი“ ჰქონდა, რაც ჩაცმას ნიშნავს. დიზაინერის კოლექციები მალე გახდა მოდური და პოპულარული ინგლისში. პროფესიაში უკეთესად გასარკვევად იგი მოდის დედაქალაქს — პარიზს ეწვია, სწორედ აქედან იღებს სათავეს სმიტის წარმატებული კარიერა.

დღეისთვის მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში პოლ სმიტს 230-მდე მაღაზია აქვს. მისი მოდელების მომხმარებლები არიან მიკ ჯაგერი, ტონი ბლერი, ჯონი დეპი, მადონა და სხვა ცნობილი ადამიანები.

— ჩემს კოლექციებში ყოველთვის არის ტრადიციული შტრიხები, თუმცა, არ მომწონს, როცა ამბობენ, რომ ინგლისური მოდა კონსერვატულია, შეიძლება ასეცაა, მაგრამ სწორედ ჩვენ, ბრიტანელებმა შევქმენით „ფორმულა-1“-ის ბოლიდი და კომპიუტერული თამაშობები. ვამაყობ ჩემი ეროვნებით, მიყვარს პუდინგი და საერთოდ, ტრადიციები, — აცხადებს მოდელიერი.

დიზაინერმა ლონდონში მოდა ამსეზონისთვის წარმოადგინა. მის ზამთრის კოლექციას მხოლოდ ზაფხული და მზე აკლდა, ამჯერად, მან თავისი მუზა გააახალგაზრდავა, რაც ღია ფერების გამოყენებამაც განაპირობა. თუმცა, მან არ დაივიწყა ბრიტანელებისთვის მისაღები კონსერვატული ფერებიც — ნაცრისფერი, შავი, თეთრი, ლურჯი ტონალობები.

პოლ სმიტის კოლექციების სტილი სხვადასხვა აქსესუარით გაწყობილი კაბებია, რომლის ქვეშაც ქალის სხეულის სილუეტი უნდა იყოს გამოკვეთილი. მისი შემოქმედება ძირითადად ეძღვნება ქალებს, რომლებსაც უყვართ ასაკით თამაში და სექსუალობისკენ მიისწრაფიან.

**ლელა დონაძე**

**სურათზე: პოლ სმიტი და მისი მოდელები.**

## ლარის კურსი

**3 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3818 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7199 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2283 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0648 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9749 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4773 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4057 ლარი. |


**რეკლამა**

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

*98-96-32;*

*899 328576*


## კადრი



## ანეკდოტები

**ბინაში ზარი ირეკება. პეტკა კარს აღებს. ზღურბლთან ახალგაზრდა კაცი დგას ყვავილების თაიგულით.**



**პეტკა ერთხანს ჩაფიქრებული უყურებს მას, მერე კი ეკითხება:**

**— თქვენ რაღაც მოუხშირეთ ჩემ დასთან სიარულს... რაო, საკუთარი არა გყავთ?!**

* * *

**წარმოგიდგენია? ჩემი ცხოვრების მიზანი ქმარზე ზრუნვაა. არ ვაძლევ მას მოწევისა და სმის უფლებას, ვუფრთხილდები მის ჯანმრთელობას. რათა ტყუილად არ ინერვიულოს, მისივე ჯანმრთელობის სასარგებლოდ, არ ვაყურებინებ კრივს, ფეხბურთსა და ჰოკეის. არ ვაძლევ სადმე დაყოვნების საშუალებას, რათა კვების რეჟიმი არ დაერღვეს. თვალყურს ვადევნებ მის კვებასაც, რათა კუჭი არ დაიზიანოს: არანაირი შემწვარი, მოხრაკული, მარილიანი, მჟავეული, მწარე, ცხარე, ბოლში გამოყვანილი... მოკლედ, ყველაფერი, ყველაფერი მისთვის მინდა. იმ პირუტყვს კი, იმის ნაცვლად, რომ ჩემი მადლობელი იყოს, ჩემთან განქორწინება სურს!**

* * *

**საბჭოთა კავშირის დროს ადამიანები იმდენად ღარიბები იყვნენ და ისე უჭირდათ, რომ ქალები ზოგჯერ უფულოდ, მოწონება-სიყვარულის გამო ნებდებოდნენ კაცებს.**

* * *

**აი, მე, მაგალითად, გადასახადებს არ გადამიხდია, მაგრამ ძალიანაც მშვიდად მძინავს... საგადასახადო ინსპექტორის გვერდით.**

* * *

**ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს ხელქვეითთა აზრის წაკითხვა და მათი საკუთრად გაფორმება.**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.